კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

ნანა კოკაია

თანამედროვე საგარეო პოლიტიკური გამოწვევები და თურქეთ-რუსეთის გეოპოლიტიკური ასპექტები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მაია კაპანაძე

ისტორიის მეცინიერებათა დოქტორი

თბილისი-2020

ანოტაცია

თურქეთის და რუსეთის ურთიერთობებში ძალიან ხშირი იყო, სხვადასხვა საგარეო პოლიტიკური გამოწვევების წინა პლანზე წამოწევა. განსაკუთრებით ეს გამოწვევები გამოჩნდა ბოლო პერიოდში ახლო აღმოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა, რთული პოლიტიკური კრიზისის ფონზე. თურქეთი და რუსეთი, რომლებსაც ურთიერთობის განსხვავებული ეტაპები ჰქონდა ყველა პერიოდში, სერიოზულ გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ, რეგიონალურ პრობლემებთან დაკავშირებით.

თურქეთი და რუსეთი განსხვავებულ პოზიციებზე იდგნენ, რეგოონალურ პრობლემებთან დაკავშირებით. მაგრამ იმავე რეგიონალური პრობლემები გახდა მიზეზი იმისა, რომ ამ ორ ქვეყანას საერთო ენა გამოენახათ და მათი საერთო საგარეო პოლიტიკური ინტერესები დაახლოებულიყო. ამ ყველაფრის კარგი მაგალითია რუსეთიდან თურქეთის მიერ საზენიტო სარაკეტო დანადგარების შესყიდვა, რამაც თურქეთისა და აშშ, ნატოს შორის ურთიერთობის გამწვავება გამოიწვია.

თურქეთი ცდილობს თავისი ქვეყნის პრაგმატული ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედოს ნებისმიერ მის სტრატეგიულ პარტნიორთან. ეს კარგად გამოჩნდა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა და ასევე მას კარგი და დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებს აშშ-სთან, ამ ყველაფრის მიუხედავად, როცა საქმე მიდგა მისი ქვეყნის ინტერესებს რეგონში, ის დაუახლოვდა რუსეთს. რითაც თურქეთს საშუალება მიეცა, რომ თავიდან აეცილებინა ქვეყნისთვის სერიოზული გამოწვევები.

Nana Kokaia

Annotation

The modern foreign policy challenges and Turkish-Russian geopolitical aspects

In relations between Turkey and Russia very often outwardly political challenges came to the foreground. Especially these challenges have been reflected due to the developed events that happened in the Middle East, amid a difficult political crisis. Turkey and Russian which have faced a serious challenge in terms of regional problems.

Russian and Turkey always have different positions on regional issues. But the same regional problems have become the reason why these two countries have found common language and their common foreign political interests become closer to each other. A good example of all this is the purchase of anti-aircraft missiles by Turkey government from Russian, this step has exacerbated relations between Turkey and NATO.

Turkey is trying to influence the strategic interests of its country with any of its strategic partners. This all has been evident during the last few years.

Although Turkey is a NATO ally member and also has good and long-term relationship with USA, despite to all of this, when it comes to its country interests in the region, they has moved closer to Russia. This Turkey was avoid serious challenges for the country.

სარჩევი

შესავალი.....5
თავიI: ოსმალეთის და რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობების თავისებურებანი.....9

1.1 ოსმალეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის მოკლე ისტორია.....9
1.2 ოსმალეთისა და რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობები საწყის ეტაპზე, კონსტანტინოპოლის პრობლემა.....14

1.3წინააღმდეგობების გაღრმავება ოსმალეთსა და რუსეთს შორის ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში.....24

თავი II: თურქეთის რესპუბლიკისა და სსრკ-ს შორის არსებული გამოწვევების ასახვა მათ ურთიერთობაზე.....36
2.1 დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება სსრკ-სთან და ,,მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულება“.....36
2.2 შავი ზღვის სრუტეების პრობლემა და მათი გადაჭრის გზების ძიება.....43
2.3 ტრანსატლანტიკური სოლიდარობის ფაქტორი თურქეთ-სსრკ ურთიერთობებში.....49

თავი III: რეგიონალური პრობლემების ასახვა თანამედროვე თურქეთისა და რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე და გეოპოლიტიკური ასპექტები.....54

3.1 რუსეთის როლი თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ,,ცივი ომის“ დასრულების შემდეგ.....54

3.2 ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური კრიზისის ფონზე წინააღმდეგობა და თანხვდომა რუსეთსა და თურქეთის საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს შორის.....57

3.3 წინააღმდეგობა თურქეთსა და აშშ-ს შორის და რუსეთის პოზიცია.....67

დასკვნა.....73

გამოყენებული ლიტერატურა.....75

შესავალი

თემის აქტუალობა. თანამედროვე თურქეთის საგარეო პოლიტიკა სერიოზული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა რუსეთთაბ მიმართებაში, რაც კარგად გამოჩნდა ბოლო პერიოდის ახლო აღმოსავლეთის რეგიონალურ პრობლემების ფონზე, მაგრამ ორივე ქვეყანამ შეძლო, მათ შორის არსებული საგარეო პოლიტიკური გამოწვევებს გამკლავებოდათ. მას რუსეთთან ისტორიულად აკავშირებს პოლიტიკური ურთიერთობები, რომელიც ყოველ მომდევნო ეტაპზე განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.ეს განსხვავებულობა აისახა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაზე ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაშიც.თურქეთი და რუსეთი ახლო აღმოსავლეთში განვითარებული „არაბული გაზაფხულის“ შედეგად მიმდინარე პროცესებში ჩართვისას განსხვავებულ პოზიციებზე იდგნენ, მაგრამ ორივე ქვეყნის ინტერესთა თანხვდომის შედეგად მათ საერთო ენის გამონახვა შეძლეს, მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ ყოფილა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში სერიოზული დაძაბულობა.ფაქტია, რომ თურქეთ–რუსეთის ურთიერთოებბში გარკვეულწილად ნატო თურქეთის ურთიერთობები თავისთავად გავლენას ახდენენ, მაგრამ ბოლო რამდენიმე წელია ამ ორი ქვეყნის დაახლოება გარკვეულ ეტაპზე შეუქცევად პროცესად იქცა.რეგიონში არსებული პრობლემები საკმაოდ რთულად წარიმართა თურქეთისათვის, რამაც ბევრი შეუთნხმლებლობა გამოიწვია აშშ–სა და თურქეთს შორის.ამან ხელი შეუწყო ახლო აღმოსავლეთში მეორე დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშის რუსეთის დაახლოებას თურქეთთან.ეს ,,დაახლოება” იმდენად ,,გაღრმავდა” ამ ორ ქვეყანას შორის, რომ ნატო–თურქეთისუ რთიერთობაზე ამან არცთუ ისე სახარბიელო ასახვა ჰპოვა. თურქეთი და რუსეთი რეგიონალურ პრობლემატურ და თურქეთისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე თანხმდებიან დაამიტომაც აღწევენ სერიოზულ თანამშრომლობას.ქიდან გამდინარე თემა აქტუალურია.

საკვლევი კითხვები.

1. რა შიდა და გარე ფაქტორებმა შეუწყო ხელი თურქეთ-რუსეთის დაახლოებას თანამედროვე პირობებში ?
2. რა როლს თამაშობს თურქეთი და რუსეთი ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებში და რა ფაქტორები განაპირობებენ მათ შორის ურთიერთობის კონფრონტაციას?

ჰიპოითეზა. თურქეთი მიუხედავად იმისა, რომ ნატოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წევრია და აშშ-ის სერიოზული პარტნიორიცაა ახლო აღმოსავლეთში, ის ყოველთვის ცდილობს თავისი რეგიონალური ლიდერობის მისწრაფებიდან გამომდინარე, აქტიური საგარეო პოლიტიკური კურსი გაატაროს. თურქეთის ამ ,,ამბიციამ“ მოახდინა მისი და რუსეთის ინტერესთა თანხვდომა რეგიონში (ირანთან ერთად) და აქედან გამომდინარე, ამ ორი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობა.

თემის მიზნები და ამოცანები. ჩვენი კვლევის მიზანია შეძლებისდაგვარად სიღრმისეულად შევისწავლოთ თურქეთ–რუსეთის ურთიერთობების პოლიტიკური ასპექტები და ის პრობლემები და წინააღმდეგობები , რაც ამ ორი ქვეყანის ურთიერთობებისათვის არის დამახასიათებელი.ჩვენი ამოცანაა სწორად გავაანალიზოთ რეგიონული პოლიტიკური ფონის შესაბამისად შექმნილი ვითარება , რამაც ხელი შეუწყო გარკვეული პრობლემების შექმნას თურქეთ–ნატოს ურთიერთობებში და ამის ნიადაგზე მის დაახლოებას რუსეთთან.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული სავარაუდო მეთოდოლოგია.ნაშრომის დამუშავების დროს გამოვიყენე ,,ძალთა ბალანსის" თეორია, რაც გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან. ,,სექიურითიზაციის კონცეფცია", რომელიც ითვალისწინებს საზოგადოების ჩართულობას, ,,პოლიტიკური რეალიზმის" თეორია რომლის ძირითადი სუბიექტი არის სახელმწიფო. ,,თანამშრომლობითი უსაფრთხოების" თეორია - კოენისეული კონცეფცია, რომელიც მოიცავს საერთო საფრთხეების აღიარებას. ასევე კვლევაში გამოყენებულია ,,ალიანსების კავშირების თეორია" - რონდელი.

კვლევის მეთოდები

თემის დამუშავების დროს გამოვიყენე თვისობრივიკვლევის მეთოდები,

როგორებიცაა:

ინტერდისციპლინარული მეთოდი;

ისტორიულ-აღწერილობითი

არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა;

კონტენტ-ანალიზი.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ჩვენ შეძლებისდაგვარად შევქმენით აკადემიური ხასიათის ნაშრომი, რომელიც აკმაყოფილებს სამაგისტო თემის მოთხოვნებს. ვფიქრობთ ის გამოადგებათ თურქეთისა და რუსეთის, ასევე ახლო აღმოსავლეთის პრობლემებით დაინტერესებულ მკვლევარებს. ის ასევე შეიძლება გამოიყენონ უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამებმაც.

კვლევის შედეგების განხილვა. ნაშრომში ყურადღება იქნება გამახვილებული თურქეთის ახლო აღმოსავლეთის ლიდერობისაკენ სწრაფვაზე და ამის ნიადაგზე მის გარკვეულწილად რუსეთთან დაახლოებაზე. გავარკვიეთ ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რამაც ხელი შეუწყო ძალთა ბალანსის შეცვლას რეგიონში–იგულისხმება თურქეთის დაახლოება რუსეთთან.ამასთანავე გავერკვიეთ და ნაშრომის ერთ–ერთ

მნიშვნელოვან ნაწილად ვაქციეთ თურქეთის რუსეთთან დაახლოების შედეგები რეგიონში მიმდინარე რთულ პოლიტიკურ პროცესებზე.კონკრეტულად კი რა შეიძლება შეცვალოს ამან რეგიონულ პოლიტიკაში–კრიზისი უფრო მეტად გააღრმავოს თუ პირიქით.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

მ.სვანიძის ,,თურქეთის ისტორია“ თბილისი, 2007. აღნიშნულ წიგნში განხილულია როგორც თურქეთ-რუსეთის ისტორიული ურთიერთობების ასპექტები, ოსმალეთის იმპერიის პერიოდიდან დაწყებული, ისე თურქეთის რესპუბლიკასა და სსრკს- და შემდეგ რუსეთის ფედერაციას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი. ამავე დროს ამ ნაშრომში ყურადღება არის გამახვილებული თურქეთის ნატოში გაწევრიანებაზე და იმ სამხედრო მისიებში ამ ქვეყნის ჩართულობაზე, რომელიც ნატოს ეგიდით ტარდება.

რ. გაჩეჩილაძე ,,ახლო აღმოსავლეთი“ ტომი II თბილისი. 2019. წიგნში განსაკუთრებით საინტერესოდ არის გაანალიზებული სირიის და ქურთისტანის პრობლემებთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები და მასში აშშ თურქეთის და თურქეთ რუსეთის პოზიციებს შორის არსებული შეთანხმებაც და წინააღმდეგობაც, რაც მნიშვნელოვნად დაგვეხმარა ჩვენს ნაშრომში დასმული საკითხების გაანალიზებაში.

ე.მაკარაძეს ,,თურქეთის ისტორია“ თბილისი. 1918-2018 წლებში. მაკარაძის მონოგრაფიას განსაკუთრებით ადგილი უჭირავს თურქეთის საგარეო პოლიტიკური გამოწვევებს, როგორც აშშ-სთან და ნატოსთან, ისე რუსეთთან მიმართებაში. ავტორი იყენებს ბევრ თურქულ მასალას, რაც საშუალებას გვაძლევს საკუთრივ თურქ მკვლევარების პოზიციიდან დავინახოთ და გაავანალიზოთ ჩვენთვის საინტერესო საკითხები.

орешкова с. ф. ульченко е. ю. россия и турция (проблемы формирования границ) м. 1999. თურქეთისა და რუსეთის ურთიერთობების განსახილველად გასულ საუკუნეში მნიშვნელოვან დახმარება გაგვიწია აღნიშნული ავტორების წარმომადგენილმა სამეცნიერო ნაშრომებმა. მასში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ნატოს წევრ თურქეთის ურთიერთობებს სსრკ კავშირთან.

Professor Kasım Karataş (PhD). Asst. Professor Filiz Demiröz (PhD). Res. Asst. Edip Aygüler. Res. Asst. Cemre Bolgün. Ankara, September 2018. უცხო ავტორთა სამეცნიერო ნაშრომი ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას შეიცავს. მასში კონკრეტულად შესწავლილია თურქეთის რეგიონალური პრობლემები, ყურადღება ძირითადად დათმობილია სირიასთან დაკავშირებით. აღნიშნული ავტორების სამეცნიერო ნაშრომი ძალიან დაგვეხმარა ბოლო პერიოდის მოვლენების განსახილველად.

Natalya Ketenci. Gokce Bayindir. Hardcover-December 2019. Turckish-Russian RelaTions: Prospects and Challenges. აღნიშნულ სამეცნიერო ნაშრომში გაშუქებულია თურქეთ-რუსეთის ურთიერთობები, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში არსებული გამოწვევები, სხვადასხვა პოლიტიკური კრიზისის ფონზე. აქედან გამომდინარე აღნიშნული ნაშრომი გარკვეულ წილად ჩვენთვის მნიშვნელოვან საკვანძო საკითხების გასაშუქებლად საინტერესო მასალას შეიცავს.

Hollis, R. ,,No friend of democratization: Europe's role in the genesic of the ,,Arab Sprind". International Affairs, 2012. არაბული გაზაფხულის შედეგად მიმდინარე მოვლენებში, რომელიც განვითარდა რიგ ქვეყნებში, ევროპელთა როლის შესახებ საინტერესო მოსაზრება გამოთქმულია აღნიშნულ სამეცნიერო ნაშრომში. მკვლევარი ამასთან დაკავშირებით იმოწმებს შესაბამის სამეცნიერო ნაშრომებს. აქედან გამომდინარე ეს ნაშრომი ჩვენთვის საინტერესოა.

თავი I

ოსმალეთის და რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობების თავისებურებანი

ოსმალეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის მოკლე ისტორია. მონღოლთა შემოსევებმა, მათმა ხანგრძლივმა ბატონობამ ხელი შეუშალა სელჩუკთა სახელმწიფოს განვითარებას და საბოლოოდ იგი განადგურდა და დაიშალა. [1]მცირე აზიის რეგიონში არსებობა დაიწყო თურქულმა ტომებმა, რაც ძალზე მნიშვნელოვანი გარემოება იყო, რამაც შემდგომში საშუალება მისცა აქ დაარსებული იყო თურქული სახელმწიფიო. მოვლენათა განვითარება შემდგომში ამ ხაზით განვითარდა და მცირე აზიაში დაარსდა თურქული სახელმწიფო.

1299 წელს ჩამოყალიბდა ოსმალეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო. თემურლენგი აზიის დიდი დამპყრობელი იყო, რომლის უმთავრეს პოლიტიკური მიზანს წარმოადგენდა მონღოლთა იმპერიის აღდგენა.

თემურ ლენგმა, როცა გააერთიანა მცირე აზია, შემდგომში გადაწყვიტა, რომ ებრძოლა მსოფლიო ბატონობისთვის. მან დალაშქრა და გადაუარა ირანს, ნდოეთს, სამხრეთ რუსეთს, ამიერკავკასიას, სირიას, მცირე აზიას.

წინა აზიაში ჰეგემონობისთვის თემურ ლენგს ეცილებოდა ოსმალეთი, რომელიც, წარმოადგენდა მყარ და ძლიერ სახელმწიფოს.

თემურლენგის ოსმალეთთან ბრძოლის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა, ხელში ჩაეგდო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებული სავაჭრო გზები, რომელიც ოსმალეთს ტერიტორიაზე გადიოდა და ასევე მის მეზობელ ქვეყნებში.

თემურლენგმა კარგად იცოდა ვაჭრობის მნიშვნელობა, ამიტომ მას განზრახული ჰქონდა ებატონა მსოფლიო სავაჭრო გზებზე. თემურლენგის ამ მიზნების განხორციელებაში ექიშპებოდა ოსმალეთი.

თემურმა 1402 წელს გაზაფხულზე ყარაბაღში დიდი ყურულთაი მოიწვია, სადაც გადაწყდა ომი დაეწყოთ ოსმალეთის წინააღმდეგ.

გადამწყვეტი ბრძოლა ბაიაზიდსა და თემურლენგს შორის მოხდა ანგორასთან 1402 წელს, სადაც ბაიაზიდი დამარცხდა.

ოსმალეთის სახელმწიფომ XV საუკუნის ოციან წლებში შეძლო ქვეყნის გაერთიანება, რომელიც დასუსტებული იყო თემურლენგის შემოსევებით.

---

[1] მ. სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007 გვ. 11-28

ევროპაში ოსმალეთის საფრთხე შენელდა მას შემდეგ რაც, თემურლენგმა დაამარცხა ბაიაზიდი. მაგრამ, ამის მიუხედავათ მურად II-ის დაპყრობებმა ბალკანეთში, ასევე ოსმალეთის წარმატებამ დასავლეთის მიმართულებით ევროპაში ისევ გამოიწვია აღშფოთება. ოსმალეთის საფრთხის აღმოსაფხვრელად საჭირო იყო ევროპის სახელმწიფოების ძალების გაერთიანება.

1439 წელს ფლორენტინის უნიის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, მიიღეს დადგენილება, რომლის მიხედვითაც უნდა დაეწყოთ ჯვაროსნული ლაშქრობა ოსმალეთის წინააღმდეგ. [2]მაგრამ მისი განხორციელება ჭიანურდებოდა.

რომი ევროპის სახელმწიფოებს მოუწოდებდა ჯვაროსნული ლაშქრობისკენ.

ჯვაროსნული ლაშქრობაში მონაწილეობისთვის დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები უნგრეთში მოხალისეობის მიზნით ჩავიდნენ.

1443 წელს უნგრეთის არმია, რომლის რიგებში შედიოდნენ სერბები, ვალახები, პოლონელები, ჩეხები, გერმანელები და ჯვაროსნები, დასავლეთ ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებიდან შეიჭრნენ დუნაისპირეთში, აიღეს ქალაქი ნისა და დაიძრნენ სოფიისაკენ. ჯვაროსნებმა დამარცხეს სამი საფაშოს გაერთიანება და ხელთ იგდეს სოფია.

1444 წელს ზავი დაიდო უნგრეთსა და ოსმალეთ შორის, რომლის მიხედვითაც 10 წლის განმავლობაში არ დაარღვევდნენ მშვიდობიანობას. ასევე ამ ზავის მიხედვით მურად II-ის სერბიის დესპოტისათვის გიორგი ბრანკოვიჩისათვის უნდა დაებრუნებინა ხულმი და ჰერცოგობინა, სულთანს უნდა ეცნო უნგრეთის ხელისუფლება ვალახეთზე, ხოლო ალბანეთი უნდა გადაეცა სკანდერბეგისათვის და სხვ.

რომის პაპი ევგენი IV და ბიზანტიის იმპერატორი იოანე VIII ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რათა უნგრეთის მეფეს დაერღვია ზავი და ოსმალეთთან ომი განეახლებინა.

1444 წელს ოსმალეთის სულთანმა უარი განაცხადა ტახტზე და ხელისუფლება გადასცა თავის 12 წლის ვაჟს. ამ ყველაფრის გამო, ქვეყანაში ცუდი მდგომარეობა შეიქმნა.

დრო ძალზე ხელსაყრელი იყო. ბიზანტიის იმპერატორმა და რომის პაპმა ოსმალეთის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობის სქემა შეიმუშავეს.

[2] მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007 გვ. 35-36

რომის პაპისა და ბიზანტიის გარდა ანტიოსმალურ კოალიციაში უნდა გაწევრიანებული იყო: გენუა, პოლონეთი, ვენეცია, გერმანია, სერბია, ვალახეთი, , ალბანეთი, რაგუზა, ბურგუნდია.

1444 წელს ჯვაროსანთა ფლოტი კონსტანტინეპოლს მიადგა. 1444 წლის 10 ნოემბერს ვარნასთან ბრძოლის შედეგად ჯვაროსნები დამარცხდნენ.

ოსმალეთის მიერ ევროპაში მოპოვებული გამარჯვების შედეგად, არსებითი იყო კონსტანტინეპოლის დაცემა და ბიზანტიის იმპერიის განადგურება.

1453 წლის 29 მაის ოსმალები გადავიდნენ შეტევაზე და აიღეს კონსტანტინეპოლი.

ბიზანტიის დაცემის შემდეგ დამთავრდა მსოფლიო ისტორიის გარკვეული პერიოდი და დაიწყო ევროპის და აზიის მოსახლეობაში ისტორიაში ახალი პერიოდი, რაც განპირობებული იყო ოსმალეთის ბატონობით.

ოსმალეთის მიერ კონსტანტინეპოლის დაპყრობა ნიშნავდა ბიზანტიის იმპერიის გაქრობას და ოსმალეთის გადაქცევას ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ. ამ ყველაფრის შემდეგ ოსმალეთისთვის შეიქმნა ხელსაყრელი გარემოება შემდგომი ექსპანსიისთვის. კონსტანტინოპოლის დაპყრობამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა თურქეთ-ოსმალეთის ჩამოყალიბებაში.

1457 წელს სულთანმა დედაქალაქი ანდრიანაპოლიდან კონსტანტინეპოლში გადაიტანა და მას უწოდა ისტამბული .

კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ მეჰმედ II-ს მთავარ პოლიტიკურ მიზანს წარმოადგენდა დაემორჩილებინა შავიზღვისპირა ქვეყნები და ხელთ ეგდო ვაჭრობა შავ ზღვაზე.

XIII საუკუნიდან შავ ზღვაზე ბატონობდა ბიზანტია. მთლიანად ვაჭრობა ბერძნების ხელში იყო. ჯვაროსანთა ლაშქრობისა და ბიზანტიის დასუსტების შემდეგ, შავ ზღვაზე მდგომარეობა თანდათანობით შეიცვალა. 1169 წელს გენუელებმა, ხოლო შემდგომში ვენეციელებმა სავაჭრო უბნები ჩაიბარეს კონსტანტინეპოლში. იმავე წელს უფლება მიღეს გენუელებმა თავიანთი გემებით შესულიყვნენ და ევაჭრათ შავ ზღვაზე. XIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გენუელმა ვაჭრებმა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე თავიანთი სავაჭრო ფაქტორი დაარსეს და სავაჭრო ურთიერთობა დაამყარეს ქართველებთან.

ოსმალეთის სულთანი ემზადებოდა შავიზღვისპირა ქვეყნების წინააღმდეგ საბრძოლველად. შავიზღვისპირა ქვეყნებს შორის რეალურ სამხედრო ძალას ყირიმის

სახანოს წარმოიდგენდა. ყირიმიის ხანის დამორჩილება სულთნის მიზნებში ამ დროისთვის არ შედიოდა.

1454 წლის დამდეგს სულთანსა და ყირიმის ხანს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ოსმალები გენუელების წინააღმდეგ კაფაზე იერიშს ზღვიდან მიიტადნენ, ხოლო ყირიმის ხანი კი ხმელეთიდან.

1454 წელს ზაფხულის დამდეგს ოსმალეთის ფლოტი ბოსფორიდან გავიდა. ჯერ მონკასტროსკენ წავიდა, იერიში მიტანა ქალაქზე, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთისკენ გაემართა, კერძოდ კავკასიის სანაპიროსკენ, სადაც თავს დაესხა სოხუმს და გაქურდა. ამის შემდეგ ოსმალეთის ფლოტი ყირიმისკენ გაემართა. 11 ივლის ღუზა კაფას ნავსადგურის ახლოს ჩაუშვა და ელოდებოდნენ ყირიმის ხანის ლაშქრის მოსვლას. 16 ივლის ყირიმის ხანის ლაშქარი მოვიდა და კაფას ხმელეთიდან ალყა შემოარტყა. ქალაქი კარგად იყო დაცული და მიუხედავად მრავალი შეტევისა, მისი აღება ვერ შეძლეს. გენუელებს დახმარების იმედის არ ქონის გამო ამჯობინეს დაზავებოდნენ მტერს. დაიდო ზავი, რომლის მიხედვითაც კაფას კონსული ვალდებული იყო ყოველწლიურად ყირიმის ხანისთვის გადაეხადა ხარკი.

მეჰმედ II საზღვაო ლაშქრობის შედეგით უკმაყოფილო იყო. ამიტომ მან ბოსფორის სრუტე ჩაკეტა. გენუელები არ ცდილობდნენ კავშირი დაემყარებინათ საზღვაო გზით შავ ზღვაზე მდებარე თავიანთ კოლონიებს. თავიანთ წარმომადგენლებს კაფაში სახმელეთო გზის მეშვეობით აგზავნიდნენ. ამ პერიოდისთვის კაფას შიმშილი ემუქრებოდა. შექმნილ მდგომარეობის გამო კფის კონსულმა მიიღო დადგენილება დაეწყო მოლაპარაკება სულთანთან, ამიტომაც მან გაუგზავნა ელჩი. მოლაპარაკების შემდეგ დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით კაფა ვალდებული იყო ყოველწლიურად სულთნისთვის გადაეხადა ხარკი.

ამრიგად, გენუელთა უმთავრესი სავაჭრო ფაქტორი შავ ზღვაზე ოსმალეთის მოხარკე გახდა დ მათი მდგომარეობა ამ რეგიონში ძალიან დასუსტდა, ხოლო ოსმალეთის კი გაძლიერდა.

კონსტანტინეპოლის დაპყრობამ ხელსაყრელი გარემოება შექმნა იმისთვის, რომ ოსმალეთს ბალკანეთში დაეწყო შემდგომი ექსპანსია. ოსმალეთის პირველი დარტყმა მიმართული იყო სერბიის წინააღმდეგ.

1459 წელს ოსმალებმა ხელში ჩაიგდეს სერბია. ქვეყანა გახდა ოსმალეთის ერთ-ერთ პროვინციად. მოლდავეთმა 1456 წელს სცნო ოსმალეთის სუზერენიტეტი, ხოლო ვალახეთმა -1476 წელს. თუმცა დუნაისპირა სამთავროებმა შეინარჩუნეს უფლება იმის, რომ თვითონ აერჩიათ საკუთარი მთავრი.

1458-1463 წლებში ოსმალებმა ბალკანეთში ხელში ჩაიგდეს ბიზანტიის სამფლობელოები და ასევე ის სამთავროები, რომლებიც ვენეციელთა ხელში არსებობდა. ასევე დაიმორჩილეს ბოსნია, მორეა, ჩერნოგორიელები და ალბანელები.

ოსმალების მიერ ბალკანეთსა და ეგეოსის კუნზულის რეგიონების ხელში ჩაგდებამ გამოიწვია ვენეციასთან დაპირისპირებაა. ამ პერიოდისთვის ვენეციას ეკავა გაბატონებული მდგომარეობა ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. ოსმალეთის ექსპანსია კი საფრთხეს უქმნიდა მას ამ რეგიონში. ამ მიზეზის გამო ვენეციამ დაიწყო ომი ოსმალეთის წინააღმდეგ. ბრძოლა ამ ორ სახელმწიფოს შორის შესვენებით მიმდინარეობდა 16 წელი. 1463 წლიდან 1479 წლამდე და საბოლოოდ დამთავრდა ვენეციის დამარცხებით. 1479 წლის 26 იანვარს კონსტანტინეპოლში დაიდო ზავი, რომლის მიხედვითაც ვენეციამ ოსმალეთს დაუთმო კუნძულები ეგეოსის ზღვაში, ასევე ზოგიერთი სამფლობელო ბალკანეთში. ვენეცია ასევე ვალდებული იყო გადაეხადა ოსმალეთისთვის ხარკი.

ბალკანეთსა და ეგეოსის ზღვაზე მდგომარეობის განმტკიცებისა და ვენეციასთან ზავის დადების შემდეგ სულთანი ემზადებოდა იტალიაზე თავდასხმისთვის.

1204 წელს დაარსდა ტრაპიზონის სამეფო, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო იყო შავი ზღვის რეგიონში და მცირე აზიაში.

1461 წლის 15 აგვისტოს ოსმალეთის სულთანი ტრაპიზონისკენ გაემართა და მოახერხეს შესვლა. მომდევნო დღეებში ოსმალებმა შეძლეს დაეკავებინათ ტრაპიზონის დანარჩენი სამფლობელოები. ამრიგად, ბოლო ბერძნულმა სახელმწიფომ არსებობა შეწყვიტა.

1475 წელს ოსმალეთის ფლოტი მიადგა ყირმის სანაპიროს. სადაც, ოსმალემა ხელში ჩაიგდეს კერჩი, კაფა, სუდაკი, და სხვა სანაპირო ქალაქები, ციხეები. სადაც გააუქმეს გენუელთა სავაჭრო საქმიანობა. ყირიმის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო კაფის ჩათვლით შეუერთდა ოსმალეთს. ამის შემდეგ ოსმალებმა დაიკავეს აზოვის სანაპირო და ქალაქი აზოვი, ქალაქი კოპა. ყირიმის ხანი ამის შემდგომ ოსმალეთის სულთნის ვასალი გახდა. ყირიმის ხანს ტახტზე დამტკიცებას ამის შემდეგ სულთანი ამტკიცებდა.

ოსმალეთის წარმატებებმა ბალკანეთში, ყირიმსა და მცირე აზიაში ხელი შეუწყო გაეფართოვებინა მეჰმედ II-ის თავისი პოლიტიკური მიზნები. იგი უკვე აღარ ჯერდებოდა მიღწეული წარმატებებით და მიზნად ისახავდა ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოების დაპყრობას.

რაც შეეხება იტალიაში ოსმალეთის დამარცხების უმთავრეს მიზეზს წარმოადგენდა მეჰმედ II-ის გარდაცვალება და ტახტისთვის გამართული ბრძოლა.

დაპყრობითი ომების დროს სულთნის მთავრობა მათთვის მოსახერხებელ პოლიტიკას ატარებდა. ოსმალთა დაპყრობითი ომები ხასიათდება ორი ფაქტორით. პირველი, ოსმალები პირველ ეტაპზე ცდილობდნენ დაემყარებინათ რაიმე სახის სუზერენიტეტი, ხოლო შემდე კი მიისწრაფოდნენ უშუალო კონტროლი დაემყარებინათ ქვეყნებზე. ამ ამოცანის მისაღწევად, ისინი გადააყენებდნენ ვასალური ქვეყნების გამგებლებს, ადგილობრივი დინასტიების წარმომადგენლებს და თავიანთ წარმომადგენლებს ნიშნავდნენ. ოსმალთა კონტროლი ნიშნავდა თიმარული სისტემის შემოღებას დაპყრობილ ქვეყნებში, რომელიც გულისხმობდა დავთრებში ქვეყნის მოსახლეობასა და რესურსების მეთოდურ აღრიცხვაზე.

დაპყრობილი ქვეყნის აღწერა და მისი დავთრებში მონიშვნა ნიშნავდა ადგილობრივი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის გაუქმებას.

1.2 ოსმალეთისა და რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობები საწყის ეტაპზე, კონსტანტინოპოლის პრობლემა. პირველი დიპლომატიური ურთიერთობები ოსმალეთსა და რუსეთს შორის ჩნდება ჯერ კიდევ მეჰმედ ფათის დროს, მაგრამ XV საუკუნის 90-ინა წლებამდე ეს კავშირი ყალიბდებოდა ყირიმის ხანის მეშვეობით. XV საუკუნის ბოლოს, ოსმალეთის თაოსნობით, დამყარდა დიპლომატიური კავშირები რუსეთთან.[3] ოსმალეთის სულთნები ინტერესის სფეროს წარმოადგენდა კარგი ურთიერთობა დაემყარებინათ მოსკოვის სახელმწიფოსთან, რადგან კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ ევროპის სახელმწიფოების მიზანს წარმოადგენდა რუსეთი ჩაერთოთ ანტიოსმალურ კოალიციაში. თუმცა, მოსკოვიც დაინტერესებული იყო დიპლომატიური კავშირი დაემყარებინა და კარგი მეგობრული ურთიერთობა ჰქონოდა ოსმალეთის სახელმწიფოსთან და მის ვასალობაში მყოფ ყირიმის ხანთან.

რუსეთსა და ოსმალეთს შორის ოფიციალურად დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებს თარიღად ითვლება 1492 წელი, როდესაც ივან III-მ, ყირიმს ხანს საშუალებით გაუგზავნა სიგელი ოსმალეთის სულთანს. აღნიშნულ სიგელში დაფიქსირებული იყო უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ აზოვის ფაშა ავიწროვებდა რუს ვაჭრებს და იძულებულს ხდიდა მათ მიერ ჩამოტანილი საქონელი ნახევარ ფასად გაეყიდათ. ასევე აღნიშნული იყო სიგელში, მოსკოვი თავის ვაჭრებს არ გაგზავნიდა ოსმალეთის სულთნის სამფლობელოში. პასუხად სულთანმა 1493 წელს ივან III-სთან გამოუშვა ელჩობა, მაგრამ ვერ ჩავიდნენ მოსკოვამდე, იმიტომ, რომ დაკავებული იქნა ლიტვიის მთავრობის მიერ, რომელიც არ იყო დაინტერესებული იმით, რომ რუსეთ-ოსმალეთის დაემყარებინათ ერთმანეთთან ურთიერთობით.

[3] მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007 გვ. 94-95

პირველი კონტაქტი რუსეთსა და ოსმალეთს შორის დამყარდა 1497 წელს, სადაც დასმული იყო შემდეგი საკითხი, იმის თაობაზე, რომ რუს ვაჭრებს საშუალება მისცემოდათ ოსმალეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, კაფასა და აზოვში თავისუფალად და შეუფერხებლად, რომ ევაჭრათ. ასევე სულთანმა გამოთქვა სურვილი იმის თაობაზე, რომ მასთან დაემყარებინა მეგობრული კავშირები. ასევე აღნიშნული იყო ელჩობის გაცვლის შესახებ. აგრეთვე სულთანი იძლეოდა დაპირებას იმის თაობაზე, რომ დასრულდებოდა შეტევები ოსმალეთში ჩასულ რუს ვაჭრებზე.

1499 წელს მეორე ელჩობა გაგზავნეს სტამბოლში, რომლთა მთავარ ამოცანას წარმოადგენდა რუსი ვაჭრებისთვის მოეპოვებინათ ხელსაყრელი პირობები. ელჩმა ერთი წლის შემდეგ მოსკოვში წერილი ჩამოიტანა, სადაც სულთანი ისევ იმეორებდა სურვილს იმის თაობაზე, რომ მათს შორის დამყარებულიყო მეგობრული, მშვიდი ურთიერთობა. ასევე იძლეოდა დაპირებას, რომ რუს ვაჭრებს ეძლეოდათ უფლება თურქეთის ტერიტორიაზე თავისუფლად, რომ ევაჭრათ.

ამრიგად, ოსმალეთსა და რუსეთის შორის დამყარებული ურთიერთობების პირველ ეტაპზე ორივე მხარე დაინტერესებული იყო, რომ ერთმანეთთან ქონოდათ მეგობრული ურთიერთობები.

ოსმალეთის სახელმწიფომ XVI საუკუნის დამდეგისთვის მოიკიდა ფეხი ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, რომელიც შემდგომში გახდა პლაცდარმი ევროპაში ოსმალეთის შემდგომი წინსვლისა. სულეიმანმა სურვილი ჰქონდა განეახლებინა ბრძოლა ევროპის სახელმწიფოების წინააღმდეგ და გაეორმაგებინა იმპერიის სამფლობელოები.

სულეიმანის, მთავარ ამოცანას წარმოადგენდა, დაეწყო ომი უნგრეთის წინააღმდეგ, თუ სულთანი ხელში ჩაიგდებდა უნგრეთს მას გზა ხსნილი ექნებოდა ცენტრალურ ევროპისკენ. ამ ყველაფრის გარდა, სულთანს ეძლეოდა საშუალება კონტროლი დაემყარებინა მდ. დუნაიზე, ევროპის ძალზე უმნიშვნელოვანეს სავაჭრო მაგისტრალზე. 1521 წელს ოსმალეთმა უნგრეთის წინააღმდეგ დაიწყო ომი. გადამწყვეტი ომი გაიმართა 1526 წელს, რომელშიც დამარცხდა უნგრეთი. 1529 წელს სულთანი გაემართა ვენისკენ. 28 სექტემბერს სულთანმა ვენას ალყა შემოარტყეს, თუმცა დამარცხდა. ეს დამარცხება დიდ დამარცხებას წარმოადგენდა ოსმალეთისთვის. ამგვარად ვენა, ავსტრია და მთელი ევროპა გადაურჩა ოსმალეთის საფრთხეს.

ვენას არ შესწევდა ძალა, რომ გაეგრძელებინა შეტევა ამ გამარჯვების მიუხედავად. ამიტომ ავსტრია, მოლაპარაკების მეშვეობის ცდილობდა მოეგვარებინა დაპირისპირება ოსმალეთთან. სულთანი ეწინააღმდეგებოდა, რომ ეცნო ფერდინანდი უნგრეთის მეფედ, ამიტომ ის ცდილობდა, რომ ძალით გამაგრებული ყოფილიყო

უნგრეთში, ამ ყველაფერმა აიძულა სულთანი, რომ ახალი ლაშქრობა დაეწყო უნგრეთში. 1532 წელს სულთანი ვენისკენ გაემართა, თუმცა ვენა ვერ აიღეს.

1533 წელს ოსმალეთსა და ავსტრიას შორის დაიდო ზავი, რომლის თანახმადაც ფერდინანდმა და იანოშ ზაპოლიამ შეინარჩუნეს თავიანთი ტერიტორიები, აღნიშნულ ტერიტორიებს ისინი ფლობდნენ ხელშეკრულების დადების დროისთვის. აღნიშნული ზავით დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ უნგრეთი გადავიდა ავსტრიის ხელში. ავსტრია ვალდებული იყო ხარკი ეხადა სულთნისთვის ყოველწლიურად და თავს არ დასხმოდა აღმოსავლეთ უნგრეთს, რომლის მეფე სულთნის ვასალი იყო. ამ ზავით ფაქტობრივად მოხდა უნგრეთის დანაწევრება ავსტრიასა და ოსმალეთს შორის.

ირანთან ომში გარკვეული წარმატების მოპოვების შემდეგ XVI საუკუნის 30-იან წლებში ოსმალეთმა კვლავ განაახლა სამხედრო ოპერაციები ევროპაში. 1540-1547 წლებში ოსმალეთ ებრძოდა უნგრეთს, სადაც დამარცხდა უნგრეთი. 1547 წელს სტამბოლში დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც უნგრეთის სამეფო დანაწილდა სამ ნაწილად: დასავლეთი და ჩრდილოეთ უნგრეთს დარჩა ჰაბსბურგების ხელისუფლების ქვეშ, ხოლო აღმოსავლეთ უნგრეთი და ტრანსილვანია ვასალურ ქვეყნად გამოცხადდა. ასევე ფერდინანდი ვალდებული იყო ოსმალეთისთვის გადაეხდა ყოველწლიური ხარკი.

1547 წლის 17 თებერვალს ოსმალეთსა და ავსტრიას შორის ანდრიანოპოლში დაიდო ზავი. აღნიშნული ზავის მიხედვით დამთავრდა მთელი ციკლი ოსმალეთ-ავსტრია-უნგრეთს შორის. ზავის თანახმად ოსმალეთმა ავსტრიას დაუთმო უნგრეთის ტერიტორიის ძალიან მნიშვნელოვანი ტერიტორიის ნაწილი. ავსტრიამ ზავის თანახმად ოსმალეთის ვასალურ ქვეყნებად სცნო ტრანსილვანია, ვალახეთი, მოლდავეთი.

ავსტრიასთან ზავის დადების შემდეგ ოსმალეთი აპირებდა ასტრახანის დაპყრობა. 1569 წელს ოსმალეთის ჯარი ასტრახანისკენ გაემართა. ამ ომში დამარცხდა ოსმალეთი.

ოსმალეთი XVI საუკუნეში იყო ძლიერი სახელმწიფო და მის მფლობელობაში შედიოდა მრავალრიცხოვანი ფლოტი. ოსმალეთის საზღვაო ქალაქებში აგებული იყო გემთმშენებლობის ვერფები. სტამბოლში, მაშინ როცა ძალიან გაიზარდა მოთხოვნილება საშენ მასალასა და შეშაზე და ამ მიმართულებით გარკვეული დაბრკოლებები წარმოიშვა, წარმოიშვა იდეა შავ და მარმარილოს ზღვებს შორის არხის მშენებლობისა.

1591 წლის 11 მარტს სულთანმა გამოსცა ბრძანება ,,საქარია-საფანჯა-იზმითის ყურის შორის არხის მშენებლობის შესახებ.“ მიუხედავად ამისა 1591 წლის 11 აპრილს

გამოიცა მურად III-ის ბრძანება არხის მშენებლობის შეწყვეტის შესახებ. სულთანმა მიზეზად დაასახელა, რომ უმჯობესი იყო გემების აგება, ვიდრე ზარბაზნების.

1593 წელს ოსმალეთმა დაიწყო ომი ავსტრიასთან. ამ პერიოდისთვის ოსმალეთის ქვეშ მყოფმა ვასალურმა სამთავროებმა მის წინააღმდეგ კავშირი შექმნეს. 1594 წელს სამ ვასალს შორის: ტრანსილვანია, მოლდავეთი და ვალახეთს შორის დაიდო საბრძოლო შეთანხმება ოსმალეთის წინააღმდეგ. ამავე წელს სერბიის მოსახლეობა აჯანყდა ოსმალეთის წინააღმდეგ.

1596 წელს ოსმალებმა დაამარცხეს ავსტრია-უნგრეთის ჯარი, მიუხედავად ამისა ოსმალებმა ამ ომში წარმატებას ვერ მიაღწია, რის გამოც 1606 წელს დაიდო ზავი, რომლის მიხედვითაც ოსმალეთმა და ვერც ავსტრიამ ვერავითარი ტერიტორიული გაფართოებას ვერ მიიღწიეს. სულთანმა უარი განაცხადა ავსტრიისგან ყოველწლიურ ხარკის მიღების თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულებით ნათელი გახდა ოსმალეთის საგარეო-პოლიტკური ძლიერების დასუსტების დასაწყისი.

1615 და 1616 წლებში ვენაში ოსმალეთსა და ავსტრიას შორის დაიდო ახალი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ოსმალეთი წავიდა ახალ დათმობებზე. ავსტრიის ვასალ ქვეყნებს მიეცათ იმის უფლება, რომ თავისუფლად ევაჭრათ ოსმალეთის იმპერიაში ბაჟის გადახდის სამი პროცენტის ფარგლებში. ასევე კათალიკოსებს მიეცათ უფლება ოსმალეთში აეშენებინათ ეკლესიები. ამის საფუძველზე ავსტრიამ თავისი თავი მიიჩნია იმპერიაში მცხოვრებ კათოლიკეების ფარველად, ამ ყველაფერმა მას შემდგომში მისცა საშუალება, რომ ჩარეულიყო ქვეყნის საშინაო საქმეში.

ამრიგად, ოსმალეთის დასუსტების შემდეგ ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოები აფართოვებენ სავაჭრო უპირატესობას და ნელ-ნელა იკიდებენ ფეხს ოსმალეთის ბაზარზე.

კაზაკებმა შავი ზღვის ოსმალეთის სანაპიროზე გაანახლეს თავდასხმა VII საუკუნის 30-იან წლებში. კერძოდ რუმელიაში, ამის გამო ოსმალეთს გაუარესდა ურთიერთობები პოლონეთთან, თუმცა პოლონეთი ამის მიუხედავად ოსმალეთთან ომს მოერიდა და 1630 წელს დაიდო დროებითი ზავი პოლონეთსა და ოსმალეთს შორის. მაგრამ დაზავებამ ორ სახელმწიფოს შორის დიდი ხანი არ გაგრძელებულა და 1634 წელს ოსმალეთის ჯარი პოლონეთისკენ გაემართა. პოლონეთის მთავრობამ ომი, რომ აეცილებინა ოსმალეთთან, სულთანთან თავისი ელჩი გგზავნა და კვლავ ზავი შესთავაზა.

1634 წელს ოსმალეთსა და პოლონეთს შორის დაიდო ზავი, რომლის თანახმადაც პოლონეთს ყოველწლიური ხარკი უნდა გადაეხადა ყირიმის ხანისთვის. ასევე პოლონეთს უნდა შეეწყვიტა ოსმალეთზე კაზაკთა თავდასხმები. ვენეციამ

დიპლომატიური საქმიანობა წამოიწყო ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად. ამ მიზნის განსახორციელებლად მან მიმართა რომის პაპს, პოლონეთს, ესპანეთს, და გერმანიის სამეფოებს. ვენეციამ აგრეთვე გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები უკრაინასთან ურთიერთობის დასამყარებლად, რომლის მიზანს წარმოადგენდა ზაპოროჟიელი კაზაკების ჩართვას ოსმალეთის წინააღმდეგ ომში.

1648 წელს ვესფალის ზავით დასრულდა 30-იან წლიანი ომი ცენტრალურ ევროპაში, რომლის თანახმადაც ავსტრიამ და ჰასბურგმა განიცადეს დიდი ტერიტორიული დანაკარგი, ამის ფონზე ავსტრიამ გადაწყვიტა ხელთ ეგდო ოსმალეთის ბატონობის ქვეს მყოფი უნგრეთი. ვენეცია ოსმალეთს კრეტაზე დაახლოებით 24 წელი წინააღმდეგობას უწევდა, მგრამ იძულებული შეიქმნა 1669 წელს კუნძული ოსმალეთისთვის დაეთმო.

ავსტრია მეტად წარმატებულ ომს აწარმოებდა ოსმალეთთან. 1664 წელს ოსმალეთი დამარცხდა სემ-გოტართან და იძულებული გახდა დაედო ზავი, რომელიც დაიდო იმავე წელს, 24 წლის ვადით.

1564 წელს, რუსეთის მერ უკრაინის შემოერთების შემდეგ, მნიშვნელოვნად გადაიწია სამხრეთისკენ და მიუახლოვდა შავ ზღვას, ამან გამოიწვი პოლონეთისა და ოსმალეთის აღშფოთება. 1665-1667 წლებში რუსეთს ომს აწარმოებდა პოლონეთთან. პოლონელებს კი მხარს უჭერდა ყირიმის ხანი. ომის შედეგად ორივე მხარემ ნახა ზარალი, რის გამოც 1667 წელს დაიდო ზავი, რომლის თანახმადაც რუსეთს დარჩა უკრაინის მარცხენა სანაპირო, მარჯვენა სანაპირო კი პოლონეთს. ორი წლის ვადით კიევი გადაეცა რუსეთს.

1666 წელს ომი ოსმალეთი და პოლონეთ ომს აწარმოებდა უკრაინისთვის. პოლონეთი და რუსეთი საერთო საფრთხის გამო ერთმანეთს დაუკავშირდა, ამიტომ მათ შორის 1972 წელს დაიდო ხელშეკრულება. 1972 წელს ოსმალეთის ჯარი შეიჭრა პოლონეთსა და უკრაინის მარჯვენა სანაპიროზე, რის გამოც პოლონეთი იძულებული შეიქმნა დაეხია უკან. ამავე წელს ხელი მოაწერეს ზავს, რომლის მიხედვითაც ოსმალეთს გადაეცა მთელი პოდოლია და კამენეც-პოდოლსკი. პოლონეთი იძულებული შეიქმნა დაეთმო უკრაინის სამხრეთ ნაწილიც და ამავე დროს ოსმალეთისთვის გადაეხადა ყოველწლიური ხარკიც. მაგრამ პოლონეთმა არ დაამტკიცა ეს ხელშეკრულება და კვლავ განაახლა ომი ოსმალეთთან. 1673 წელს პოლონელებმა დამარცხეს ოსმალები, მაგრამ ეს გამარჯვება ვერ მოირგეს თავიანთ სასარგებლოდ. 1676 წელს დაიდო ახალი ზავი ოსმალეთსა და პოლონეთს შორის, რომლი მიხედვითაც ოსმალეთმა დაუთმო პოდოლია.

1677 წელს ოსმალეთი თავს დაესხა უკრაინას, ამ თავდასხმის მიზანს წარმოადგენდა კიევის ხელში ჩაგდება. მაგრამ დამარცხდა ოსმალეთი. 1681 წელს

დაიდო ზავი, რომლის მიხედვითაც რუსეთს რჩებოდა უკრაინის მარცხენა სანაპირო და კიევი, უკრაინის მარჯვენა სანაპირო კი ოსმალეთს.

1683 წელს ოსმალეთის ლაშქარი თავს დაესხა უნგრეთს და დამარცხეს ავსტრიელები. შემდგომ ოსმალეთის ჯარი გაემართა ვენისკენ, სადაც სასტიკად დამარცხდნენ. ვენსათან დამარცხებით დასრულებული იქნა ოსმალეთის ექსპანსია ევროპაში.

1684 წელს შეიქმნა კოალიცია ანტიოსმალური სახელწოდებით ,,საღმრთო ლიგა". რომლის რიგებში შედიოდა პოლონეთი, ავსტრია, მალტა, ვენეცია.

მოკავშირეებმა დაიწყეს შეტევაზე გადასვლა. ოსმალეთი მარცხს მარცხზე განიცდიდა. ამის გამო ოსმალეთი იძულებული გახდა ეთხოვა ზავი. 1699 წლის 26 იანვარს კარლოვიცში დაიდო ზავი, რომლის მიხედვითაც ავსტრიის ფლობელობაში გადავიდა თითქმის უნგრეთის მთელი ტერიტორია, რომელიც ზავამდე ოსმალეთს მფლობელობაში იყო, ასევე ბაჩკა, ტრანსილვანია და თითქმის მთელი სლოვენია. პოლონეთმა - უკრაინის მარჯვენა სანაპიროს ნაწილი, რომელიც ოსმალეთის მფლობელობაში იყო და პოდოლია; ვენეციამ - მორეა, დალამაციის ნაწილი არქიპელაგის რიგი კუნძულები.

1700 წლის 3 ივლისს, რუსეთსა და ოსმალეთს შორის სტამბოლში დაიდო დროებითი ხელშეკრულება, სამი წლის ვადით. რომლის მიხედვითაც რუსეთმა მიიღო აზოვი და მისი შემოგარენი მიწები. რუსეთმა შეუწყვიტა ხარკის მიცემა ყირიმის ხანს. რუსეთს დნეპრისპირა ქალაქები უნდა გადაეცათ ოსმალეთისთვის. ოსმალეთი ვალდებული იყო აღეკვეთა კაზაკების თავდასხმა ოსმალეთის ტერიტორიაზე, ხოლო ოსმალეთი ვალდებული იყო აღეკვეთა თათრების თარეში რუსეთის ტერიტორიაზე. პირველად, რუსეთმა მიიღო უფლება, რომ მათ ჰყოლოდა თავისი ელჩობა სტამბოლში.

კარლოვიცის და სტამბოლის ხელშეკრულებას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. აღნიშნული ხელშეკრულებით პირველად მოხდა ოსმალეთის ტერიტორიების გადანაწილება ევროპის სახელმწიფოს მიერ.

ოსმალეთი დაპყრობით ომს არ აწარმოებდა XVIII საუკუნის პირველ ათწლეულებში, თუმცა ევროპაში საერთაშორისო ვითარება ხელსაყრელი იყო; ჩრდილოეთის ომი; ომი ესპანეთის მემკვიდრეობისთვის. თუმცა XVIII საუკუნის მეორე ათწლეულში ოსმალეთმა კვლავ განაახლა ომი.

ოსმალეთში რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლები გაძლიერდა 1709 წლიდან, როდესაც სტამბოლს შეაფარა თავი პეტრე I-ის მიერ პოლტავასთან დამარცხებულმა შვედეთს მეფემ, რომელმაც შესთავაზა სულთანს კავშირი შექმნათ რუსეთის

წინააღმდეგ. ომის მომხრე იყო ყირიმის ხანიც. 1710 წლის 9 ნოემბერს ოსმალეთმა ომი გამოუხცადა რუსეთს. პეტრე I-ს სურდა თავიდან აეცილებინა ესდაპირისპირება , მაგრამ ამის მიუხედავათ 1711 წლის 22 თებერვალს რუსეთმაც ომი გამოუცხადა ოსმალეთს. ამ ყველაფრის მიუხედავად რუსეთის სამხედრო საბჭოზე მიღეს დადგენილება ოსმალეთისთვის ზავი შეეთავაზებინათ, უარის შემთხვევაში კი რუსეთი აპირებდა შეტევაზე გადასულიყო. დაიწყო მოლაპარაკება. 1711 წლის 12 ივლის დაიდო ზავი, რომლის მიხედვითაც რუსეთი ვალდებული იყო ოსმალეთისთვის გადაეცა აზოვი, დაენგრია ტაგანროგი და სხვა ციხეები და ასევე გამაგრებული პუნქტები, პოლონეთიდან უნდა გაეყვანა ჯარი და ეკრძალებოდა არ ჩარეულიყო მის საშინაო საქმეში, არ გაეწია დახმარება დონიისა, ზაპოროჟიელი, კაზაკებისათვის. შავ ზღვაზე ეკრძალებოდათ ვაჭრობა, უფლება არ ჰქონდათ თავიანთი წარმომადგენელი ჰყოლოდა კონსტანტინეპოლში. ოსმალეთი ვალდებული იყი შვედეთის მეფე გამოეშვათ ოსმალეთიდან, ხოლო რუსეთი უფლებას აძლევდა კარლოს XII-ს თავის ტერიტორიის გავლით დაბრუნებულიყო შვედეთში.

ზავის დადების მიუხედავად არცერთი მხარე არ ასრულებდა პრუტის ხელშეკრულების მოთხოვნების შესრულებას. 1711 წლის 9 დეკემბერ ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. თუმცა ოსმალეთის მთავრობამ გადასცა ახალი საზავო პირობები რუსეთის წარმომადგენლებს. კვლავ განახლდა მოლაპარაკება. ყველაფერს ართულებდა ის რომ, ამ ყველაფრით დაინტერესებული იყვნენ ევროპის სახელმწიფოები.

1712 წლის 5 აპრილს რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო ხელშეკრულებ. თუმცაა ოსმალეთის მდივნის სამდივნომ 31 ოქტომბერს მიღო დადგენილება ომი გამოეცხადა რუსეთისთვის. თუმცა ომის გამოცხადების შემდეგ საომარი მოქმედებები არ განახლებულა. 1713 წლის 24 ივნის ოსმალეთსა და რუსეთ შორის დაიდო ოცდახუთი წლის ვადით ზავი ანდრიანაპოლში. აღნიშნული ზავის მიხედვით დამთავრდა 1710-1713 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი. ხელშეკრულების გამეორებული იყო პრუტის საზავო ხელშეკრულების პირობები.

ოსმალეთის სულთანმა რუსეთთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ გადაწყვიტა ომი ეწარმოებინა ვენის წინააღმდეგ, სულთანმა საბრძოლო მოქმედებები ვენის წინააღმდეგ 1714 წელს დაიწყო, რომლის მიზანს წარმოადგენდა დაებრუნებინა კარლოვიცის ზავის პირობების შედეგად დაკარგული ტერიტორიები. ვენეციამ დახმარება სთხოვა რომის პაპს და ავსტრიას. 1716 წელს ოსმალეთის წინაღმდეგ ომში ჩაერთო ავსტრიაც. ოსმალეთი მარცხდებოდა ავსტრიასთან. 1718 წელს მოლაპარაკება დაიწყეს პოჟარევაცში. 1718 წლის 12 ივლის თურქეთმა და ვენეციამ ხელი მოაწერეს სამშვიდობო ხელშეკრულებას, რომლის თანახმადა ვენეციამ დაკარგა არქიპელაგის კუნძულები, კუნძული კრეტა, მორეა, ხოლო ეს ტერიტორიები დაუბრუნდა ოსმალეთს.

1718 წლის 21 ივლის ავსტრიამ და ოსმალეთმა ხელი მოაწერეს სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ავსტრიის მფლობელობაში გადავიდა სერბიის ნაწილი ქ. ბელგრადითი, ბანატი, ვალახეთის ნაწილი და ჩრდილოეთ ბოსნია. კათალიკურმა მოსახლეობას მისცეს ლოცვის უფლება ოსმალეთის ტერიტორიაზე. 27 ივლის ოსმალეთმა და ავსტრიამ სავაჭრო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რომლის მიხედვითაც ავსტრიამ მიიღო ეკონომიკური სარგებლობა.

ამრიგად, ოსმალეთმა ამ ყველაფრით მარცხი განიცადა, რამაც განაპირობა მისი მდგომარეობის უფრო მეტად გაუარესება.

1724 წელს სტამბოლში მოლაპარაკება მიმდინარეობდა რუსეთსა და ოსმალეთს შორის. ამ მოლაპარაკების შედეგად1724 წლის 24 ივნის სტამბოლში ოსმალეთმა და რუსეთმა მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას, რომელიც ცნობილია, როგორც ,,დანაწილების ხელშეკრულების“ სახელით, აღნიშნული ხელშეკრულებით ოსმალეთმა და რუსეთმა გადაინაწილეს ირანი. ოსმალეთი აღიარებდა რუსეთის მიერ კასპიისპირა პროვინციების მიერთებას. სანაცვლოდ ოსმალეთი მიიღებდა ამიერკავკასიის დანარჩენი ნაწილებს, ასევე მთლიანად ირანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილს, კერძოდ აზერბაიჯანს და ქურთისტანს. ზავის თანახმად ორივე მხარე ვალდებული იყო საერთო ძალის მეშვეობით ებრძოლათ შაჰ-თამაზის წინააღმდეგ და ტახტზე დაემტკიცებინათ სხვა კანონიერი მემკვიდრე. ამგვარად, რუსეთმა და ოსმალეთმა გადაინაწილეს აღმოსავლეთ ამიერკავკასია და ირანი.

პეტრე I-ის გარდაცვალების შემდეგ რუსეთი დიდ ყურადღებას არ უთმობდა ირანს. რუსეთს ამავე დროს კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა ოსმალეთთან, ამის გამო რუსეთმა გადაწყვიტა მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა ირანთან. 1736 წელს აპრილში რუსეთმა ყირიმს ომი გამოუცხადა, შეიჭრა და დაიკავეს ყირიმის დედაქალაქი და შემდეგ უკან დაბრუნდნენ. ასევე რუსეთის ჯარმა ხელთ იგდო აზოვი.

1736 წელს თავდაცვითი ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ავსტრიამ და რუსეთმა. თუმცა 1737 წელს ავსტრიამ საბრძოლო მოქმედება დაიწყო რუსეთის წინააღმდეგ. ავსტრია შეიჭრა სერბიაში, ვალახეთში, ბოსნიაში და ხელთ იგდეს მრავალი ქალაქები. 1737 წელს რუსეთის ჯარმა მიაღწია ყირიმამდე და ხელში ჩაიგდეს მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე ოჩაკოვი.

1637 წელს უკრაინაში გაიმართა კონფერენცია, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ მეომარი მხარეები, თუმცა მხარები ვერ შეთანხმდნენ. საბრძოლო მოქმედებები კვლავ განახლდა. 1739 წელს ოსმალეთის ლაშქარმა დაიწყო შეტევა ავსტრიის ფრონტზე. ომში რუსეთიც ჩაერთო. ავსტრიამ მიღო გადაწყვეტილება, რომ აჯობებდა დაედო სეპარატისტული ზავი ოსმალეთთან. 1739 წლის 1 სექტემბერს

ბელგრათან ავსტრიამ დადო სეპარატული სამშვიდობო ხელშეკრულება ოსმალეთთან, რომლის თანახმადაც ავსტრიამ ოსმალეთს დაუბრუნა არა მხოლოდ ის ტერიტორიები, რომელიც დაკარგული ჰქონდა ამ ომში, ამავ დროულად იმ ტერიტორიის ნაწილები, რომელიც მან მიიღო 1718 წლის პოჟარევაცკის ხელშეკრულებით, თემეშვარი, ბანატი, სერბია, ბელგრადი, ბოსნიის ჩრდილოეთ ნაწილი და მცირე ვალახეთი.

რუსეთსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობა გაუარესდა XVIII საუკუნის 60-იან წლებში. ეს ყველაფერი გამოწვეული იყო რამდენიმე მიზეზ გამო. ამ პერიოდისთვის ყირიმის ხანმა და ნოღაის ხანმა გაახშირეს თავდასხმა სამხრეთ რუსეთზე. ასევე შემდეგ მიზეზს წარმოადგენდა რუსეთის გემებისთვის შავ ზღვაზე ნაოსნობის აკრძალვა.

1768 წლის 14 ოქტომბერს საომარი მდგომარეობა განახლდა ოსმალეთსა და რუსეთს შორის. 1769 წლის აპრილში გაიმართა დუნაის ფრონტზე პირველი ბრძოლა რუსეთთან. ოსმალეთის ჯარი მარცხს განიცდიდა და იძულებული იყო დაეხია სამხრეთისკენ. 1771 წელს რუსეთმა სამხედრო გამარჯვება მოიპოვა. სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ყირიმის დაკავება.

1772 წლის 27 ივლის დაიწყო კონფერენცია, რომელიც დაიწყო რუსეთის მოთხოვნის პირველი პუნქტის განხილვით, რომლის მიხედვითაც რუსეთი ითხოვდა ყირიმს დამოუკიდებლობას. თუმცა ოსმალეთმა უარი განაცხადა, ხოლო მოლაპარაკება შეწყდა, თუმცა, საბრძოლო მოქმედება არ განახლებულა.

1772 წლის 29 ოქტომბერს ბუქარესტში განახლდა ახალი სამშვიდობო მოლაპარაკება. დროებითი ზავი გაგრძელებული იქნა 1773 წლის 9 მარტამდე, მაგრამ ამჯერად შეთანხმებას ვერ მიღწიეს. 9 მარტს ბუქარესტში ვერ შედგა მოლაპარაკება და აპრილში კვლავ განახლდა სამხედრო მოქმედება.

სამხედრო გამარჯვება რუსეთმა დიპლომატიური გამარჯვებით დაასრულა. 1774 წლის 21 ივლის სოფელ ქუჩუკ-კაინარჯში მოაწერეს ხელშეკრულებას ხელი, რომლითაც ორივე მხარე აღიარებდა ყირიმის სახანოს დამოუკიდებლობას, რუსეთის მფლობელობაში გადადიოდა შავ ზღვის სანაპიროზე მდებარე ტერიტორიის ნაწილი, ქალაქები იენიკალე, ქერჩი და კინბურნი, ხოლო ოჩაკოვი ოსმალეთის მფლობელობაში გადადიოდა. რუსეთს უბრუნდებოდა დიდი და პატარა ყაბარდო, აზოვი. ბესარაბია, მოლდავეთი და ვალახეთი. თუმცა რუსეთი წავიდა დათმობაზე იმის თაობაზე, რომ ის აღიარებდა სულთან-ხალიფას სასულიერო ხელისუფლებას მუსლიმ თათრებზე.

1774 წლის 22 აგვისტოს ეკატერინე II-მ მოახდინა აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიკაცია, თუმცა ოსმალეთის სულთანი არ ჩქარობდა მის

შესრულებას. მაგრამ ავსტრიასთან და ირანთან ურთიერთობის გაუარესებამ სულთანი აიძულა 1774 წლის 24 იანვარს მოეხდინა ხელშეკრულების რატიფიკაცია.

ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ ოსმალეთს სურდა დაებრუნებინა ყირიმი. 1775 წელს სულთანის ხელდებულ ყირიმის ხანს სურდა ოსმალეთის ჯარის დახმარება, რათა დაეპყრო ყირიმი. ოსმალეთმა შეწყვიტა დაკისრებული კონტრიბუციის გადახდა, მოითხოვა კინბურნის დაბრუნება და მზადება დაიწყო, რომ ხელში ჩაეგდო ქერჩის და იენიკალი.

ამის საპასუხოდ რუსეთმა 1776 წლის ნოემბერში დაიკავეს პერეკოპი, შეიჭრნენ ყირიმში და ხელთ იგდეს მთელი ყირიმი. 1779 წლის 21 მარტს ოსმალეთსა და რუსეთს შორის დაიდო კონვენცია, რომლითაც დადასტურეს ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულების პირობები. მიუხედავად ამისა ოსმალეთი არ ცნობდა ყირიმის დამოუკიდებლობას.

1783 წლის 19 აპრილს ეკატერინე II-მ გამოსცა მანიფესტი, სადაც ეწერა, რომ რუსეთმა შემოიერთა ყირიმი.

1784 წლის ივნისში ოსმალეთმა და რუსეთმა ხელი მოაწერეს სავაჭრო ხელშეკრულებას ხელი, რომელიც იყო ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულების პირობების შემდგომ განვითარება, რომლის მიხედვითაც რუსეთის ვაჭრებს უფლება ეძლეოდა თავისუფლად ევაჭრათ, გადაადგილებულიყვნენ ოსმალეთის ტერიტორიაზე. საქონელი, რომელიც რუს ვაჭრებს შეჰქონდათ და გამოჰქონდათ ოსმალეთის იმპერიაში, მხოლოდ ერთხელ იბეგრებოდა ბაჟით, საქონლის ღირებულების სამი პროცენტით, რუსეთს შეეძლო საკონსულო გაეხსნა ნებისმიერ ქალაში და სხვა.

რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა მეტად რთულდებოდა. 1787 წლის 27 აგვისტოს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს.

რუსეთის წარმატებამ, რომელიც მათ მიაღწიეს როგორც ხმელეთზე ასევე ზღვაზე ოსმალეთი აიძულა ზავის დადებაზე. 1791 წლის ოქტომბერში იასაში დაიწყო სამშვიდობო საზავო კონფერენცია, რომელიც დასრულდა 1792 წლის 9 იანვარს ხელშეკრულების ხელის მოწერით.

ამ ხელშეკრულებით საზღვარი ოსმალეთსა და რუსეთს შორის უნდა გასულიყო მდ.დნესტრზე . შესაბამისად რუსეთს გადაეცა ტერიტორია დნესტრსა და ბუგას შორის, ოჩაკოვის ჩათვლით. რუსეთი ოსმალეთისთვის უნდა დაებრუნებინა მოლდავეთი და ბესარაბია, ასევე ოსმალეთი იღებდა პასუხისმგებლობას შეენარჩუნებინა აღნიშნულ რეგიონის მოსახლეობისთვის ის შეღავათები, რომელიც მიიღეს ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულებით. ოსმალეთმა უარი განაცხადა

საქართველოს მიმართ რაიმე სახის პრეტენზიაზე. იასის ხელშეკრულებამ ძალაში დატოვა ის საზავო ხელშეკრულება, რომლითაც 1768-1774 წლების ომების შედეგად რუსეთმა ძალზე განამტკიცა თავისი პოზიციები როგორც კავკასიაში, ისევე ბალკანეთსა და შავ ზღვის რეგიონში.

1.3 წინააღმდეგობების გაღრმავება ოსმალეთსა და რუსეთს შორის ევროპასა და სამხრეთ კავკასიაში. სელიმ III-ის დროს ის ხალხები, რომლებიც იყვნენ ოსმალეთის ჰეგემონიის ქვეშ განსხვავებული მიდგომით აწარმოებდნენ ომს თავიანთი მჩაგვრელების წინააღმდეგ.[4] მიუხედავად იმისა, რომ, 1770 წელს ოსმალეთმა შეძლეო ჩაეხშო საბერძნეთში აჯანყება, მაგრამ მიუხედავად ამ ყველაფრისა ბრძოლა მაინც გაგრძელდა. ომს აწარმოებდა პარტიზანები - კლეფტები. VIII საუკუნის ბოლოს და XIV საუკუნის დამდეგს ძალიან მოხშირდა განმანთავისუფლებელი მოძრაობა. აღნიშნული მოძრაობის ძირითად ეკონომიკური საფუძველს წარმოადგენდა საბერძნეთში ვაჭრობასა და ნაოსნობის განვითარება. ბერძენმა ვაჭრებმა წამოიწყეს აღმოსავლეთიდან ფრანგი ვაჭრების განდევნა.

ამ დროისთვის გახშირდა ბულგარელ საზოგადოების განმანთავისუფლებელი მოძრაობა, რომლის მიზეზიც წარმოადგენდა ეკონომიკური ფაქტორი.

ასევე განმანთავისუფლებელ მოძრაობას აწარმოებდა ჩერნოგორიელებიც.1792-1796 წლებში მათ რამდენჯერმე დამარცხეს თურქები, რის გამოც სულთანი იძულებული იყო ეღიარებინა ჩერნოგორიელების დამოუკიდებლობა.

განსხვავებული იყო, სერბების აჯანყება, რომელსაც 11 წელი გაგრძელდა. აჯანყებულებმა რამდენიმე ქალაქი და დასახლებული პუნქტები გაანთავისუფლეს, ასევე ემზადებოდნენ ბელგრადის წინააღმდეგ საბრძოლველად. სერბები ითხოვდნენ მიეცათ მათვის საშინაო ავტონომია, გაეყვანათ საფაშოდან ჯარები, მიეცათ მათვის იმის უფლება, რომ თვითონ აერჩიათ გამგებლები. სულთანმა უარი განაცხადა აჯანყებულთა მოთხოვნაზე, მაგრამ მიუხედავად ამისა მან ვერ შეძლო ჩაეხშო მათი აჯანყება და 1806 წელს იძულებული შეიქმნა დაეწყო მათთან მოლაპარაკება. დაიდო მხარეებს შორის შეთანხმება, რომლის მიხედვითაც სერბიამ მიიღო საშინაო ავტონომია, მაგრამ ოსმალეთის შემადგენლობაში შევიდა. სერბიას ყოველწლიურად უნდა გადაეხად ოსმალეთის სასარგებლოდ ქისა. მაგრამ ეს შეთანხმება ჩაშალეს ფრანგებმა, ამ ყველაფერს ფრანგებმა მიაღწიეს იმით, რომ მათ დაარწმუნეს ოსმალები იმაში, რომ ასეთ ავტონომიას უფლებას ითხოვდა მორეაც.

კვლავ განახლდა საბრძოლო მოქმედებები. ამ პერიოდისთვის დაიწყო თურქეთ-რუსეთის 1806-1812 წლების ომი. რუსეთი მხარს უჭერდა სერბიას,

[4] მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007 გვ. 267-268

განმანთავისუფლებელ მოძრაობაში. 1812 წლის ბუქარესტის ზავის თანახმად სერბებმა მიიღეს საშინაო ავტონომია.

1813 წელს სულთანმა ზავის პირობები დაარღვია, მაგრამ სულთანი იძულებული შეიქმნა წასულიყო დათმობაზე და 1815 წელს დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც სერბიას შეეძლო ჰყოლოდა თავისი არმია და ასევე თვით მართველი ორგანოები. სერბია შედიოდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში, ემორჩილებოდა მას, იხდიდა ხარკს სულთანს. ბელგრადსა და სხვა ქალაქებში რჩებოდა თურქეთის გარნიზონები.

1802 წელს საფრანგეთთან ზავის დადების შემდეგ, ოსმალეთში პოლიტიკური მდგომარეობა სტაბილური იყო. რუსეთი და ინგლისი ნაპოლეონის თავდასხმითი პოლიტიკის გამო, სურდათ ოსმალეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონოდათ.

1505 წლის 23 სექტემბერს ოსმალეთმა და რუსეთმა დადეს ახალი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც მათ საერთო მტერი და მეგობარი ეყოლებოდათ. თუ რომელიმე მხარეს თავს დაესხმებოდნენ, მას დახმარებოდნენ. ამ ხელშეკრულების თანახმად, რუსეთის შავი ზღვის სამხედრო ფლოტს შეეძლო ბოსფორსა და დარდანელის სრუტეებში გასვლა.

მაგრამ საფრანგეთი ისევ ცდილობდა რუსეთი და ინგლის ოსმალეთის წინაამდეგ წასულიყვნენ. საფრანგეთის გავლენა ოსმალეთზე გაძლიერდა 1805 წელს 3 დეკემბერს ავსტერლიცის ბრძოლის შემდეგად, რომლის დროსაც ნაპლეონმა მოიპოვა გამარჯვება ავსტრალიელებთან და რუსებთან. აუსტერლიცთან ნაპოლეონის გამარჯვებამ საბოლოოდ მოშალა კავშირი ოსმალეთის და რუსეთის. ომი კვლავ განახლდა. 1806 წელს საფრანგეთმა მოახდინა ზეწოლა ოსმალეთზე, რის შედეგადაც ოსმალეთმა დაარღვია 1805 წელს რუსეთთან დადებული ხელშეკრულება. რუსეთის ომის დაწყების ძირითადი მიზეზი გახდა ოსმალეთის სულთანის მიერ რუსეთის იმპერატორის თანხმობის გარეშე, რომ გადააყენა მოლდოვეთისა და ვალახეთში გოსპოდარი. ამის გამო რუსეთის ჯარი 1806 წლის 28 ოქტომბერს გადალახეს მდ. დნესტრი და შეიჭრნენ მოლდავეთის სამთავროში.

1807 წელს 5 იანვარს ოსმალეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა. 1811 წელს რუსეთმა დაამარცხა ოსმალეთი. რის გამოც ოსმალეთი იძულებული გახდა დაედო ზავი რუსეთთან. 1812 წლის 28 მაის რუსეთმა და ოსმალეთმა ბუქარესტში დადეს ზავი, რომლის მიხედვითაც რუსეთმა მფლობელობაში გადავიდა ბესარაბია. რუსეთსა და ოსმალეთის საზღვარი ევროპაში გადაიწია მდ. პრუტამდე; ოსმალეთი იძულებული იყო ამნესტია გამოეცხადებინა სერბებისათვის და მიეცა მათთვის საშინაო ავტონომია.

ოსმალეთში ვაჭრობის ძალიან დიდი ნაწილი ბერძენ ვაჭართა ხელში იყო.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთსა და თურქეთს შორის არსებული ომების დროს ბერძენი მოსახლეობა დიდ შთაბეჭდილებით ხვდებოდა რუს მეზღვაურებს, რადგანაც მათ გაუჩნდათ იმედი, რომ განთავისუფლდებოდნენ ოსმალთა ბატონობისგან.

1789 წლის ბურჟუაზიულომა რევოლუციამ საფრანგეთში მეტად გააძლიერა ბერძენი ხალხის სურვილი, რომ მიეღწიათ ეროვნული დამოუკიდებლობისთვის.

1821 წელს 6 აპრილს მორეაში დაიწყო აჯანყებები, რომელიც მიმართული იყო ოსმალეთის ბატონობის წინააღმდეგ. მალევე აჯანყება მთელ კუნძულს მოედო, იქიდან კი ეგეოსის კუნძულზეც გავრცელდა.

1822 წლის 13 იანვარს მოიწვიეს საბერძნეთის ეროვნული კრება, რომელმაც საბერძნეთი დამოუკიდებლად გამოაცხადა.

სულთანმა ვერ შეძლო აჯანყებულების ჩახშობა, საკუთარი ძალით და დახმარების თხოვნით მიმართა ეგვიპტის გამგებელს. 1824 წელს ეგვიპტის ჯარი, შეიჭრა მორეაში და აჯანყებულებს გაუსწორდა, დამარცხდნენ ბერძნები და დაკარგეს ტერიტორიის დიდი ნაწილი.

ოსმალეთის სულთანს სჯეროდა, რომ ეგვიპტის არმის საშუალებით საბოლოდ დაამარცხებდა აჯანყებულ ბერძნებს, მაგრამ ასე არ მოხდა.

1825 წელს რუსეთის ტახტზე ავიდა ნიკოლოზ I, რომელსაც უნდოდა მოეგვარებინა საბერძნეთის საკითხი.

ინგლისის ინტერესების სფეროში არ შედიოდა ის, რომ რუსეთს დაეწყო ომი ოსმალეთის წინააღმდეგ. რადგანაც, თუ ომი დაიწყებოდა ოსმალეთი დამარცხდებოდა. ინგლისს სურდა, რომ საკითხი მშვიდობიანად მოეგვარებინათ. ამიტომ 1826 წელს პეტერბურგში ჩავიდა ლორდი ველიგტონი. 1826 წლის 4 აპრილს პეტერბურგში ხელი მოაწერეს ოქმს, აღნიშნული ოქმის თანახმად ინგლისმა და რუსეთმა მოითხოვეს, რომ სულთანს აღარ გაეგრძელებინა საომარი მოქმედება აჯანყებული ბერძნების წინააღმდეგ და მათთვის მიეცა ავტონომია.

ასევე რუსეთმა ოსმალეთის მთავრობას გაუგზავნა ნოტა, რომლის მიხედვითაც რუსეთი მოითხოვა ბუქარესტის ზავის პირობების შესრულებას.

ოსმალეთმა უარი განაცხადა რუსეთ-ინგლისის მოთხოვნაზე იმის თაობაზე, რომ საბერძნეთისთვის მიენიჭებინათ ავტონომია და ეს ყველაფერი ოსმალეთმა საკუთარი საშინაო საქმეში ჩარევად აღიქვა.

1826 წლის პეტერბურგის პაქტს შეუერთდა საფრანგეთიც. ავსტრია და პრუსიამ უარი განაცხადეს.

1827წლის 16 აგვისტოს რუსეთის, საფრანგეთის, ინგლისის, წარმომადგენლებმა პროტას გადასცეს ნოტა საბერძნეთის საკითხთან დაკავშირებით. პასუხად პროტას მიეცა 15 დღე. თუ უარს განაცხადებდა პროტა მათ მოთხოვნებზე ისინი მიიღებდნენ საჭირო ზომებს. პორტამ არა მარტო არ მოისურვა პასუხის გაცემა, არამედ ნოტას მიღებაც კი.

1827 წელს ოქტომბერში რუსეთის,, საფრანგეთისა და ინგლისის გაერთიანებული ესკადრა საბერძნეთისკენ გაემართა. 1827 წლის 20 ოქტომბერს ნავარინის ყურეში გაემართა საზღვაო ბრძოლა, სადაც ოსმალეთ-ეგვიპტის ფლოტი დამარცხდა.

1828 წლის 26 აპრილს რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს. საომარი მოქმედება მიმდინარეობდა, როგორც ბალკანეთში, ასევე კავკასიაში. 1828 წლის 20 მაის ოსმალეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს. რუსეთს იმედი ჰქონდა, რომ ომი კონსტანტინეპოლთან დამთავრდებოდა დაზამრთრებამდე. 1828 წლის ბოლოსთვის რუსეთმა შავი ზღვისპირა ქალაქების შუმენისა და სილისტრიის აღება შეძლეს, მოხსნეს ალყა და საზამრთროდ დუნაისპირეთში გამაგრდნენ.

უფრო უკეთ აწარმოებდნენ საბრძოლო ოპერაციები კავკასიის ფრონტზე. შავი ზღვის სანაპიროზე 1828 წლის 12-13 ივნისს ხელთ იგდეს ფოთი და ანაპა. 23 ივნის აიღეს ციხე-სიმაგრე ყარსი. ამ ყველაფრის შემდეგ ბრძოლა მიმდინარეობა ახალციხის მიმართულებით. 15 ივლის რუსეთის ჯარებმა აიღეს ახალქალაქი, ასპინძა, ხერთვისი ციხეები, ხოლო 16 აგვისტოს - ახალციხე. ასევე ხელთ იგდეს არტაანი და აწყური. ამით გაუქმდა ახალციხის საფაშო. 1829 წლის 17 ივლის რუსეთის ლაშქარმა აიღეს არზურუმი და ემზადებოდა ტრაპიზონის და ბათუმისა ასაღებად.

1829 წლის 30 მაის რუსეთის ჯარმა დაიკავა სილისტრია, შემდეგ რუსეთის არმიამ გადალახა ბალკანეთის მთები და დაიკავეს ქ. ბურგასი, ხოლო 20 აგვისტოს - ანდრიანოპოლი. ამ ყველაფრის შემდეგ გზა ხსნილი იყო კონსტანტინეპოლისკენ.

28 აგვისტოს ანდრიანოპოლში დაიწყო მოლაპარაკება.14 სექტემბერს ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც რუსეთის საზღვარი ევროპაში იქნებოდა გასული მდინარე პრუტზე. დუნაის შესართავამდე. რუსეთს თავისის ჯარი უნდა გამოეყვანა მოლდავათსა და ვალახეთიდან, აღნიშნულ რეგიონებს ენიჭებოდათ ავტონომია. შავი ზღვის სანაპირო - მდინარე ყუბანის შესართავიდან ნიკოლოზის ნავსადგურამდე, ანაპა და ფოთი რუსეთის საკუთრებაში გადადიოდა.

ამრიგად, 1828-1829 წლის რუსეთ-ოსმალეთი ომის შედეგად რუსეთმა უფრო მეტად გაიღრმავა თავისი პოზიციები ბალკანეთში, შავ ზღვაზე და კავკასიაზე.

1830 წელს 3 თებერვალს ლონდონში ინგლისის, რუსეთის, საფრანგეთის წარმომადგენლებმა მიიღეს დადგენილება საბერძნეთის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

1853 წლის დამდეგს ნიკოლოზ I-მა მიიღო გადაწყვეტილება ოსმალეთის წინააღმდეგ დაეწყო საომარი მოქმედებები და საბოლოოდ გადაეჭრა ,,აღმოსავლეთის საკითხი" რუსეთის სასარგებლოდ. რუსეთი არბიტრის როლში გამოვიდა გერმანიის საკითთან დაკავშირებით, ასევე სარგებლობდა დიდი გავლენით ბალკანეთის ქვეყნებში. რუსეთის მეფემ გადაწყვიტა ესარგებლა ევროპაში არსებული რევოლუციებით და გადაწყვიტა განეხორციელებინა ოსმალეთის დაყოფა.

1856 წლის 25 თებერვალს, პარიზში კონგრესი გაიხსნა. მის შემუშავებაში მონაწილეობდნენ საფრანგეთის, ავსტრიის, ინგლისის, სარდინიის, რუსეთის, პრუსიის, ოსმალეთის წარმომადგენლებმა. 30 მარტს ხელი მოაწერეს პარიზის ტრაქტატს, რომლის მიხედვითაც რუსეთს დაუბრუნდა სევასტოპოლი, ხოლო ყარსი გადაეცა ოსმალეთს. დუნაისპირა სახელმწიფოებზე -ვალახეთზე, მოლდავეთზე და სერბიაზე დიდი სახელმწიფოების პროტექტორატი დამყარდა, ხოლო ფორმალურად კი ისინი დარჩნენ სულთნის სუზერენიტეტის ქვეშ. რუსეთმა სამხრეთ ბესარაბია დაკარგა, ასევე დუნაის შესართავზე თავისი კონტროლი. პარიზის ტრაქტატის 11, 12, 13 მუხლებით შავი ზღვა გამოცხადდა დემილიტარიზებულ და ნეიტრალურ ზონად.

1853-1856 წლების ომის შედეგები ოსმალეთისთვის შედეგები არასახარბიელო იყო.

1877 წლის 12 აპრილს რუსეთმა კვლავ ომი გამოუცხადა ოსმალეთს. საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა ბალკანეთსა და კავკასიაში.

რუსეთის ლაშქარმა გადალახეს დუნაი და დაიწყეს საბრძოლო მოქმედებები ბულგარეთში. მათ აიღეს შიპკა და პლევანი. ასევე წარმატებას მიაწიეს კავკასიაშიც. მათ აიღეს არტანი, ბაიაზიდი, ხუცუბანი, მუხაესტატე და არტანუჯი. 1877 წლის 6 ნოემბერს კი დაიკავეს ყარსი. ასევე რუსეთის ლაშქარმა სრულიად გაანთავისუფლა აფხაზეთის ტერიტორია ოსმალეთისგან.

1878 წლის 4 იანვარს რუსეთის ჯარმა სოფია გაანთავისუფლა. 20 იანვარს რუსეთის ჯარმა ხელთ იგდო ანდრიანოპოლი. ამის შემდეგ რუსეთის არმიას გზა ხსნილი ჰქონდა სტამბოლისკენ.

31 იანვარს ანდრიანოპოლში რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაიდო დროებითი ზავი. 1878 წლის 3 მარტს, ოსმალეთმა და რუსეთმა სან-სტეფანოში მოაწერეს ხელი საზავო ხელშეკრულებას, რითაც დასრულდა 1877-1878 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომი. აღნიშნული ხელშეკრულებით ცხადებოდა რუმინეთის სერბიის, ჩერნოგირიის დამოუკიდებლობა. ხელშეკრულებით ბულგარეთს შეეძლო დამოუკიდებელი

სახელმწიფოს შექმნას. ფორმალურად ის კი რჩებოდა ოსმალეთის სუვერენიტეტის ქვეშ და ავტონომიური სამთავროს სტატუს მიიღებდა. მაგრამ ოსმალეთმა გამოიყვანა არმია, ხოლო მისი ოკუპაციის უფლება რუსეთს გადასცეს. ამავე ხელშეკრულებით ჰერცოგოვინას და ბოსნიას ეძლეოდა ავტონომია, აღნიშნულ რეგიონებში კი უნდა ჩატარებულიყო რეფერენდუმი. რუსეთის გადაეცა სამხრეთ ბესარაბია, ბათუმი და ყარსი. ოსმალეთი ვალდებული იყო გადაეხადა კონტრიბუცია რუსეთისთვის.

მაგრამ რუსეთმა ვერ შეძლო შეენარჩუნებინა მისთვის მომგებიანი ზავის პირობები. რუსეთი იძულებული იყო მიიღო შეთავაზება ევროპის სახელმწიფოების, რაც გულისხმობდა კონფერენციის მოწვევას. მწვავე დაპირისპირების შემდეგ ხელი მოაწერეს ბერლინის ტრაქტატს, რითაც რუსეთი იძულებული შეიქმნა გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო სან-სტეფანოს ხელშეკრულების პირობებთან შედარებით.

იტალია, რომლიც სხვა სახელმწიფოებისგან განსხვავებით ყველაზე სუსტი იყო, სურდა მის სამხრეთით მდებარე ტრიპოლიტანიის მიღება. ამ პერიოდში ევროპაში ერთმანეთისაგან განსხვავებული ბლოკი (სამთა კავშირი და ანტანტა) იყო შექმნილი, რომლებსაც არ უნდოდა, რომ იტალია მათ მოწინააღმდეგე ბლოკში აღმოჩენილიყო. იტალიამ ისარგებლა ოსმალეთის სისუსტით და დაიკავა კიერენაიკა და ტრიპოლიტანია. იტალიამ ოსმალეთს გაუგზავნა ულტიმატუმი იმის თაობაზე, რომ ეღიარებინა მათი ოკუპაცია, ოსმალეთმა კი უარი განუცხადა ამ ყველაფერზე, რის შედეგადაც იტალიამ 1911 წლის 29 სექტემბერს ომი გამოუცხადა ოსმალეთს. ოსმალეთში შექმნილი რთული გარემოების გამო , ოსმალეთმა დაიწყო მოლაპარაკება იტალიასთან. 1912 წლის 18 ოქტომბერს ლოზანაში დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად სულთანს უნდა ეღიარებინა ავტონომია ტრიპოლიტანიისა და კირენაიკისათვის, შეეწყვიტა ომი და გამოეყვანა თავისი არმია აღნიშნულ ოლქებიდან, იტალიას კი დოდეკანეზიის კუნძულებიდან.

თუმცა იტალიასთან ომის დასრულებამ ოსმალეთს ვერ მოუტანა მშვიდობა. ოსმალეთი იძულებული იყო ომი ეწარმოებინა ბალკანეთის ქვეყნებთან, ომის მიზეზი კი იყო ოსმალეთის უარი, იმის თაობაზე, რომ უარი განაცხადა მიენიჭებინა ავტონომია თრაკიისთვის და მაკედონიისა.

მაგრამ ოსმალეთმა უკან დაიხია და 1913 წლის 30 მაისს ოსმალეთსა და ბალკანეთის ქვეყნებს შორის დაიდო ზავი, რომლის მიხედვითაც ოსმალეთი ვალდებული იყო დაეთმო ევროპული ტერიტორიები გამარჯვებულ სახელმწიფოებისთვის.

პირველი მსოფლიო ომის წინ შეიქმნა ერთმანეთისგან განსხვავებული ბლოკი, ეს იყო: სამთა კავშირი და ანტანტა. ორივე ბლოკის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა, რომ ოსმალეთი თავიანთ მომხრე ყოფილიყო, ამის მიზეზი კი იყო ის, რომ ოსმალეთს ჰქონდა ეკონომიკური და სამხედრ-სტრატეგიული მნიშვნელობა. ოსმალეთმა

კავშირი დაამყარა გერმანიასთან, რადგანაც ამ ურთიერთობებით ის განახორციელებდა თავის დაპყრობით ზრახვებს.

1914 წლის 2 აგვისტოს სტამბოლში ოსმალეთსა და გერმანიას შორის დაიდო საიდუმლო ხელშეკრულება, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული, ამავე ხელშეკრულებით ოსმალეთი ვალდებული იყო მონაწილეობა მიეღო ომში გერმანიასთან ერთად, იმ შემთხვევაში თუ საომარი მოქმედებები დაწყებოდა,. 27 ოქტომბერს ოსმალეთის ფლოტი თავს დაესხა შავ ზღვაზე მდებარე რუსეთის ფლოტს, ხოლო ფლოტი ჩაძირა, 29 ოქტომბერს დაბომბეს ოდესა. 2 ნოემბერს რუსეთმა ოსმალეთს ომი გამოუცხადა. 11 იანვარს ოსმალეთმა ომი გამოუცხადა ანტანტის სახელმწიფოებს.

თურქები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თავიანთ დაპყრობით პოლიტიკას განახორციელებდნენ გერმანიის დახმარებით. 1913 წელს ოსმალეთის მთავრობამ მოიწვია გერმანიის სამხედრო მისია.

ოსმალეთს ომი უნდა წარემართა სამი მიმართულებით: ეგვიპტე, კავკასია და ბალკანეთი. უპირატესობას კი ეგვიპტეს ანიჭებდა, რადგანაც ეგვიპტის და სუეცის არხის შეტევით, ინგლის აიძულებდა, რომ თავისი მნიშვნელოვანი ძალა გადაესროლა, რაც დაასუსტებდა მოკავშირეებს დასავლეთ ევროპაში.

ოსმალეთს იმედოვნებდა, რომ რუსეთს დაამარცხებდა, ამის შემდეგ კი ხელში ჩაიგდებდა კავკასიას. 1914 წლის ნოემბერში ოსმალეთმა საომარი მოქმედებები დაიწყო აზრურუმის, ოლთისა და ერევნის მიმართულებით და გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. რუსეთის ჯარი იძულებული შეიქმნა უკან დაეხია. 19 დეკემბერს ოსმალეთის არმიამ დაიწყო შეტევა სარიყამაშის ასაღებად. შემდეგ კი ყარსის, ელიზავეტპოლისა, ბათუმის ასაღებად. ოსმალეთმა ომის დაწყების პირველ ეტაპზე გარკვეულ წარმატებას მიაღწია, მაგრამ დეკემბრის ბოლოს და იანვრის დასაწყისში რუსეთის არმიამ ოსმალეთი დაამარცხა.

1915 წელს რუსეთის არმიამ დაიკავა ვანა, ამის შემდეგ ოსმალეთის მთავრობამ გამოსცა ბრძანება ფრონტის ზონიდან სომხეთის დეპორტაცია შესახებ. სარიყამიშთან დამარცხების გამო ოსმალეთმა ვერ მოახერხა კავკასიის ფრონტზე მდგომარეობის სტაბილიზაცია. რუსეთის არმიის შეტევის გამო ოსმალეთი იძულებული გახდა უკან დაეხია. 1916 წელს დაიკავეს ტრაპიზონი, არზურუმი, ერზინჯანი. 1916 წლის გაზაფხულიდან ცენტრალური სახელმწიფოების მდგომარეობა უარესდებოდა, ამის მიზეზი იყო გერმანიის დამარცხება დასავლეთ ფრონტზე და სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის გარღვევა რუსეთის მიერ. 1917 წელს ინგლისის ჯარმა შეტევა დაიწყო მესოპოტამიის ფრონტზე, ხოლო ოსმალეთი იძულებული გახდა დაეხია უკან.

ინგლისელებმა დაიკავეს ბაღდადი, ეს კი ცუდი ამბავი იყო ოსმალეთისთვის, რადგანაც ამ ყველაფრით ოსმალეთმა დაკარგა გავლენა არაბეთზე.

ოსმალეთმა საფრთხეში დაყენა საკუთარი თავი, მას შემდეგ რაც, ანტანტის სახელმწიფოების წინაღმდეგ ჩაბა ომში.

1915 წლის მარტ-აპრილში პეტერბურგში მოხდა რუსეთის, ინგლისის და საფრანგეთს დელეგაციებს შორის ვერბალური ნოტების და სამახსოვრო ბარათების გაცვლა, აღნიშნული შეთანხმებით რუსეთს უნდა გადასცემოდა კონსტანტინოპოლი და სრუტეები. 1916 წლის 1 სექტემბერს რუსეთმა მიიღო დადგენილება ინგლისსა და საფრანგეთს შორის დადებული ხელშეკრულების, რაც გულისხმობდა ოსმალეთის იმპერიის სამფლობელოების დანაწილებას. აღნიშნული შეთანხმებით მოხდა ოსმალეთის აზიური ტერიტორიების დანაწილება.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრებისას შემდეგ დადგა საკითხი ოსმალეთის სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის. ასეთ სიტვაციაში იყო ოსმალეთი, როდესაც რუსეთში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება და სახელმწიფოს მართვის სადავეები აიღეს ბოლშევიკებმა.

1917 წლის 8 ნოემბერს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გამოსცა დეკრეტი ზავის შესახებ, ასევე მიმართა მეორე ქვეყნებს შეეწყვიტათ ომი და დაეწყოთ მოლაპარაკება. ანტანტის სახელმწიფოებმა უარყეს ეს ხელშეკრულება. 1917 წლის 20 ნოემბერს ბრესტ-ლიტოვსკში დაიწყო შეხვედრა საბჭოთა რუსეთის, გერმანიასა და მის მოკავშირეებს შორის. 2 დეკემბერს ხელი მოაწერეს შეთანხმებას სამხედრო მოქმედების დასრულების შესახებ.

კონფერენციის გახსნის მერე დღეს თურქეთის წარმომადგენლობამ ითხოვეს, რომ რუსეთის არმიას სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინა ამიერკავკასია. გერმანიისთვის ეს ყველაფერი მიუღებელი იყო, რადგანაც თუ რუსეთი დათანხმდებოდა ამ ყველაფერს, გერმანია იძულებული გახდებოდა გაეთავისუფლებინა ლიტვა, პოლონეთი, კურლანდია. თურქეთისთვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა რუსეთის მიერ პირველ მსოფლიო ომის დროს თურქეთი იმპერიის დაპყრობილი ტერიტორიების უკან დაბრუნება, მაგრამ ეს ყველაფერი ფერხდებოდა, გერმანიის გამო.

1917 წლის 29 დეკემბერს დეკრეტი გამოქვეყნა საბჭოთა რუსეთმა, რომლის მიხედვითაც მხარს უჭერდა ,,თურქეთის სომხეთის“ თავისუფალი თვითგამორკვევის უფლების სრული დამოუკიდებლობის მოპოვებაზე. ასევე მოითხოვდა თურქეთის ჯარის გამოყვანას ,,თურქეთის სომხეთიდა“ და იქ სომხური მელიციის დაარსებას.

თურქეთმა გადაწყვიტა, რომ რუსეთის თვითგამორკვევის პრინციპი თავის სასარგებლოდ მოერგო. თურქეთმა მოითხოვა, რომ გამოყვანილი იქნეს რუსეთის ჯარი იმ ტერიტორიებიდან, რომელიც მან დაკარგა 1777-1778 წლებში თურქეთ-რუსეთის ომის დროს.

1918 წლის 28 იანვარს გერმანიამ ულტიმატუმი წამოუყენა საბჭოთა რუსეთს, რომლის თანახმადაც რუსეთს უნდა მიეღო ზავის პირობები მათ მიერ შეთავაზებული პირობებით, რომელიც რუსეთისთვის საკმაოდ მძიმე იყო. 23 თებერვალს გერმანიამ ახალი ულტიმატუმი წამოუყენა რუსეთს. რომელიც კიდევ უფრო მძიმე იყო. აღნიშნული პუნქტი შედგებოდაი10 მუხლისგან. 5-ე პუნქტით რუსეთს თურქეთისთვის უნდა მიეცა აღმოსავლეთ ანატოლიის პროვინციები, ასევე უნდა ეცნო თურქეთის მიერ კაპიტულაციის რეჟიმის გაუქმება. თურქეთის წარმომადგენლობა ამ ყველაფრით არ დაკმაყოფილდა და მოითხოვეს გერმანიისგან დახმარება, თურქები ითხოვდნენ 1777-1778 წლებში რუსეთთან ომის შედეგად დაკარგული ტერიტორიების უკან დაბრუნებას. თუმცა გერმანიამ არ დააკმაყოფილა ოსმალეთის ყველა მოთხოვნა და ეს ულტიმატუმი არ შეიტანა. ხო ხელშეკრულების საბოლო ტექსტით, რუსეთს საკუთარი ჯარი სასწრაფოდ უნდა გამოეყვანა ყარსის, ბათუმის და არტაანის ოლქებიდან და ადგილობრივებს, თურქეთსა და სხვა ბეზობელ ქვეყნების შუამავლობის მეშვეობით უნდა გადაეწყვიტათ თავისი ბედ-იღბალი.

1918 წლის 3 მარტს საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობამ ხელი მოაწერა ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებას.

1917 წლის 7 ნოემბერს რუსეთში ბოლშევიკების მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების შემდეგ ამიერკავკასიის ბურჟუაზიული პარტიები, ორგანიზაციები ბოლშევიკებს განუდგნენ და 15 ნოემბერს დაარსეს ამიერკავკასიის კომისარიატი.

ამ პერიოდისთვის რუსეთსა და ამიერკავკასიაში შექმნილმა სიტვაციამ ახალგაზრდა თურქ ლიდერებს გაუღვივა იმედი, რომ შესძლებდნენ თავიანთ დაპყრობითი პოლიტიკის გატარებას.

30 ნოემბერს კავკასიის ფრონტს, ოსმალეთის არმიის მთავარსარდალმა მიმართა წინადადებით, რომ ამიერკავკასიის ფრონტის რუსეთის ჯარის მთავარსარდალს შეეწყვიტა ომი და დაედოთ დროებითი ზავი. 18 დეკემბერს დაიდო დროებითი ზავი ოსმალეთის სარდლობასა და ამიერკავკასიის წარმომადგენლობას შორის. რომლის მიხედვითაც დასრულდა საომარი მოქმედება კავკასიის ფრონტზე. ეს ყველაფერი კი ძალაში დარჩებოდა სამშვიდობო ზავის დადებამდე.

1918 წლის 14 იანვარს თურქეთის დელეგაციამ მიმართა კავკასიის არმიის სარდალს, რომ ზავი დადებულიყო მშვიდობის მიზნით. შეიმუშავეს ხელშეკრულება, რომელიც

მოიწონა ამიერკავკასიის კომისარიატმა, თუმცა ჰქონდა გარკვეული შენიშვნები, მათი აზრით მსგავსი კონფერენცია უნდა ჩატარებულ იყო მარტში, ტრაპიზონში.

1918 წელს რუსეთმა თავისი ჯარი გამოიყვანა ოსმალეთის იმ ტერიტორიიდან, რომელიც დაკავებული ჰქონდათ ომის დროს. ოსმალეთმა დაარღვია ერზინჯანის დროებითი ზავი და თებერვლიდან დაიწყო ქართული და სომხური ტერიტორიების მიტაცება.

14 მარტს დაიწყო ტრაპიზონის კონფერენცია. ოსმალეთის წარმომადგენლობამ მოსთხოვა კავკასიის წარმომადგენლობას შემდეგი რამ: 1. გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა, 2. ეცნო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების პირობები და ოსმალეთისთვის მიეცათ ბათუმის, ყარსი, არტაანის ოლქები.

ამიერკავკასიის დელეგაცია აღნიშნულ კონფერენციაში მოუმზადებლად ჩავიდა. ამიერკავკასიას თავი დამოუკიდებლად არ ჰქონდა გამოცხადებული. ის იურიდიული თვალსაზრისით ითვლებოდა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში. მათ დაუშვეს ძალიან დიდი შეცდომა, რომ არ მოითხოვეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება, რადგანაც ხელშეკრულებაში არ იყო ნათქვამი, რომ ბათუმის, ყარსის, არტაანის ოლქები ოსმალეთის მფლობელობაში გადადიოდა. ხელშეკრულებაში მხოლოდ ეწერა, რომ ამ ტერიტორიებიდან რუსეთის ჯარის გასვლის შემდეგ, მის მოსახლეობას შეეძლო თვითონ გადაეწყვიტათ საკუთარი მომავალი, მეზობელი სახელმწიფოს დახმარებით. 15 მარტიდან 15 აპრილის ჩათვლით ტრაპიზონის კონფერენციაზე მიმდინარეობდა ცხარე კამათი. ამიერკავკასიის წარმომადგენლობა უარს ამბობდა მიეღო ოსმალეთის მოთხოვნა. ამიერკავკასიის სესიამ მიღო გადაწყვეტილება, რომ უკან გამოწვეული იქნეს დელეგაცია.

სანამ მოლაპარაკება მიმდინარეობდა ტრაპიზონში, ოსმალეთის ჯარმა ხელტ იგდეს ოზურგეთი, ბათუმი. ოსმალეთის ჯარი დამარცხდა მდ. ჩოლოქთან, ამის მიუხედავად მათ შეძლეს დაეკავებინათ უფრო დიდი ტერიტორია, ვიდრე ეს იყო განსაზღვრული ბრესტ-ლიტოვსკის ზავით.

ასეთ სიტვაციასი ომის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. 22 აპრილს დაიშალა ამიერკავკასიის კომისარიატი. შეიქმნა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა.

11 მაის, ბათუმში დაიწყო სამშვიდობო საზავო მოლაპარაკება. ოსმალეთი უკვე აღარ აკმაყოფილებდა ბრესტის ზავის პირობებით და ახალი მოთხოვნა წამოაყენა აღნიშნულ კონფერენციაში. მაგრამ ამიერკავკასიის წარმომადგენლობამ არ დაკმაყოფილა ოსმალეთის მოთხოვნა. კვლავ განახლდა საომარი მოქმედებები, რის შედეგაც დაიკავეს სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიები.

1918 წლის 4 ივნის ბათუმში ოსმალეთსა და ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის ცალ-ცალკე დაიდო ხელშეკრულება ,,მშვიდობისა დამეგობრობის“ შესახებ, რითაც ოსმალეთის მფლობელობაში გადავიდ ყარსის და ბათუმის ოლქები, ახალციხის და ახალქალაქისა მაზრები და სხვა.

ბათუმის კონფერენციის დასრულების შემდეგ ოსმალეთის მთავრობა აღარ დაკმაყოფილდა მიღწეული წარმატებით და წინსვლას განაგრძობდა აღმოსავლეთის მიმართულებით. 15 სექტემბერს ხელთ იგდეს ბაქო, რომლის დაკავებაც გერმანიასაც უნდოდა. 23 სექტემბერს დაიდო საიდუმლო ხელშეკრულება გერმანიასა და ოსმალეთსა შორის, რომლის თანახმადაც თურქეთს უნდა ებრძოლა ჩრდილოეთ კავკასიაში და შუა აზიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად და მათთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად.

1918 წლის ივლისში ოსმალეთმა ჩაატარა რეფერენდუმი ბათუმის, ყარსის, არტაანის ოლქებში, აღნიშნული რეფერენდუმი ჩატარდა ნორმების დარღვევით. ამიტომაც საქართველომ 1 აგვისტოს გაუგზავნა პროტესტის ნოტა ოსმალეთს. ხოლო ოსმალეთმა საპასუხო ნოტა გაუგზავნა12 აგვისტოს, სადაც ეწერა, რომ არ იყო დარღვეული არავითარი ნორმები. ასევე მითითებული იყო, რომ ეს ტერიტორიები ოსმალეთის მფლობელობაში გადავიდა ,,დაპყრობის სრული უფლების“ საფუძველზე. 1918 წლის 20 სექტემბერს საქართველომ ასევე ნოტა გაუგზავნა საბჭოთა კავშირს, რომელშიც აღნიშნული იყო რომ, ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქებში ჩატარებული რეფერენდუმი არ წარმოადგენდა ამ ოლქებში მცხოვრებ მოსახლეობის ნება-სურვილს, რადგანაც ის ჩატარებული იქნა საოკუპაციო რეჟიმის პირობებში. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გაუქმებულად სცნო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ის მუხლები, რომელიც კავკასიას ეხებოდა.

1918 წლის 15 აგვისტოს გამოსცა სულთანმა რესკრიპტი, რომლის თანახმადაც ცხადდებოდა სამი სანჯაყის: ბათუმის, არტაანის, ყარსის ოლქების ოსმალეთზე შეერთება.

ამის საპასუხოდ საქართველოს პარლამენტმა გამოსცა ბრძანება, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ანიჭებდა სამუსულმანო საქართველოს ავტონომიას.

1919 წლის 18 იანვარს ყოფილი ყარსის, ბათუმის და არტაანის სანჯაყების ტერიტორიაზე დაარსეს ე.წ ,,სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის (ყარსის) მთავრობა“. შექმნისთანავე ყარსის მთავრობამ დახმარების თხოვნით მიმართა თურქეთს, ასევე გაგზავნა წარმომადგენლობა. თუმცა ეს წარმომადგენლობა ინგლისელებმა დააპატიმრეს და გაგზავნეს კუნძულ მალტაზე.

1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, სამუსლიმანო საქართველოს დაუმტკიცდა ავტონომია.

თავი-2

თურქეთის რესპუბლიკისა და სსრკ-ს შორის არსებული გამოწვევების ასახვა მათ ურთიერთობაზე.

2.1 დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება სსრკ-სთან და „მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულება“ თურქეთის მთავრობა კმაყოფილი იყო, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გაუქმა ის საიდუმლო ხელშეკრულებები, რომელიც ეხებოდა კონსტანტინეპოლს და სრუტეებს.

საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გამოსცა დადგენილება რომ, იგი ცნობს ანკარის მთავრობას და მზადაა მასთან დაამყაროს დიპლომატიური კავშირები. ამ ყველაფერმა შეუწყო ხელი რუსეთსა და ოსმალეთს, რომ დაახლოვებოდნენ ერთმანეთს და დაემყარებინათ მეგობრული ურთიერთობები.[5]

1920 წლის 26 აპრილს მუსტაფა ქემალმა ოფიციალური წერილი გაუგზავნა ლენინს, სადაც იგი გამოთქვამდა სურვილს დაემყარებინა დიპლომატიური კავშირები საბჭოთა რუსეთთან და სთხოვდა დახმარებოდა თურქეთს ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე თურქეთს სურდა გაეერთიანებინათ საკუთარი ძალები ანტანტის სახელმწიფოების წინააღმდეგ. ბოლშევიკები ამ ყველაფერს კარგად შეხვდნენ და გადაწყვიტეს დაემყარებინათ დიპლომატიური კავშირები თურქეთთან.

1920 წლის 24 აგვისტოს საბჭოთა რუსეთის და თურქეთის წარმომადგენლობამ შეიმუშავეს ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ. ამავე დრო გაიხსნა თურქეთის საელჩო.

1920 წლის ოქტომბრის დამდეგს საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობა ჩავიდა ანკარაში. თურქეთში საბჭოთა რუსეთის საელჩო გაიხსნა.

1920 წლის 14 სექტემბერს ომი დაიწყო სომხეთსა და ოსმალეთს შორის. აღნიშნული ომი ოსმალეთის სასარგებლოდ მიმდინარეობდა. სომხეთზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, ოსმალეთი საქართველოსაც საზღვრებსაც მოადგა. საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა მობილიზაცია.

რუსეთის მთავრობა ოსმალეთისთვის მთავრობისთვის არ აპირებდა დაეთმო ამიერკავკასია. 1920 წლის აპრილის ბოლოს რუსეთის ჯარის წყალობით აზერბაიჯანში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. შემდეგ რუსეთი სომხეთში

[5] მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007 გვ. 387-389

შეიჭრა, იმავე მიზნით. ნათელი იყო, რომ ასეთ ვითარებაში რუსეთი არ დაუშვებდა ოსმალეთს, რომ დაეკავებინა ბათუმი.

29 ნოემბერს სომხეთში საბჭოთა რუსეთის ჯარის დახმარებით საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ამის შემდეგ საქართველოც ბოლშევიკური რუსეთის ხელში აღმოჩნდა.

ამ პერიოდისთვის რუსეთი და თურქეთი სამარ მოქმედებებს აწარმოებდნენ ანტანტის სახელმწიფოების წინააღმდეგ. აღნიშნული სახელმწიფოების ინტერესის სფეროს წარმოადგენდა ის, რომ ერთმანეთთან დაემყარებინათ თანამშრომლობითი და მეგობრული ურთიერთობები.

საქართველოს მთავრობას კარგად ესმოდა ბოლშევიკების მისწრაფებები საქართველოს მიმართ, ამიტომაც საქართველოს მთავრობის ინტერესების სფეროს წარმოადგენდა თურქეთთან დაემყარებინათ კარგი ურთიერთობები.

1921 წლის 31 იანვარს ანკარაში ჩავიდა საქართველოს წარმომადგენლობა. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა საქართველოს ელჩობას ამცნო, რომ პირველი ოფიციალური შეხვედრა და რწმუნების სიგელს გადასცემდნენ 8 თებერვალს. 1921 წლის 8 თებერვალს თურქეთმა საქართველო ცნო დეიურედ და დაამყარა მასთან დიპლომატიური კავშირები.

მოსკოვში საბჭოთა რუსეთსა და ანკარის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკების შედეგად დადგენილი იქნა ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ, რომელიც 1920 წლის 24 აგვისტოს პარაფირებული იქნა ორივე სახელმწიფოს მიერ. ხელშეკრულების საბოლო ტესტი არ იქნა გაფორმებული, რადგანაც ამ პერიოდისთვის არ იყო დადგენილი ამიერკავკასიაში რუსეთ-თურქეთის საზღვარი და ანკარის დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა.

რატომ ჭიანურდებოდა ეს ყველაფერი? უპირველეს ყოვლისა ხელშეკრულების ძირითადი ტექსტი, რომელიც მომზადა 1920 წლის 24 აგვისტოს მასში არ იყო დადგენილი ამ ორ ქვეყანას შორის საზღვრები. ასევე ერთ-ერთი დიდ პრობლემას წარმოადგენდა საქართველოს საკითხი. ამ პერიოდისთვის საბჭოთა რუსეთს უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება საქართველოს ოკუპაციის შესახებ. თავის მხრივ, თურქეთსაც ჰქონდა ტერიტორიული პრეტენზია საქართველოს მიმართ.

ასეთ პირობებში რუსეთმა და თურქეთმა, გადაწყვიტეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, მოლაპარაკების დაწყებამდე დაეკავებინათ საქართველოს ტერიტორია და შედეგები გაეფორმებინათ ხელშეკრულებით.

სომხეთსა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ბოლშევიკები განიზრახეს საქართველოს წინააღმდეგ ომის მზადებას.

1921 წლის 11 თებერვალს ლორეს რაიონში ე.წ ,,ნეიტრალურ ზონაში“ მე-11 არმია სომხეთიდან შემოიჭრა საქართველოს საზღვრებში და დაიწყეს მზადება საქართველოს ოკუპაციისთვის. რუსეთმა საქართველოში შემოჭრის შედეგად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება. 16 თებერვალს ნოე ჟორდანიამ, საბჭოთა რუსეთის ჯარის საქართველოსი შემოჭრის გამო მიმართა მოსკოვს, მაგრამ რუსეთმა უარი განაცხადა მათთან მოლაპარაკებაზე.

რუსეთის არმიის შემოჭრის გამო მეორე დღესვე ნოე ჟორდანია ინახულა ანკარის მთავრობის ელჩმა. ანკარის მთავრობამ განუცხადა საქართველოს, რომ იმ შემთხვევაში აღმოუჩენდნენ სამხედრო დახმარების თუ ამ ყველაფრის სანაცლოდ გადასცემდნენ არტაანისა და ართვინის ოლქებს. თურქებმა მოლაპარაკებისას ასევე ახალი პირობები წამოაყენეს: ბათუმის ოლქში ჩატარებულ იყო ,,ნომინალური“ პლებისციტი და კიდე გადასცემოდა ართვინის ოლქიც.

22 თებერვალს თურქეთის მთავრობამ საქართველოს მთავრობას გადასცა ულტიმატუმი და ასევე დაუყოვნებლივ მოსთხოვა ჯარი, რომ გაეყვანათ არტაანიდან და ართვინიდან. მოთხოვნების არ შესრულების შემთხვევაში ძალით მოახდენდნენ მათ ოკუპაციას. საქართველომ გამოიყვანა ჯარი. 23 თებერვალს თურქეთის ჯარებმა ხელთ იგდეს არტაანი და ართვინი.

თურქეთი მთავრობა სინამდვილეში არ აპირებდა საქართველოსათვის აღმოეჩინა რაიმე სახის სამხედრო დახმარება.

25 თებერვალს წითელი არმიის მიერ თბილისის ხელში ჩაგდების შემდეგ, საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. ამის შემდეგ საბჭოთა რუსეთმა მიიჩნია, რომ ვითარება ხელსაყრელი იყო ამიერკავკასიაში და მიიღო გადაწყვეტილება დაეწყო მოლაპარაკება თურქეთთან.

26 თებერვალს მოსკოვში ოფიციალურად გაიხსნა რუსეთ-თურქეთის კონფერენცია. აღნიშნულ კონფერენციაში ყველაზე დაძაბულად მიმდინარეობდა დისკუსია ამიერკავკასიის საზღვრის დადგენასთან დაკავშირებით.

1921 წლის 6 მარტს ელჩმა ქუთაისიდან გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ეწერა, რომ საქართველოს მთავრობა თანახმა იყო, თურქეთის ჯარს დაეკავებინა ბათუმის ლივა, ახალქალაქი და ახალციხე.

9 მარტს თურქეთის გენერალურმა შტაბმა ბრძანა, რომ აღმოსავლეთის ფრონტის სარდალს, დაეკავებინა ბათუმი, ახალციხე და ახალქალაქი და ხელი შეეშალა ბათუმში წითელი არმიის შესვლისათვის. 11 მარტს თურქეთმა დაიკავა ბათუმი.

17 მარტს ქუთაისში მოლაპარაკება დაიწყო. რის შედეგად მიიღეს დადგენილება, რომ დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ საომარ მოქმედებები. დემოკრატიული მთავრობა

საბჭოთა რუსეთს უფლებას აძლევდა, ბათუმის ოლქში შესულიყო და იქიდან განედევნა თურქეთის ჯარი.

1921 წლის 19 მარტს საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა ბათუმში.

19 მარტს საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო დროებითი ზავი. რომლის მიხედვითაც ორივე მხარე რჩებოდა თავიანთ პოზიციაზე, მოსკოვის ხელისუფლების მიღებამდე. თურქეთის მთავრობამ განაცხადა, რომ სასწრაფოდ გაიყვანდნენ ჯარს ბათუმის ოლქიდან, იმ შემთხვევაში როგორც კი გაეცნობოდნენ მოსკოვის ხელშეკრულებას და დარწმუნდებოდნენ მის სისტორეში.

20 მარტს თურქეთმა მიიღო დეპეშა მოსკოვიდან თურქეთის დელეგაციის მოლაპარაკების დასრულების შესახებ, მასში ასევე ნათქვამი იყო, რომ ბათუმი საქართველოს დარჩა.

28 მარტს ბათუმის ოლქი თურქეთის სამხედრო ნაწილებმა დატოვეს.

ამრიგად, ცხარე დიპლომატიური დაპირისპირების და სამხედრო ბრძოლების შედეგად ბათუმი, ახალქალაქი, ახალციხე და აჭარა დაუბრუნდა თავის სამშობლოს.

26 თებერვალს მოსკოვში დაიწყო ოფიციალური მოლაპარაკება თურქეთსა და რუსეთს შორის.

1921 წლის 21 მარტს საბჭოთა რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, მეგობრობისა და ძმობის შესახებ. რომლის მიხედვითაც მონაწილე სახელმწიფოები აცხადებდნენ, რომ მათ შორის არსებობდა სოლიდარობა იმპერალისტების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ისინი პასუხისმგებლობას იღებდნენ, რომ არ სცნობდნენ ძალადობაზე დაფუძნებულ საერთაშორისო აქტებს და ხელშეკრულებებს. ამასთან საბჭოთა რუსეთის ადასტურებდა, რომ ის არ სცნობდა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებს და აქტებს, რომლებიც ეხებოდა თურქეთს, იმ შემთხვევაში თუ ისისნი არ იქნება მოწონებული თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ, საბჭოთა მთავრობამ კანონიერად ცნო 1920 წლის 28 იანვარს სტამბულის მეჯლისის მიერ მიღებული ეროვნული აქტი.

საბჭოთა რუსეთის მთავრობამ გაუქმებულად გამოაცხადა მეფის რუსეთისა და სულთნის მთავრობის შორის დადებული ყველა ის ხელშეკრულება, რომელიც არ ჯდებოდა ამ ორივე ქვეყნის ინტერესებს. აგრეთვე უარს განაცხადა ყველა სახის პრივილეგიებზე, რომლითაც მეფის რუსეთი სარგებლობდა თურქეთში, საბჭოთა რუსეთი ასევე ათავისუფლებდა თურქეთს ფულადი და სხვა ვალდებულებისგან.

ძალზე მნიშვნელოვანი იყო ხელშეკრულების ის მუხლი, რომელიც შავი ზღვის სრუტეების საკითხს შეეხებოდა. ხელშეკრულების მიხედვით სრუტეების სტატუსი შავიზღვისპირა ქვეყნების მონაწილეობით უნდა განხილულ იყო.

ხელშეკრულებით მხარეები ასევე პასუხისმგებლობას იღებდნენ, რომ არ დაუშვებდნენ თავიანთ ტერიტორიაზე რომელიმე მხარისადმი მტრულად განწყობილი ორგანიზაციებისა და დაჯგუფებების არსებობას.

ხელშეკრულების თანახმად ბათუმი და ბათუმის ოლქი საქართველოს მფლობელობაში გადავიდა, ხოლო თურქეთის ხელში გადავიდა ყარსის, არტაანისა და ართვინის მაზრები.

ხელშეკრულების მე-15 მუხლით საბჭოთა რუსეთის მთავრობა იღებდა პასუხისმგებლობას, რომ საბჭოთა მთავრობა გაატარებდა საჭირო პოლიტიკას, რათა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს ეცნოთ ხელშეკრულების ის მუხლები, რომლებიც მათ ეხებოდათ.

1921 წლის 20 მარტს რუსეთმა მოახდინა ხელშეკრულების რატიფიკაცია, თურქეთმა კი 1921 წლის 22 ივლის.

მოსკოვის ხელშეკრულების მე-15მუხლის გათვალისწინებით, ყარსში 26 სექტემბრიდან ჩატარდა კონფერენცია ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და თურქეთის წარმომადგენლებს შორის, საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლების მონაწილეობით.

13 ოქტომბერს ყარსში თურქეთსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის დაიდო ხელშეკრულება. რომელიც იმეორებდა მოსკოვის ხელშეკრულების დებულებას. შედგებოდა 20 მუხლისა და სამი დამატებისგან. ხელშეკრულების პირველი მუხლით უქმდებოდა 1918-1920 წლებში ხელმოწერილი ხელშეკრულებები ოსმალეთის მთავრობასა და ამიერკავკასიის მთავრობებს შორის.

თურქეთისთვის ყარსის ხელშეკრულებას ძალიან დიდი პოლიტიკური დანიშნულება ჰქონდა, აღნიშნულმა ხელშეკრულებამ მოხსნა ომის საშიშროება კავკასიაში და უზრუნველყო თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრების ხელშეუხებლობა.

თურქეთის ევროპული საზღვრების დადგენის საკითხი ფაქტობრივად გადაწყდა ბრძოლის ველზე. 1922 წლის 24 სექტემბერის ნოტით ანტანტის სახელმწიფოები დათანხმდნენ, რომ თურქეთისთვის უკან დაებრუნებინათ აღმოსავლეთ თრაკია მდ. მარიცამდე.

საზღვარი თურქეთსა და სირიას შორის დადგინეს 1921 წლის 20 ოქტომბერს, საფრანგეთსა და თურქეთს შორის დადგენილი ხელშეკრულებით.

თურქეთს ეგეოსის ზღვაზე მდებარე კუნძულები ტენედოსი, იმბროსი და სხვა პატარა კუნძულები, რომლებიც სამი მილის დაშორებით მდებარეობდა აზიური სანაპიროდან.

თურქეთის აღმოსავლეთ საზღვრების საკითხი კონფერენციაზე არ განხილულა, რადგანაც აღნიშნული საზღვრები დადგენილი იქნა საბჭოთა რუსეთსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

განსაკუთრებით გაჭიანურდა სრუტეების სტატუსის განხილვა.

1922 წლის 4 დეკემბერს საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობამ ჩამოაყალიბა საბჭოთა რუსეთის ხედვა სრუტეების საკითხზე, რომლის თანახმადაც შავი ზღვის სრუტეები დახურული უნდა ყოფილიყო ყველა სამხედრო გემისთვის მშვიდობიანობის და ომის დროს, ხოლო მშვიდობიანობის დროს სრუტეების ზონა უნდა გამოცხადებულიყო ნეიტრალურად, იქ არსებული სამხედრო ნაგებობები დაქვემდებარებოდა დანგრევასა და დემონტაჟს

თურქეთს უფლება ეძლეოდა შეეიარაღებინა და გაემაგრებინა სრუტეები, სტამბოლსა და სრუტეებზე თავდასხმის დროს.

რაც შეეხება, ინგლისის მიერ წარმოდგენილი სრუტეების სტატუსის პროექტი მიმართული იყო შავიზღვისპირა სახელმწიფოების და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, რადგანაც ის საშუალება იძლევდა გამოეყენებინათ სრუტეები ანტისაბჭოთა მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის პროექტმა შელახა ინტერესები საბჭოთა რუსეთისა და შავიზღვისპირა ქვეყნების , მას მხარს დაუჭირა იტალიის, იაპონიის, საფრანგეთის და სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლობამ.

რაც შეეხება თურქეთის სრუტეების პროექტი აღიარებდა სრუტეებზე თავისუფალ გადაადგილებას ყველა სახელმწიფოს სავაჭრო გემებისათვის, ასევე თურქეთის სუვერენიტეტის დაცვას სრუტეებსა და სტამბოლზე. იკრძალებოდა შავ ზღვაზე უცხოური სამხედრო გემების ყოფნა.

სრუტეების ახალი კონვენციის მიხედვით, დარდანელის და ბოსფორის სრუტეებზე მმართველობის უფლება გადაეცა ,,სრუტეების საერთაშორისო კომისიის სამმართველოს“ რაც, ფაქტობრივად გულისხმობდა მასზე ან,ტანტის სახელმწიფოების კონტროლის დამყარებას.

საბჭოთა რუსეთმა არ დაამტკიცა შავი ზღვის სრუტეების კონვენცია და შესაბამისად არ მოახდინა მათი რატიფიკაცია, იმის გამო, რომ ის არ პასუხობდა საბჭოთა რუსეთის მისწრაფებებს.

ეროვნულ განმანთავისუფლებელი მოძრაობის დამთავრების შემდგომ თურქეთის საგარეო პოლიტიკის მიზანს წარმოადგენდა მოეგვარებინა , მოსულის საკითხი.

თურქეთის მთავრობის განცხადებით მოსული ინგლისელებმა აიღეს 1918 წლის 30 ოქტომბერს, მუდროსის დაზავების შემდეგ, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეს ყველაფერი უკანონოა და ითხოვდნენ მის დაბრუნებას. 1924 წელს სტამბოლში გაიმართა მოლაპარაკება თურქეთსა და ინგლისსა შორის, მაგრამ ეს ყველაფერი დასრულდა უშედეგოდ. შემდეგ მოსულის საკითხი განხილული იქნა ერთა ლიგის მიერ, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოსულის რაიონი ერაყის მფლობელობაში გადასულიყო, ხოლო ერაყი კი, ერთა ლიგას გადაწყვეტილებით, ინგლისის სამანდატო ტერიტორია იყო. მაშინ ერთა ლიგამ ეს საკითხი ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს გადასცა.

აღნიშნული საკითხი დასრულდა 1926 წლის 5 ივნის თურქეთ-რუსეთის ხელშეკრულებით, რომლის თანახმადაც მოსულის რეგიონი დარჩა ერაყს, ხოლო თურქეთს რჩებოდა უფლება, რომ 20 წლის ვადით მიეღო მოსულის ნავთობის 10%.

ამ ყველაფრის შემდეგ დადგა ახალი საკითხი თურქეთის ურთიერთობის სხვა სახელმწიფოსთან მიმართებაში.

1924-1927 წლებში თურქეთმა დიპლომატიური კავშირები დაამყარა უნგრეთთან, ალბანეთთან, პოლონეთთან, ესპანეთთან, ნიდერლანდებთან, ჩეხოსლოვაკიასთან, შვეიცარიასთან, ბულგარეთთან, ავსტრალიასთან, ჩილესთან, არგენტინასთან, ბრაზილიასთან, მექსიკასთან.

1925 წლის 17 დეკემბერს პარიზში თურქეთსა და საბჭოთა რუსეთმა დადეს ხელშეკრულება მეგობრობის, თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ.

1927 წლის 11 მარტს საბჭოთა რუსეთმა და თურქეთმა დადეს ხელშეკრულება ვაჭრობასა და ნაოსნობის შესახებ.

1929 წელს თურქეთმა შეძლო ნაწილობრივ მიეღწია შეთანხმებას საფრანგეთთან თურქეთ-სირიის საზღვართან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც სირიას გადაეცა ტერიტორია ჯეზირეს რაიონში. ამავე წელს თურქეთმა საფრანგეთთან დადო სავაჭრო ხელშეკრულება.

ამავე პერიოდში დაიწყეს დაახლოება თურქეთმა და გერმანიამ. 1930 წელსვე დაიდო ამ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ხელშეკრულება.

თურქეთს სურდა, რომ კარგი ურთიერთობა ჰქონოდა ამერიკასთან, ამიტომაც 1929 წელს თურქეთმა და ამერიკამ ხელი მოაწერეს ხელი ხელშეკრულებს ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ.

1930 წელს საბერძნეთმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ. ამ ყველაფრის შემდეგ თურქეთს გზა ხსნილი ჰქონდა ბალკანეთის კავშირის შესაქმნელად. 1930 წელს ბალკანეთში ჩატარდა პირველი კონფერენცია, სადაც გაფორმდა ბალკანეთის სახელმწიფოების კავშირი.

1932 წელს თურქეთი მიღებული იქნა ერთა ლიგაში.

მეორე მსოფლიო ომის წინ თურქეთია განაგრძობდა პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების გაფართოებას.

1937 წელს თურქეთმა და ეგვიპტემ მოეწერეს ხელშეკრულებას ხელი, მეგობრობის შესახებ.

1939 წელს თურქეთმა გაფორმა რამდენიმე ხელშეკრულებას ირანთან.

1935 საბჭოთა რუსეთმა და თურქეთმა გააფორმეს ოქმი, რომელითაც გაგრძელებული იქნა ათი წლით 1925 წლის საბჭოთა კავშირ-თურქეთის ხელშეკრულება მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ.

საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობაში ბზარი გაუჩნდა მას შემდეგ რაც, თურქეთის პრემიერ-მინისტრი გახდა ჯელალ ბაიარი.

1938 წლის თებერვალში საბჭოთა მთავრობა თანხმობა განაცხადა საკონსულოების შემცირებაზე.

1938 წელს თურქეთმა განაცხადა, რომ მათ სურთ გაატარონ განმტკიცების პოლიტიკა საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის გამო. საქმით კი ამის საწინააღმდეგო პოლიტიკას ატარებდნენ.

2.2 შავი ზღვის სრუტეების პრობლემა და მათი გადაჭრის გზების ძიება.

ოსმალეთი პირველ მსოფლიო ომის დროს გერმანიის მხარეზე იყო. თურქებს იმედი ჰქონდათ, რომ გერმანის დახმარებით შეძლებდნენ განახორციელებდნენ თავიანთ ამბიციურ მიზნებს: კერძოდ, დაიკავებდნენ ყირიმს, კავკასიას, ვოლგისპირეთს, შუა აზიას და აფრიკის დაკარგულ ტერიტორიებს.[6]

თურქები ომში მონაწილეობისთანავე დამარცხდნენ კავკასიის ფრონტზე, ამის შემდეგ თურქეთს მოუწია უკან დაეხია, რუსეთის დარტყმების გამო. ასევე მარცხით დასრულდა ოსმალეთის მცდელობა, რომ აეღოთ სუეცის არხი და ეგვიპტე და იქ დაემყარებინათ თავიანთ ბატონობა და სხვა.

[6] მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007 გვ. 371-372

ომის დაწყებისთანავე ანტანტის სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ მოეხდინათ ოსმალეთის სამფლობელოების გადანაწილება.

1915 წელს რუსეთი, საფრანგეთი და ინგლისი შეთანხმდნენ, რომ მოეხდინათ კონსტანტინოპოლისა და სრუტეების დანაწილება და ა.შ,

1917 წელს ამერიკამ ომი გამოუცხადა გერმანიას. ამერიკამ დიპლომატიური კავშირი გაწყვიტა ოსმალეთთან. 1918 წლის შუა რიცხვებისთვის ყველასთვის აშკარა იყო, რომ გერმანია და მისი მოკავშირეები დამარცხდებოდნენ ომში. მოკავშირეების ჯარებმა შეძლეს გაერღვიათ თურქეთ-ბულგარეთის ფრონტი მაკედონიაში. ინგლისელებმა გაარღვიეს ფრონტი პალესტინაში და დაიწყეს წინსვლა. ასევე 1 ოქტომბრისთვის ინგლისელებმა აიღეს დამასკო. შემდეგ ალეპო. ოქტომბრის შუა რიცხვებისთვის ინგლისელებმა შეძლეს მიახლოვება მოსულზე და 7-8 ნოემბრისთვის აიღეს მოსული და მისი რაიონები.

29 სექტემბერს ბულგარეთმა დამარცხებულად გამოაცხადა თავი, ინგლისელები დაიკავეს ბეირუთი და დამასკო. ოქტომბრის ბოლოსთვის ინგლისელებმა დაიკავეს მთლიანი პალესტინა, სირია, იორდანია, ერაყი.

1918 წლის 15 სექტემბერს მოკავშირეებმა გაარღვიეს მაკედონიაში ფრონტი და საფრთხე შეუქმნეს სტამბოლს. ამ ყველაფრის ფონზე თურქეთი დარწმუნდა, რომ საფრთხე დაემუქრათ მათ და ზავი შესთავაზეს.

1918 წლის 30 ოქტომბერს მუდროსის ყურეში ინგლისის სამხედრო გემზე თურქეთის წარმომადგენლობამ ხელი მოაწერა კაპიტულაციას და დანებდა გამარჯვებულ ანტანტის სახელმწიფოებს.

თურქეთისთვის მუდროსის ზავის პირობები ძალიან მძიმე იყო. ზავის პირობების მიხედვით, ოსმალეთი მთლიანად გამარჯვებულ ქვეყნების რკალში აღმოჩნდა. დიდხანს გაგრძელდა სრუტეების საკითხის სტატუსის განხილვა.

ქვეყნიდან ინტერვენტების განდევნის შემდგე საჭირო გახდა სამშვიდობო საზავო კონფერენციის მოწვევა, სადაც საბოლოოდ დადგენილი იქნებოდა თურქეთის სახელმწიფო საზღვრები, ასევე დამყარდებოდა მშვიდობიანი კავშირები ანტანტის სახელმწიფოებთან. აღნიშნული კონფერენცია მოიწვიეს 1922 წლის 20 ნოემბერს, ლოზანაში.

აღნიშნულ კონფერენციაში გაჭიანურდა სრუტეების საკითხი, კონფერენციაზე წარდგენილი იყო სრუტეების კონვენციის სამი პროექტი, ინგლისის, საბჭოთა კავშირის და თურქეთის.

საბჭოთა რუსეთის მიდგომა სრუტეების საკითხთან მიმართებაში შემდეგი იყო: შავი ზღვის სრუტეები უნდა ყოფილი იყო ყველა სახის სამხედრო გემებისთვის მშვიდობიანობის და ომის დროს, ხოლო მშვიდობიანობის დროს სრუტეების ზონა უნდა ყოფილიყო ნეიტრალურად იქ მყოფ სამხედრო ნაგებობები დაქვემდებარებოდა დანგრევას და დემონტაჟს.

თურქეთს უფლება ეძლეოდა შეეიარაღებინა და გაემაგრებინა სრუტეები, სტამბოლსა და სრუტეებზე თავდასხმის დროს. სრუტეებზე ნაოსნობის რეგულაციის უფლება ეძლეოდა საერთაშორისო კომისიას თურქეთის წარმომადგენლის თავჯდომარეობით.

სრულიად განსხვავებული მიდგომა ეჭირა ინგლის სრუტეების საკითხზე. ინგლისის პროექტის თანახმად, სრუტეებით სარგებლობის უფლება ეძლეოდა ყველა ქვეყნის სამხედრო გემებს მშვიდობიანობის დროს, ასევე ომის დროს, სრუტეების დემილიტარიზაცია უნდა მომხდარიყო. ინგლისი ითხოვდა სტამბოლის გარნიზორის 10 ათას ჯარისკაცამდე შემცირებას და სრუტეებზე ყველა ქვეყნის სავაჭრო გემებისათვის თავისუფალ ნაოსნობას.

ინგლისის სრუტეების პროექტი საბჭოთა რუსეთისა და შავიზღვისპირა სახელმწიფოების წინააღმდეგ იყო მიმართული, რადგანაც ის საშუალებას იძლევდა, რომ გამოეყენებინათ ანტისაბჭოთა მიზნით.

თურქეთის სრუტეების პროექტის თანახმად ის აღიარებდა სრუტეებზე თავისუფალ მიმოსვლას ყველა ქვეყნის სავაჭრო გემებისათვის, ასევე თურქეთის სუვერენიტეტის დაცვას სრუტეებსა და სტამბოლზე. ამ პროექტის თანახმად იკრძალებოდა შავ ზღვაზე უცხოეთის სამხედრო გემების ყოფნა.

სრუტეების ახალი კონვენციის თანახმად დარდანელის და ბოსფორის სრუტეებზე მმართველობა გადაეცა ,,სრუტეების საერთაშორისო კომისიის სამმართველოს“ რაც, გულისხმობდა მასზე ანტანტის სახელმწიფოების კონტროლის შემოღებას.

კონვენციის რიგი პუნქტები თურქეთის სუვერენიტეტს ლახავდა და ასევე ის მიმართული იყო საბჭოთა რუსეთის და შავიზღვისპირა ქვეყნების წინააღმდეგ. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ არ მოახდინა შავი ზღვის კონვენციის რატიფიკაცია, რადგან ის არ ითვალისწინებდა საბჭოთ რუსეთის ინტერესებს.

1933 წლიდან თურქეთმა მრავალჯერ დასვა საკითხი ლოზანის კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოების წინაშე შავი ზღვის სრუტეების სტატუსზე, რომ გადაესინჯათ ის. მაგრამ ევროპის სახელმწიფოების, განსაკუთრებით კი ინგლისის ნეგატიური პოზიციის გამო, ეს არ განიხილეს.

ლოზანის ხელშეკრულების თანახმად, შავი ზღვის სრუტეები იყო დემილიტარიზებული და სტამბოლი სრულიად დაუცველი. სტამბოლი ნებისმიერ დროს შესაძლებელი იყო ყოფილიყო თავდასხმის ობიექტი.

საბჭოთა რუსეთი იყო პირველი ის ქვეყანა, რომელმაც მხარი დაუჭირა ლოზანის კონვენციის გადასინჯვას.

1936 წლის 22 ივნისს მონტრეში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ისევ ეძღვნებოდა შავი ზღვის სრუტეების საკითხს, რათა ხელახლა შეემუშავებინათ კონვენცია.

1936 წელს ხელმოწერილი იქნა შავი ზღვის სრუტეების კონვენციას , რომლითაც გაუქმებული იქნა სრუტეების საერთაშორისო კომისია. აღდგა თურქეთის სუვერენიტეტი სრუტეებზე და მის ნაპირებზე. თურქეთს უფლება მიეცა მთლიანი დემილიტარიზაციის. ასევე თურქეთს შეეძლო თვალი ედევნებინა სრუტეებში ყველა სახის გემის მიმოსვლაზე და დაემყარებინა აქ თავისი კონტროლი. სრუტეებზე თავისუფალი ნაოსნობა შეეძლო ყველა ტიპის სავაჭრო გემებს, მშვიდობიანობის, ასევე ომის დროს. რაც შეეხება, სრუტეებში სამხედრო გემების გასვლას, განსხვავებული რეჟიმი შემოიღეს შავიზღვისპირა და არა შავიზღვისპირა სახელმწიფოებისათვის. სრუტეებში გასვლისას სამხედრო გემები შემდეგ მოთხოვნებს ემორჩილებოდნენ: მშვიდობიანობის დროს არა შავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო გემებისათვის მიიღეს შემდეგი დადგენილებები: სრუტეებით სარგებლობა შეძლოთ მხოლოდდამხოლოდ მსუბუქ სამხედრო გემებს და დამხმარე ხომალდებს, არა უმეტეს 15 ტონაჟისა. შავ ზღვაში ერთდროულად მყოფი უცხო ქვეყნების სამხედრო ხომალდების რაოდენობა არ უნდა ყოფილიყო ცხრა. შავიზღვისპირა სახელმწიფოებს შეეძლოთ ესარგებლათ, როგორც მსუბუქი, ასევე დიდი სამხედრო ხომალდებით. ომის დროს, როდესაც თურქეთი არ მონაწილეობდა ომში, სრუტეები იქნებოდა დახურული ომში მონაწილე ყველა ქვეყნის სამხედრო გემებისათვის. რაც შეეხევა სავაჭრო გემებს დაუბრკოლებლივ შეეძლოთ სრუტეებით სარგებლობა. იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი იღებდა მონაწილეობას ომში, მაშინ სრუტეებით სარგებლობის უფლება თურქეთის მთავრობის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ამდაგვარ უფლებით თურქეთს შეეძლო ესარგებლა, იმ შემთხვევაშიც თუ შეიქმნებოდა სამხედრო საშიშროება.

კონვენციით ასევე განისაზღვრა სრუტეების თავზე საჰაერო ხომალდების გასვლის წეს. შესაძლებელი იყო, გარკვეული პირობების დაცვით, სამხედრო და სამოქალაქო გადაფრენა შავი ზღვიდან ხმელთაშუა ზღვისკენ და პირიქით.

შავი ზღვის კონვენციით საბჭოთა კავშირისა და ამ რეგიონის ინტერესები სრულიად არ იყო დაცული.

მონტრეს კონვენცია დაიდო 20 წლით.

მეორე მსოფლიო ომის დროს თურქეთის მთავრობა არღვევდა მონტრეს კონვენციას პირობებს და მან ვერ შეძლო დაეცვა შავ ზღვაზე საბჭოთა კავშირის უსაფრთხოება.

1945 წლის ივლის-აგვისტოში პოსტამდის კონფერენციაზე სამმა სახელმწიფომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მონტრეს კონვენცია სრუტეების შესახებ დაძველებული იყო, რომელიც არ შეესაბამებოდა თანამედროვე გარემოს და თავიდან უნდა მოეხდინათ მისი გადასინჯვა. ამიტომ რუსეთმა თურქეთს გაუგზავნა ნოტა, რომელშიც ეწერა, რომ 1936 წლის მონტროს კონვენცია არ შეესაბამებოდა იმ მოთხოვნებს, რომელიც უზრუნველყოფდა ომიანობის დროს მტრულად არ გამოეყენებინათ სრუტეები, რომელიც მიმართული იქნებოდა შავ ზღვის სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ნოტაში ეწერა შემდეგი რამ:

1.სრუტეები სულ ღია უნდა ყოფილიყო ყველა ქვეყნის სავაჭრო გემების გასავლელად;

2.სრუტეები სულ ღია უნდა ყოფილიყო შავი ზღვის სახელმწიფოების სამხედრო გემების გასასვლელად.

3.სრუტეების სარგებლობა და გასვლა არა შავი ზღვის სახელმწიფოთა სამხედრო გემებისათვის შესაძლებელია, საგანგებოდ გათვალისწინებულ შემთხვევის გარდა;

4.შავი ზღვის სრუტეებში მიმავალი, ასევე შემავალი ერთადერთი საზღვაო გზის რეჟიმის დაწესება უნდა იქნას თურქეთსა და შავი ზღვის სხვა სახელმწიფოთა კომპეტენცია;

5. საბჭოთა კავშირი და თურქეთი, რომლებიც ყველაზე მეტად არიან დაინტერესებულნი ამ საკითხის მიმართებაში, ერთობლივი რესურსებით აწყობენ სრუტეების დაცვას სხვა სახელმწიფოების მიერ შავი ზღვის სახელმწიფოებისათვის მტრული მიზნებით სრუტეების თავიდან ასაცილებლად.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის წინადადებას საფუძველს წარმოადგენდა ის პრინციპები, რომლებიც აღნიშნავდნენ განსხვავებულობას სრუტეებით სარგებლობაში შავი ზღვისა და არა შავი ზღვის სახელმწიფოებს შორის.

საბჭოთა რუსეთის მოთხოვნის თანახმად, სრუტეებით სარგებლობა არა შავი ზღვის სახელმწიფოთა სამხედრო გემებისთვის, საგანგებოდ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, არ უნდა ყოფილიყო დაშვებული.

თურქეთის მთავრობამ 22 აგვისტოს გაუგზავნა საპასუხო ნოტა. თურქეთი საპასუხო ნოტაში ეწერა, რომ თანახმა იყო პირველი სამი პუნქტის მიღებაზე, მაგრამ წინააღმდეგ იყო ბოლო ორი პუნქტის დამტკიცებაზე.

1982 წელს თურქეთის მთავრობამ, მონტრეს კონვენციის მონაწილე ქვეყნების შეუთანხმებლად, შეიმუშავა სტამბოლის რეგლამენტი, რომელიც ვრცელდება მთლიანად სრუტეების ზონაზე, ხოლო 1994 წელს შეიმუშავა რეგლამენტი, რომელიც ეხებოდა - სრუტეებზე ნაოსნობის უფლებას.

შავიზღვისპირა სახელმწიფოებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა მიუთითეს თურქეთის მთავრობას, რომ ,,რეგლამენტის“ ზოგი პუნქტი არ უთავსდებოდა მონტრეს კონვენციას. ამიტომაც მოითხოვს, რომ შეეცვლათ და შეესწორებინათ.

1998 წელს თურქეთმა რეგლამენტი შეასწორა, სადაც ნაწილობრივ გათვალისწინებულია იქნა ის შენიშვნები, რომლიც შავიზღვისპირა ქვეყნებმა, მონტრეს კონვენციის სხვა მონაწილეებმა და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციებმა გამოთქვეს. დღესდღეობით სრუტეებით სარგებლობის უფლება მიმდინარეობს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ რეკომენდირებული შენიშვნების გათვალისწინებით.

ამ რეგლამენტით თურქეთის მთავრობა უფლება მოსილია შეაჩეროს ნაოსნობა სრუტეებში დიდი ვარიის შემთხვევაში, ასევე სამშენებლო საქმიანობა, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობა და სხვა.

ბოსფორის სრუტე, რომელიც 27 კილომეტრის სიგრძეა არის ვიწროა, მის სიღრმეა დაახლოებით 70 მეტრს. ამჟამად მასზე სამი ხიდეა გადებული, სრუტის ქეშ გაყვანილია სარკინიგზო გვირაბი, რომელიც 2013 წელს გაიხსნა მოძრაობისათვის. 2016 წელს ბოსფორის სრუტის ქვეშ გაიყვანეს ასევე საავტომობილო გზა ,,ევრაზიის გვირაბი“.

ბოსფორის სრუტის განტვირთვის მიზნით თურქეთის მთავრობამ მიღო გადაწყვეტილება, რომ სახელმწიფო სახსრების მეშვეობით გაიყვანოს შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი 45 კილომეტრის სიგრძის ,,კანალ ისტამბული“. აღნიშნული პროექტი დაწყებულია და მისი დასრულება 2023 წლისთვის იგეგმება. არხით სარგებლობის უფლება ფასიანი იქნება, მაშინ როცა, თურქეთის სრუტეებით სარგებლობა უფასოა.

საერთაშორისო თვალსაზრისით, დიდ როლს თამაშობენ ახლო აღმოსავლეთში მდებარე სრუტეებს.

შავ და მარმარილოს ზღვებს ერთმანეთთ აკავშირებს ბოსფორის სრუტე, მარმარილოს და ეგეოსის ზღვას კი დარდანელის სრუტე. იგივე სრუტეებს ერთმანეთს აშორებს ევროპასა და აზიას.

უვე დიდი ხანია, რაც ბოსფორის და დარდანელის სრუტეებს და მათ შორის მდებარე მარმარილოს ზღვას მოიხსენიებენ, როგორც, შავი ზღვის სრუტეების სახელად. ბოლო პერიოდი რაც ოფიციალურმა ანკარამ მოითხოვა, რომ მათ ეწოდოს თურქეთის სრუტეები. საერთაშორისო დონეზე ეს თანდათან მკვიდრდება კიდეც; ინგლისურად მათ Turkish Straights-ად მოიხსენიებენ.

2.3 ტრანსატლანტიკური სოლიდარობის ფაქტორი თურქეთ-სსრკ ურთიერთობებში

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ წინა პლანზე წამოვიდა საკითხი, რომელიც ეხებოდა მსოფლიოს ახალი მოწყობის წეს, რის გამოც მსოფლიო ორ პოლუსად იქნა დაყოფილი . დასავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებიც დაღლილნი იყვნენ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ქმედებით გამოსავალს ხედავდნენ კოლექტიურ თავდაცვაში, ამის გამო დაიწყეს ფიქრი გაერთიანებაზე და 1948 წლის 17 მარტს ლუქსემბურგმა, ჰოლანდიამ, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და ბელგიამ ბრიუსელში თავდაცვითი ალიანსი შექმნეს. აღნიშნული მოქმედება ამერიკელებისთვის ნიშანი იყო იმისა, რომ ევროპა უკვე მზად იყო ალიანსის შესაქმნელად და ახლა უკვე მათი ჯერი იყო.[7]

1949 წლის 4 აპრილს ამერიკამ, კანადამ, იტალიამ, საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, ნორვეგიამ, ჰოლანდიამ, ლუქსემბურგმა, ბელგიამ, პორტუგალიამ, დანიამ, ისლანდიამ ხელი მოაწერეს ვაშინგტონის ხელშეკრულებას, რის შედეგადაც შეიქმნა ჩრდილოატლანტიკური ალიანსი.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, თურქეთი ნეიტრალურ სახელმწიფო იყო. მრავალი მკვლევარის აზრით თურქეთი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მხარს გერმანიას უჭერდა, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამის გამო საბჭოთა კავშირმა გააუქმა ცალმხრივად 1945 წელს განახლებული ხელშეკრულება და ასევე 1925 წლის თურქულ-საბჭოური ძალის გამოუყენებლობის ხელშეკრულება. თურქეთი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, პირდაპირ ემუქრებოდა საბჭოთა კავშირი და პარალელურად ითხოვდა ბოსფორის სრუტის დათმობას.

ისმეთ ინენიუს (თურქეთის მე-2 პრეზიდენტი 1938-1950 წლებში) გატარებული ნეიტრალური პოლიტიკური კურსი, სწორ ქმედებას წარმოადგენდა თურქეთისთვის

[7] გზამკვლევი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ. 2019, სსიპ ,,საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ გვ 17-18

მეორე მსოფლიო ომის დროს. თურქეთმა შეძლო ის, რომ ომიდან გამოსულიყო ძალიან უმნიშვნელო ჭრილობით.მაგრა შემდგომ პერიოდისთვის უკვე საკმარისი აღარ აღმოჩდა ნეიტრალური კურსის გატარება. რადგანაც თურქეთისთვის ეკონომიკური სტაბილურობის და ასევე უსაფრთხოების შენარჩუნებ, ცივი ომის პერიოდში შესაძლებელი იყო დასავლეთთან ურთიერთობის გაღრმავებით. მისთვის უმთავრეს საგარეო პოლიტიკის მიზანს წარმოადგენდა ნატოში გაწევრიანება.

თურქეთმა პირველი ნაბიჯები ნატოში გაწევრიანებისთვის განახორციელა 1950 წლის მაისში, ხოლო მეორე აგვისტოში. ამერიკამ თურქეთის აღნიშნულ საქციელს დადებითად შეხვდა. ხოლო დასავლეთ ევროპის ქვეყნები აღნიშნავდნენ, რომ თურქეთის ეს ნაბიჯები გამოიწვევდა საბჭოთა კავშირის გაღიზიანებას. აღნიშნული მიზეზის გმო, თურქეთი ვერ მოახერხა ნატოში გაწევრიანება.

1950 წლის 25 ივნის კორეის ომმა თურქეთს მისცა შესაძლებლობა, რომ გაწევრიანებულიყო ალიანსში. თურქეთმა არ დატოვა უყურადთებოდ გაეროს განცხადება, რომელიც ეხებოდა იმას, რომ აღნიშნული ომი ხელს უშლიდა მშვიდობის დამკვიდრებას და საჭიროა იყო ამ პროლემების მოსაგვარებლად შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რათა უზრუნველყონ მშვიდობა. თურქეთმა ამის გამო 4500 კაციანი შენაერთი გაგზავნა კორეაში, აღნიშნული შენაერთი დაუქვემდებარა გაერთიანებული ერების სარდლობას. თურქეთი ამ საქციელით ცდილობდა შთაბეჭდილება მოხდენა ამერიკაზე და ასევე ამ ქმედებით ელოდებოდა მხარდაჭერას ნატოს საკითხში.

თურქეთის აღნიშნული საქციელი დადებითად შეაფასეს, გარდა ამისა, იმ შემთხვევაში თუ საბჭოთა კავშირი განახორციელებდა შეტევას ევროპაზე, აუცილებელად საჭირო იყო საბჭოთა მახლობლად ბაზების ქონა.

1951 წლის 15 სექტემბერს ოტავაში მიიღეს დადგენილება იმის თამოაზე, რომ თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანა უნდა ყოფილიყო. 1951 წლის 18 თებერვალ თურქეთის მთავრობამ ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინეს.

მსოფლიოს ,,ცივი ომის“ რეჟიმში ძალიან დიდხანს მოუწიათ ცხოვრება.

,,ცივი ომის“ პერიოდი ეს არის სახელმწიფოთა ან მათი დაჯგუფებათა მწვავე დაპირისპირება, სხვადასხვა იდეოლოგიების გამო. აღნიშნული პერიოდი ერთის მხრივ წარმოადგენს, აშშ და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს, ხილო მეორე მხრივს, საბჭოთა კავშირს და მისი სატელიტებს. ცივი ომი აღმოცენდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში და დასრულდა 90-იან წლების დასაწყისამდე. აღნიშნულ პერიოდში ორ დიდ და სუპერ სახელმწიფო იყო ამერიკა და სსსრ კავშირი.

სიმართელეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირმა შეძლო ფაშიზმისაგან ზოგიერთი სახელმწიფოს განთავისუფლება, მაგრამ შემდგომში მან მოახდინა ზოგიერთი ამ სახელმწიფოების ოკუპაცია. ,,ცივი ომის" დროს გადამწყვეტი როლი ითამაშა აშშ-მ, როდესაც მან დასავლეთ ევროპის განთავისუფლება შეძლო. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დამარცხებული გერმანია ოთხ ზონად იქნა დაყოფილი, მალევე ნათელი იყო ყველასთვის ის, რომ სსსრ კავშირი აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმის გავრცელებას და მის დამყარებას აპირებდა. სსსრ კავშირს დაუპირისპირდა აშშ და დასავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებმაც შეამჩნიეს ის რეალური საფრთხე, რომელიც გულისხმობდა კომუნიზმის ექსპანსიური პოლიტიკის. ამ ყველაფრის გამო მათ ჩამოაყალიბეს ე.წ ,,სსსრ კავშირის აგრესიის შეკავების თეორია."

საბჭოთა ხელისუფლებისთვის ნათელი იყო ის ფაქტი, რომ ალიანსის წევრ სახელმწიფოებს ქონდათ მტკიცე ერთობა, რომ ეს თითოეული სახელმწიფო მზად იყო კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად შეეტანათ თავიანთი წვრილი. ამ ყველაფრის გამო მოსკოვმა მიიღო გაწყვიტილება, რომ გარკვეული ბზარი შეექმნა დასავლეთის ერთიანობაში.

საბჭოთა კავშირისთვის იარაღს წარმოადგენდა გერმანიის გაერთიანება. კრემლი თანახმა იყო დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის გაერთიანებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანებულ გერმანიას ნეიტრალიტეტის სტატუსი ექნებოდა და ნატოს წევრი სახელმწიფო არ გახდებოდა. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში მწვავე დისკუსი მიმდინარეობდა აშშ-ს პოლიტიკურ წრეებში. ბევრი სახელმწიფო მოღვაწეს, დიპლომატებს კრემლის ამ წინადადებას იწონებდნენ, მაგრამ საბოლო როლი ტრანსატლანტიკურმა ერთობამ ითამაშა, ასევე, დასავლეთ გერმანიის იმ დროინდელმა კანცლერმა, კონრად ადენაუერმა. ნატომ და დასავლურმა ერთობამ შეძლო ის, რომ გაეძლოთ გამოცდისთვის. ალიანსმა მისი დაარსებიდან პირველივე ეტაპზე შეძლო ეჩვენებინა თავისი მნიშვნელობა.

ცივი ომის დროს საბჭოთა კავშირი პროპაგანდისტულ მესიჯებს ახორციელებდა ნატოს მიმართ, რომელიც ძალიან ძლიერი იყო. საბჭოთა კავშირის პარტიული წრეები, პოლიტიკოსები ძალიან ნათელ ცილისწამებას, კრიტიკას გამოხატავდნენ ნატოს საქმიანობაზე. ეს ყველაფერი კი გულისხმობდა იმას, რომ საბჭოთა კავშირი რეალურ საფრთხედ მიიჩნევდა ჩრდილოატლანტიკურ ალიანს. საბჭოთა კავშირისთვის ნატო იყო ის რეალურ საფრთხე, რომელიც არ დაუშვებდა კომუნისტური ბლოკიდან აგრესიის განხორციელებას, რის გამოც ნატო საბჭოთა კავშირის ბლოკს უქმნიდა საკმაოდ დიდ საფრთხეს.

ცივი ომის პერიოდი წარმოადგენდა დაპირისპირებას ყოველგვარი შეიარაღების გარეშე, მაგრამ რეალური საფრთხ მაინც არსებობდა. მაგალითად 1962 წელი, კუბის კრიზისი, როდესაც მსოფლიო აღმოჩნდა ბირთულ კატასტროფის წინაშე.

ფიდელ კასტროს კომუნისტურმა რეჟიმმა აშშ-ს გამოუცხადა სავაჭრო ბრძოლა. მათთვის ძალიან დიდი პრობლემა იყო ევროპის ტერიტორიაზე ამერიკელების განთავსებულ იუპიტერის ტიპის რაკეტები. საბჭოთა კავშირს შეეძლო ის, რომ არ ეთქვა არაფერი იტალიაში და ინგლისში განთავსებულ რაკეტებზე, მაგრამ თურქეთის ქალაქ იზმირში განთავსებული საშუალო მოქმედების 15 რაკეტა ლახავდა უპირველესად მათ უსაფრთხოებას და პრესტიჟს.

1962 წლის გაზაფხულში კუბაში ბირთვული ქობინების განთავსება დაიწყო საბჭოთა კავშირმა. 8 და 16 სექტემბერს SS-4 ტიპის რაკეტები განათავსეს კუნძულში. ასევე საბჭოთა კავშირს სურდა, რომ აეშენებინა ცხრა ბაზა, აქედან ექვსს SS-4 ტიპის და სამ SS-5 ტიპის რაკეტებისთვის.

26 ოქტომბერს ამერიკიდან გაგზავნილი წერილი გულისხმობდა იმას, რომ ბირთული შეიარაღების გატანა კუბიდან გულისხმობდა ამერიკის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის მოგვარებას. კუბის თავდაცვის ძალებმა 27 ოქტომბერს ჩამოაგდეს ამერიკული მზვერავი. ამამ კი ურთიერთობათა დაძაბულობა გამოიწვია, აუცილებელი გახდა ორივე სახელმწიფო დათმობაზე წასულიყო, თუ ასე არ მოიქცეოდნენ გარდაუვალი იყო ბირთული დაპირისპირება. ამერიკელებმა იმავე დღესვე საბჭოთა კავშირს აცნობეს, რომ თანახმა იყვნენ ექვს თვეში გამოიტანდნენ თურქეთიდან თავიანთ რაკეტებს, იმ შემთხვევაში თუ კუბა გამოიტანდა თავიანთ რაკეტებს.

ნიკიტა ხრუშოვმა 28 ოქტომბერს გასცა ბრძანება იმის თაობაზე, რომ გაეტანათ ბირთული შეიარაღება კუბიდან, აღნიშნული თარიღი ითვლება კარიბის კრიზისის დასრულების თარიღად. 20 ნოემბერს შეწყვიტა სანქციები კუბისადმი აშშ-მ. კუნძულიდან მალევე გაიტანა თავისი შეიარაღება საბჭოთა კავშირმა. პარალელურად აშშ-მ ექვს თვეში შეთანხმების საფუძველზე თურქეთიდან გაიტანა თავისის შეიარაღება.

საბჭოთა კავშირის ინტერვენციამ 80-იან წლების პირველ ნახევარში ავღანეთში კვლავ გამოიწვია ურთიერთობათა დაძაბულობა, ამიტომაც ირივე მხარემ სამხედრო ხარჯები , სამხედრო ბაზები, ბირთული არსენალი გაზარდა. იდეოლოგიურმა დაპირისპირებებმა თავის მწვერვალს მიაღწია მას შემდეგ რაც, 1985 წელს საბჭოთმა კავშირმა განახორციელა ,,გარდაქმნის“ კურსი. ამ ყველაფერმა ძალიან დიდი ძვრები შეიტანა ,,ცივი ომის“ და საერთოდ საერთაშორისო ურთიერთობებში.

საერთაშორისო მდგომარეობა დადებითად შემობრუნდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა ავღანეთიდან გამოიყვანა თავისი ჯარი, როდესაც დაინგრა ბერლინის კედელი, როდესაც დაემხო აღმოსავლეთ ევროპაში კომუნიზმი და ამ ტერიტორიებიდან საბჭოთა კავშირმა ჯარი გამოიყვანა, ძალიან დიდ მიღწევა იყო როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი.

1992 წელს, როდესაც აღარ არსებობდა საბჭოთა კავშირი, როგორც სახელმწიფო, ევროპაში დაემხო კომუნისტური რეჟიმი. დაიწყო ცივი ომის დასრულების პერიოდი.

დღესდღეობით ზოგი რუსი პოლიტოლოგი, აღიზიანებს ის გარემოება, რომ ნატო გამოვიდა, როგორც გამარჯვებული ალიანსი ,,ცივ ომში“. ამბობენ იმას, რომ აშშ საბჭოთა კავშირზე არანაკლებ ოკუპანტი სახელმწიფო იყო. ისინი ამბობენ იმასაც, რომ თუ საბჭოთა კავშირის თავის ძალას ავრცელებდა აღმოსავლეთ ევროპაში და აღნიშნულ რეგიონებში ჰყავდა თავისის სამხედრო ძალა, აშშ-ს თავისის სამხედრო ობიექტები და სამხედრო ბაზები ჰყავდა დასავლეთ ევროპაში.

სპეციალისტები, მიიჩნევენ, რომ ,,ცივი ომის“ დროს ძალიან დიდი როლი შეასრულა პროპაგანდამ. ამ ფაქტორმა საშუალება მისცა ამერიკას, ასევე პოლიტიკურმა წრეებს, რომ მოეგვარებინათ ძალზე მნიშვნელოვანი საგარეო და საშინაო პრობლემები.

თავი-3

რეგიონალური პრობლემების ასახვა თანამედროვე თურქეთისა და რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე და გეოპოლიტიკური ასპექტები

3.1 რუსეთის როლი თურქეთის საგარეო პოლიტიკაში ,,ცივი ომის" დასრულების შემდეგ.

ცივი ომის დროს, თურქეთის საგარეო პოლიტიკა ნაწილობრივ იყო ცივი ომის პერიოდის პოლიტიკის გაგრძელება, თუმცა ამ ყველაფრის ფონზე, თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე დიდი ზეგავლენა ითამაშა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ აღმოცენებული სახელმწიფოებში დამკვიდრებულმა იმ ინტერესებმა, რომლებიც თურქეთისთვის ტრადიციული იყო.[8] გარდა ამ ინტერესებისა და სხვადასხვა გეოპოლიტიკური ფაქტორების გარდა, თურქეთის საგარეო პოლიტიკაზე დიდი როლი ითამაშა იდეოლოგიურმა, შიდაპოლიტიკურმა, რელიგიურმა და კულტურულმა ფაქტორებმაც.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თურქეთმა გადაწყვიტა რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა შეესუსტებინა ის სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთისაგან განთავისუფლდნენ. ამ მიზნის მისაღწევად თურქეთს ფარულად, თუ ღიად დახმარებას უწევდა დასავლეთ ევროპა და ამერიკა. თურქეთისათვის აშშ-სთვის წარმოადგენდა საიმედო საყრდენს, რითაც

[8] ე. მაკარაძე ,,სამხრეთ კავკასიის საკითხი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებში თანამედროვე ეტაპზე" რეგიონული თანამშრომლობის პრობლემები და პერსპექტივები. სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმი 2010. გვ 33-65

ამერიკა გააკონტროლებდა კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს და შეეცდებოდა შეესუსტებინა რუსეთის გავლენა ამ რეგიონებში.

რა თქმა უნდა, თურქეთიც შეეცდებოდა სარგებლობა მიეღო ამ ყველაფრით და ამერიკის აღმოსავლური პოლიტიკა თავის პოლიტიკური მიზნების განხორციელებისთვის გამოეყენებინა. განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ რუსეთის და ირანის საერთო ინტერესებს კავკასიაში.

ცივი ომის დასრულების შემდეგ, თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა სრულიად სხვა ფაზაზე გადავიდა, ამიტომაც ანკარას მოუწია თავისის საგარეო პოლიტიკური კურსის ძირეული გადახედვა. ბრძოლა დაიწყო, ერთი მხრივ, სამხრეთ კავკასიის, ხოლო მეორე მხრივ, ცენტრალური აზიის რეგიონში ბატონობისთვის. 1991 წელს სამხრეთ კავკასიაში ბევრი მოუგვარებელი კონფლიქტი დაიწყო, მოსკოვის ხელშეწყობით.

თურქეთი და რუსეთი თავიანთ ინტერესების სასარგებლოდ იყენებდა საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, არსებულ კონფლიქტებს, რადგანაც ამ ყველაფრით ცდილობდნენ გაეძლიერებინათ თავიანთი პოზიციები ამ რეგიონებში.

სამხრეთ კავკასიაში არსებულ კონფლიქტებში თურქეთსა და რუსეთს განსხვავებულ პოზიციები ეკავათ. მიუხედავად, ამ ყველაფრისა თურქეთი მაინც მოერიდა მოსკოვთან ღია დაპირისპირებას, რაც უმთავრესად განპირობებული იყო თურქეთის სტრატეგიული და ეკონომიკური ფაქტორის გამო. ამიტომაც თურქეთი იძულებული შეიქმნა რუსეთთან გაეტარებინა ,,დელიკატური" პოლიტიკა, რადგანაც დაეცვა ბალანსი კავკასიის რეგიონში და ცენტრალური აზიის მიმართ. პარალელურად ცდილობდა, რომ შეეჩერებინა რუსეთის ლიდერობის დაბრუნება აღნიშნულ რეგიონებში.

საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაცია, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით საბჭოთა კავშირზე შედარებით სუსტი იყო, არაფერს ცვლიდა, რადგანაც რუსეთი მაინც ძლიერ ძალას წარმოადგენს, განსაკუთრებით, სამხრეთ კავკასიაში. [9]ვარშავის პაქტის დაშლის მიუხედავად, რუსეთი მაინც ფლობდა შეიარაღებულ ძალას, ბირთულ იარაღს.

თურქეთსა და რუსეთს შორის არსებულ კავშირს საფრთხე დაემუქრა 1990-იან წლების პირველ ნახევარში, კერძოდ კი 1990-1994 წლებში სომხეთ-აზერბაიჯანის ომის დროს, სადაც თურქეთი დადგა საგარეო და საშინაო პოლიტიკური ზეწოლის წინაშე.

[9] გ.სანიკიძე, გ.ალასანია, ნ.ალასანია ახლო აღმოსავლეთის ისტორია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი 2011 წელი. გვ. 486

ოფიციალურ ანკარას არ შეეძლო სომხეთთან განეხორციელებინა პირდაპირი სამხედრო ინტერვენცია და ასევე არ შეეძლო მკაფიო მხარდაჭერა განეხორციელებინა, აზერბაიჯანისთვის, რადგანაც შესაძლოა ეს ყველაფერი ყოფილი იყო თურქეთ-რუსეთის ურთიერთობების გაუარესების მიზეზი და ასევე მწვავე კრიზისში გადასულიყო ეს ყველაფერი.

,,დსთ“-ს შექმნა თურქეთს აბრკოლებდა იმაში, რომ მას საწყის ეტაპზე, დაემყარებინა კავშირები სამხრეთ კავკასიაში. 1992 წლის 15 მარტს, ტაშკენტში დსთ-ს წევრმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს კოლექტიური უსაფრთხოებას, რომლის მიხედვითაც წევრი სახელმწიფოები ერთმანეთის მიმართ დახმარების პირობას დებდნენ, იმ დროს როცა დსთ-ს არაწევრი სახელმწიფო შეუტევდა ან მონაწილეობას მიიღებდნენ რაიმე ტიპის სამხედრო კონფლიქტში.

დსთ-ს შეთანხმების მიხედვით, რუსეთს შეეძლო თავისი ჯარი განეთავსებინა დსთ-ს წევრ სახელმწიფოების ტერიტორიაზე, ამის საფუძველზე მან ჯარი, ჯერ სომხეთში 1993 წელს და შემდეგ კი საქართველოში 1994 წელს განათავსა. ამიტომაც, თუ თურქეთი დაიწყებდა სომხეთთან სამხედრო კონფლიქტს, ბუნებრივია თურქეთი რუსეთთანაც დაპირისპირებაში აღმოჩნდებოდა. საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიაზე რუსეთის ჯარის განთავსებამ, თურქეთს ხელი შეუშალა , რომ განეხორციელებინა თავისი მიზნები, კერძოდ აეთვისებინა აღნიშნული რეგიონები. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო თურქეთსა და რუსეთს, რომ სამხედრო თვალსაზრისით ისევ დაახლოვებოდნენ ერთმანეთს.

თურქეთის ამბიცია იმის თაობაზე, რომ 90-იან წლებში შეესრულებინა არბიტრის როლი, ვერ მოახერხა, რადგანაც მას ამ მიზნის განსახორციელებლად არ ჰქონდა საკმარისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო რესურსები. ასევე თურქეთმა ვერ მოახერხა კონფლიქტის გაკონტროლება, რადგანაც რუსეთის მიზანს წარმოადგენდა, რომ არ დაეშვა, თურქეთი ჩაბმულიყო აღნიშნულ კონფლიქტის მოგვარებაში, განსაკუთრებით ყარაბახის. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, თურქეთმა შეძლო მხარდაჭერა აღმოეჩინა აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობაზე, საერთაშორისო დონეზე.

თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობათა ბზარის გაჩენის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩავთვალოთ ენერგორესურსები და მათ რეალიზაციისთვის კონტროლის დამყარება, კერძოდ კი კასპიის აუზის, გაზის და ნავთობის რესურსების საერთაშორისო დონეზე ექსპლუატაცია.

90-იან წლების პირველ ნახევარში სამხრეთ კავკასიაში საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ საერთაშორისო ყურადღების ქვეშ მოექცა კასპიის ნავთობსადენი და მისი განვითარება, ასევე ნავთობისა და გაზის მსოფლიო

ბაზრამდე მილსადენების მარშუტის უსაფრთხოების მიწოდების საკითხმა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობენ: რუსეთი, საქართველო, თურქეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, თურქმენეთი, ირანი. ზემოთ აღნიშნულმა საკითხმა გამოიწვია ურთიერთობათა დაძაბულობა თურქეთისა და რუსეთს შორის, რადგან ენერგორესურსებზე კონტროლის დაუფლება, გულისხმობს რეგიონზე კონტროლის დამყარებას და განმტკიცებას.

აქედან გამომდინარე, რუსეთისთვის მთავარ მიზანს წარმოადგენდა კასპიის აუზში არსებული ენერგორესურსების რეალიზაციაზე კონტროლის დამყარება. თურქეთის ამოცანას კი წარმოადგენს ენერგორესურსების მიწოდება უზრუნველყოს საკუთარ ტერიტორიის გავლით და მოიპოვოს თავისი ადგილი კავკასიის ენერგოუსაფრთხოების საკითხში.

1992 წლიდან ბაქოდან, ნავთობის მსოფლიო ბაზარზე მიწოდების მარშუტის არჩევანი, სადავო საკითხად იქცა. აღნიშნულ საკითხისადმი არსებობს რამდენიმე მიდგომა:

პირველი არჩევანი, ეს არის მარშუტი რუსეთის გავლით პორტ ნოვოროსიისკამდე, რაც გაზრდის აზერბაიჯანის დამოკიდებულებას რუსეთის მიმართ.

მეორე მარშუტი ეს არის შავი ზღვის გვერდის ავლით, რომელიც ირანზე უნდა გასულიყო, ამ მაშურტის ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა ირანის არაპროგონოზირებადი მოქმედება.

მესამე მარშუტი ეს არის ბაქო-სუფსის მილსადენი, ამ გზას მხარს უჭერს დასავლეთ ევროპა და აშშ.

მეოთხე მარშუტი, ეს არის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი, აღნიშნული მარშუტს მხარს უჭერდა ევროპა, აშშ და თურქეთი.

ბაქო-ჯეიჰანის მილსადენს ჰქონდა თავისის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, ეს იყო ნავთობის რეალიზაცია მსოფლიო ბაზარზე, რომელიც გვერდს უვლიდა რუსეთს და ირანს, ეს გარემოება კი გამოიწვევდა ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიის რეგიონებში რუსეთის გავლენის შემცირებას. ხოლო ეს ყველაფერი კი გამოიწვევდა აღნიშნულ რეგიონებში თურქეთის გავლენის გაზრდას, ამ ყველაფერს კი მხარს უჭერდა ამერიკის შეერთებული შტატები.

თურქეთის და რუსეთის ურთიერთობაში დიდ გავლენას ახდენს ნავთობისა და გაზის პოლიტიკა. სამხრეთ კავკასიის და თურქეთისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბაქო-თბილისი-ერზუმის გაზსადენის მშენებლობა, აღნიშნული პროექტი საქართველოს გადააქცევს ენერგო დამოუკიდებელ ქვეყნად.

ბაქო-თბილისის-ერზუმის პროექტი რუსეთის ენერგო მონოპოლიისაგან გაათავისუფლებს ზემოთ აღნიშნულ რეგიონებს და თურქეთს მოუტანს პატარა, მაგრამ კიდევ ერთ გამარჯვებას.

ნათელია ის ფაქტორი, რომ ორი ძალა, რუსეთი და თურქეთი, რომელსაც აქტიურად მხარს უჭერს ამერიკა, ცდილობენ გამოიყენონ თავიანთი პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, კულტურული ძალა რეგიონში , რომ მოიპოვონ თავიანთი ადგილი.

3.2 ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური კრიზისის ფონზე წინააღმდეგობა და თანხვდომა რუსეთსა და თურქეთის საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს შორის.

ყველაფერი დაიწყო ახლო აღმოსავლეთში, როდესაც 2010 წლის 17 დეკემბერს ტუნისის ქალაქ ბუზიდში ოცდაექვსი წლის მუჰამედ ბუაზიზიმ სასოწარკვეთის, ცუდი ეკონომიკური პირობების გამო თავი დაიწვა. ამ ყველაფრის შემდეგ თითქმის მთლიანად ტუნის მოედო საპროტესტო აქციები, რომელის ფართომაშტაბიანობა განპირობებული იყო, იმით, რომ ეს ყველაფერი გააშუქეს მასობრივი საინფორმაციო საშუალებებმა და სოციალური მედიამ. ამ ყველაფრის მიზეზად კი დასახელდა მოსახლეობაში არსებულმა უკმაყოფილებამ, რაც გამოწვეული იყო თავიანთი ქვეყნის რეჟიმით. მალევე საპროტესტო ტალღა მოედო მთელ არაბულ ქვეყანას. აღნიშნული საპროტესტო ცნობილია როგორც ,,არაბული გაზაფხულის“ სახელით.

საპროტესტო ტალღა ტუნისის შემდეგ ეგვიპტეს მოედო, რის გამოც ჰოსნი მუბარაქი იძულებული იყო გამდგარიყო. ეგვიპტეში მმართველი ძალები აიღეს შეიარაღებულმა ძალებმა. [10]თუმცა ამის მიუხედავად, ეგვიპტელ საზოგადოებას არ სურდა, რომ თავიანთ სამშობლოში დემოკრატიზაციის პროცესი დასრულებულიყო. ამის გამო ხელისუფლებაში კვლავ დაბრუდნენ ძველი რეჟიმის წარმომადგენლები და გენერალები.

არაბულმა სამყარომ გადაწყვიტა თავიდან, რომ აეცილებინათ არეულობა, მოსახლეობისთვის მიეცათ ხელფასები, გაეზარდათ პენსიები და სოციალური დახმარებები. ამ ყველაფერმა კი შედეგი გამოიღო, ზოგიერთ არაბულ ქვეყანაში. თუმცა შეტაკება დღესაც გრძელდება სირიაში, რომელიც არის ის ერთადერთი ქვეყანა სადაც არ დასრულებულა საპროტესტო აქციები, რის გამოც გარდაიცვალა ძალიან ბევრი უდანაშაულო ადამიანი. საერთაშორისო პოლიტიკამ ვერ შეძლო მოეგვარებინა ეს ყველაფერი სირიაში, სადაც უმაღლესმა ბიუროკრატებმა და გენერლებმა ვერ ჩამოაგდეს ბაშარ ალ-ასადი, რომლის ჩამოგდებაც მმართველი ხელისუფლებისთვის დაღუპვის ტოლფასია.

არაბული გაზაფხულის გამომწვევ მიზეზად სახელდება შემდეგი ფაქტორები:

[10] Http://www.Economist.com/blogs/dailychart//2011/07/arab-spring-death-toll

1.ერთ-ერთ გამომწვევ ფაქტორად სახელდება დემოგრაფიული აფეთქება. გაეროს განვითარების ფონდის მიხედვით 1975-2006 წლებში არაბულ ქვეყნებში მოსახლეობა გაორმაგდა, რომელთა რაოდენობა 314 მილონ აღწევდა.[11] ასევე პოლიტიკური, ეკონომიკური განვითარების დონე ჩამორჩებოდა მოსახლეობის ზრდის ტემპს. რეგიონებში მთავრობას არ შეეძლო ახალგაზრდების სამუშაოთი უზრუნველყოფა, რაც გახდა რევოლუციის მიზეზი.

2.შემდეგ მიზეზად სახელდება სოციალური და ეკონომიკური პრობლემები. დონ ტეპსკოტის სტატიაში აღნიშნული იყო, რომ ახალგაზრდების 25% არ შეეძლო სამსხურის შოვნა.[12] მთავრობას არ შეეძლო მდგომარეობის გამოსწორება, განსაკუთრებით კი მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო.

3. ასევე შემდეგ გამომწვევ ფაქტად სახელდება პოლიტიკური სისტემა და ელიტა. აღნიშნულ რეგიონებში არსებობს კორუფცია, ირღვევა ადამიანების უფლებები, არსებობს მრავალწლიანი მმართველობები, აყალბებენ სარჩევნო სისტემებს.

4. არაბული გაზაფხულის გამომწვევ შემდეგ გარემოებად სახელდება ასევე მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა და სოციალური ქსელები.

არსებობს მკვლევართა ერთი ნაწილი, რომლებიც ფიქრობენ, რომ არაბული გაზაფხული ინსპირირებული იყო დასავლეთის მიერ. ამ ყველაფერს ისინი ამტკიცებენ შემდეგი რამით. [13]არაბული გაზაფხულის დაწყებამდე ევროკავშირი ყველაფერს ცდილობდა, რომ დემოკრატია წინ წამოწეული იყო ამ რეგიონებში. ევროკავშირის წარმომადგენლები ამ ქვეყნებს მოუწოდებდნენ თავიანთ ქვეყნებში დაემყარებინათ დემოკრატია, დაეცვათ ადამიანის უფლებები. ამ მიზეზის გამო მიიჩნევენ, მკვლევართა ნაწილი, რომ არაბული გაზაფხული ინსპირირებული იყო დასავლეთის მიერ.

ევროკავშირი ამ რეგიონებში აწარმოებს ევრო-ხმელთაშუაზღვის პარტნიორობის პროგრამას, რომლის ამოცანას წარმოადგენდა საერთო გეოპოლიტიკური სივრცის შექმნა და რეგიონების უფრო მეტი სიახლოვე ევროკავშირთან. მოსახლეობამ დაინახა, რომ დემოკრატიზაციის და სოციალური ტრანსფორმაციის მიღწევა შეუძლებელია, თუ თავიანთი ქვეყნები არ განთავისუფლდებიან თავიანთი არსებული პოლიტიკური რეჟიმისგან.

ამერიკა 1990 წლიდან მხარს უჭერს დემოკრატიზაციის დამკვიდრებას. ამერიკაში 9/11 მოვლენების გამო დემოკრატიის წინ წამოწევა უმთავრეს ამოცანად იქცა,

---

[11] Http://middleeast.about.com/od/humanrightsdemocracy/tp/The-reasons-For-The-arab-spring.htm
[12] Ashley, j.(2011) ,,The Arab spring requires a defiantly European reply.
[13] Hollis, R. (2012.) No friend of democratization: Europ's role in the genesis of the ,,Arab spring" . International Affaris.

საკუთარი ეროვნული უსაფრთხოებიდან გამომდინარე. მისი მონაწილეობა განპირობებული იყო ტერორიზმის საფრთხეების შემცირების გამო. არაბული ქვეყნები რაც უფრო დემოკრატიულები იქნებოდნენ ამით, ისინი უფრო მეტად დაუახლოვდებოდნენ არაბულ სამყაროს. დასავლეთთან დაახლოება კი ამცირებდა ანტაგონიზმის აღმოცენებას, რაც ტერორიზმის წარმოშობის ძირითად მიზანს წარმოადგენს. ასევე ანტაგონიზმი საფრთხეს უქმნის ქვეყნებში არსებულ მრავალწლიან რეჟიმებს. ამიტომაც არაბული ქვეყნის რეჟიმები არ დაუშვებდნენ მოსახლეობის მონაწილეობის მიღებას პოლიტიკურ ცხოვრებაში და ასევე მათ ჩართულობას სამოქალაქო პროცესებში.

მკვლევართა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ რევოლუცია არ იყო ინსპირირებული დასავლეთის მიერ. ისინი ამ მოსაზრებას ამტკიცებენ იმით, რომ აშშ მხარს უჭერდა რეგიონის მმართველებს, რომლებიც რევოლუციის შედეგად იყვნენ ჩამოგდებულნი. ამერიკას უნდოდა, რომ შეუფერხებლად ყოფილიყო ნავთობის მოწოდება და ასევე სურდა ისრაელის უსაფრთხოება. ის მხარს უჭერდა status quo-ს და იმ არაბულ ქვეყნებს, რომლებიც დაიცავდნენ status quo-ს. [14]მკვლევართა აზრით ამერიკა და ევროკავშირი თვალს ხუჭავდნენ ადამიანის უფლებების დარღვევაზე, რაც განპირობებული იყო ნავთობის პოლიტიკით.

დღესდღეობით გამარჯვებულ ქვეყნებად შეიძლება მივიჩნიოთ ტუნისი, ეგვიპტე და ლიბია. ტუნისში მართვის სადავეები ხელში ჩაგიგდეს ლეგიტიმურმა მთავრობამ - აღორძინების პარტიამ. ეგვიპტეში გამარჯვება მოიპოვეს მუსლიმთა საძმომ, ხოლო ლიბიაში ეროვნულ კონგრესში მოვიდა ბევრი კონსერვატორი ისლამისტები, რომლებიც დარჩნენ პოლიტიკური ისლამის გამტარებლები.

სირიაში არაბული გაზაფხულის დაწყების მიზეზს, აქაც წარმოადგენდა საპროტესტო ტალღა, რომელიც შემდგომ გადაიქცა სამოქალაქო ომად.

სირიის კონფლიქტში მთავარ ძალას წარმოადგენს, შვიდი გადამდგარი გენერლის მიერ ჩამოყალიბებული თავისუფალი სირიული არმია (FSA), რომლებმაც საკუთარ თავზე აიღეს ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის მიერ გახსნილი ცეცხლი, რომელიც მიმართული იყო თავისი მოსახლეობის მიმართ, აღნიშნულმა ძალამ სამოქალაქო ომი საკუთარ თავზე აიღო.

თავისუფალი სირიული არმიას დახმარებას უწევდა დასავლეთი და არაბული ქვეყნები, თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად ვერ ჩამოყალიბდა ერთიან სამხედრო ნაწილად. FSA-ში ძირითადად გაწევრიანებულნი იყვნენ სუნიტი და დაქირავებული

[14] Http:// www.theaugeanstables.com/2013/04/11/the-disturbing-arab-decade-fisking-tom-friedmans-retraction/

მებრძოლები, რომლებმაც ვერ შეძლეს მოეპოვებინათ მნიშვნელოვანი გამარჯვება ასადის არმიასთან.[15]

დღესდღეობით თავისუფალი სირიული არმიის მცირე ნაწილი არსებობს, რომლებიც აკონტროლებენ ტერიტორიის ძალიან მცირე ნაწილს, FSA-ს დიდი გავლენა არ გააჩნია ამბოხებულებთან, არმიის მნიშვნელოვანმა ნაწილმა კონტაქტი დაამყარა ისლამისტურ დაჯგუფებასთან.

2012-2013 წლებში თავისუფალ სირიულ არმიასთან ერთად ჩამოყალიბდა რადიკალური ისლამისტური დაჯგუფება, სალიფატი.

სირიის ტერიტორიაზე წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა მსგავსი დაჯგუფებები, თუმცა ასადის რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად ორი დაჯგუფება გამოიკვეთა. ესენი იყვნენ: ჯაიშ ალ-ისლამი და აჰარ ალ-შამი, რომელთა მთავარ ამოცანას წარმოადგენდა სირიაში ისლამური სახელმწიფოს შექმნა, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს შარიათის კანონებს.

ჯაიშ ალ-ისლამსა და აჰარ ალ-შამი სირიის ტერიტორიაზე 2012 წლიდან ალ-ყაედას სირიული ორგანიზაციაა, ჯიფადისტური ალ-ნუსრაც მოქმედებს, აღნიშნულ ორგანიზაციას ამერიკამ მიანიჭა ტერიტორიული ორგანიზაციის კვალიფიკაცია.

 რადიკალურ ისლამისტებს და ჯიჰადისტებს სირიის სამთავრობო არმიის წინააღმდეგ ბრძოლის გამო აფინანსებენ, ასევე სამხედრო დახმარებას უწევენ თურქეთი და სპარსეთის ყურის ქვეყნები.

სირიის კონფლიქტში მონაწილეობას ღებულობს კიდევ ორი განსხვავებული ორგანიზაციები, ესენია: ისლამური სახელმწიფო ე.წ დაეში და სირიელი ქურთების ,,სახალხო დაცვის შენაერთები“ (YPG).

ისლამურმა სახელმწიფო ჩამოყალიბდა 2014 წელს. ISIS სულიერი ლიდერის აბუ ბაქარ ალ-ბაღდადის საბოლოო მიზანს წარმოადგენდა ხალიფატის შექმნა. მალევე ისლამურმა ორგანიზაციამ თავისი ძალაუფლება გაავრცელა სირიაში. აღნიშნული ორგანიზაცია ებრძვის, ასევე სირიულ ქურთებს და ყველა სხვა დაჯგუფებებს, თუ წარმომადგენლებს, რომლებიც არ არიან სუნიტები.

სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთის 1/5 ნაწილს, სირიაში სამოქალაქო ომის დაწყებამდე ქურთული სირიის დემოკრატიული ძალები (SDF) აკონტროლებდა, ამ ყველაფრის მიზეზი იყო, ის, რომ აღნიშნული ტერიტორიები საკუთარი სურვილით დატოვა

[15] სირიის კონფლიქტი - ახლო არმოსავლეთის ავანსცენა

http://old.1tv.ge/projects/analytics/?page=detail&id=160473&fbclid=IwAR0J1ciSfmRHgErcILbPgPH69itfPYSSd5oTTLnFTWtZhXcg4xCAXDp2iXg

სირიის მთავრობამ და სირიის დასავლეთში მდებარე ტერიტორიებზე გააკეთეს აქცენტირება.

არაბული გაზაფხული უნდა დამთავრებულიყო 2011 წლის გაზაფხულში, სირიაში. აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკის არაბული ქვეყნების მსგავსად დასავლეთი ფიქრობდა, რომ ბაშარ ალ ასადის ამბოხებულები მარტივად დაამარცხებდნენ, ამ მიზეზის გამო დასავლეთს აქტიური პოლიტიკური კურსი არ გაუტარებიათ, მაგრამ მათი პროგნოზები არ გამართლდა, რაც შემდეგი მიზეზით იყო განპირობებული: ეგვიპტის, ტუნისის და ლიბიისაგან შედარებით, სირია ეთნიკურად, რელიგიურად, კლასობრივად, თემურად განსხვავებული სახელმწიფოა. ასევე სირია უკვე რამდენიმე საუკუნეა ცხოვრება უწევს რეპრესიულ ბაპტისტურ რეჟიმის არაბული ნაციონალიზმის იდეოლოგიაში. საზოგადოების განსხვავებულობამ, მასობრივი საპროტესტო აქციების დროს ვერ ჩამოაყალიბა ძლიერი ოპოზიცია. ამ ყველაფერმა ასადის მთავრობას, რომელსაც დახმარებას უწევდნენ სამხედრო თვალსაზრისით, ასევე ფინანსურმა ელიტაც ეხმარებოდა მას. ამ ყველაფერმა შესაძლებლობა მისცა ასადს, რომ საკუთარი ხელისუფლებისთვის ებრძოლა.

სამოქალაქო ომის დაწყებამდე, სირიას კარგი ურთიერთობა ჰქონდა თურქეთთან, თუმცა ამ ყველაფრის მიუხედავად, როდესაც სირიაში ქურთების ლიდერის აბდულა ოჯალანის გაძევებას მოჰყვა, საპროტესტო გამოსვლების შემდეგ თურქეთმა მხარი დაუჭირა ასადის გადადგომას. თურქეთისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ასადის მთავრობის მიერ საკუთარი მოსახლეობის ცეცხლის გახსნა, რის გამოც გაკიცხა ასადის რეჟიმი. თურქეთი სამოქალაქო ომის დროს მკაცრად აკრიტიკებდა სირიის სამთავრობო ძალების მიერ განხორციელებულ მოქმედებებს. ურთიერთობა სირიასა და თურქეთს შორის მას შემდეგ დაიძაბა, როდესაც სირიის არმიამ 2012 წელს ჩამოაგდო თურქული ავიამოიერიშე.

თურქეთმა 2011 წელს წვრთნა დაიწყო იმ ამბოხებულების წინააღმდეგ, რომლებიც თავისუფალ სირიულ არმიად ჩამოყალიბდა შემდგომში. თურქეთმა ასევე დაიწყო დაფინანსება რადიკალური ისლამისტების. 2016 წლიდან, კი თურქეთმა სირიის საზღვარზე საბრძოლო მოქმედებები დაიწყო, რომელიც იბრძოდა სირიელი ქურთების, ისლამისტურ სახელმწიფოს წინააღმდეგ. 2017 წელს თურქეთმა სირიის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქი ალ-ბაბი დაეშისგან გაანთავისუფლეს და დაამყარეს კონტროლი.

ასადის რეჟიმის მოწინააღმდეგე სახელმწიფოები თურქეთი და ამერიკა, კონფლიქტის დროს არცთუ ხშირად თუ ახორციელებდნენ კოორდინებულ მოქმედებებს. ხშირ შემთხვევაში მათი ინტერესები ანტაგონისტურიც კი იყო. (აქ იგულისხმება ქურთების საკითხი) ეს ყველაფერი თურქეთსა და აშშ-ს კვალიციას ასუსტებდა და ასადის პოლიტიკის წარმატებას უწყობდა ხელს.

ამერიკასა და სირიას შორის არსებული პოლიტიკური დაპირისპირებიდან გამომდინარე, ამერიკა მხარს უჭერდა სირიული რეჟიმის შეცვლას, მათი ლოზუნგია ,,ასადი უნდა წავიდეს“.

მიუხედავად ამგვარი დამოკიდებულებისა ამერიკამ თავი შეიკავა, რომ სირიის სამოქალაქო ომის დროს გამოეყენებინა სამხედრო ძალები. მათი ამგვარი დამოკიდებულება აიხსნება იმით, რომ ავღანეთიდან და ერაყიდან ჯარების გამოყვანის პირობით ხელისუფლებაში მოსულ პრეზიდენტს, ახლო აღმოსავლეთში ომის წარმოება არ უნდოდა. მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ კონფლიქტში, რომლისგან არ ჩანდა გამოსავალი, არ ჩარეულიყო. ამ ყველაფრიდან გამომდინარე წლების განმავლობაში ამერიკელები ამბოხებულებს ეხმარებოდნენ მხოლოდ ავიაიერიშებით და იარაღის მიწოდებით. ამერიკელები მხარს უჭერდნენ სირიელ ქურთებს.

ამერიკელების არასისტემურმა მიდგომამ კარი გაუხსნა, როგორც მის მოკავშირეებს, ასევე მის მოწინააღმდეგებს.

რუსეთი ოფიციალურად სირიის სამოქალაქო ომში ჩაება 2015 წლის შემოდგომაზე, როცა ოფიციალურმა დამასკომ თხოვნით მიმართა რუსეთს, რომ დაეწყო საჰაერო შეტევები სირიის ტერიტორიაზე. [16]რუსეთი შეტევებს ახორციელებდა ორი მიმართულებით: ისლამისტური დაჯგუფებები და ნავთობის კონტრაბანტის მარშუტებით. სამხედრო ინტერვენციას ამართლებდნენ ერთი მხრივ ტერორიზმის და მეორე მხრივ რეგიონში არსებული არასტაბილურობის გამო. ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა ემთხვევა ამერიკის და რუსეთის შეხედულებას. რუსეთის ჩართვა კონფლიქტში მეორე მხრივ წარმოადგენდა რუსეთის მნიშვნელობის გაზრდას და პოზიციების გამყარებას, როგორც ახლო აღმოსავლეთში, ასევე საერთაშორისო ასპარეზზე. ასევე, რუსეთს უნდოდა უკანა პლანზე გადაეწია უკრაინის კრიზისი.

რუსეთმა ამ პერიოდიდან ძალიან შეასუსტა თურქეთის პოლიტიკური მდგომარეობა სირიაში. რუსეთის სამხედრო დახმარებით, ასადის რეჟიმმა შეინარჩუნა სიცოცხლე, ასევე მოახერხეს სირიის ჩრდილოეთში არსებული პოზიციური ძალების შევიწროება, რომლებიც იყვნენ თურქების მოკავშირეები. რუსეთმა მთლიანად შეძლო კონტროლის დამყარება ჩრდილოეთ სირიის საჰაერო სივრცეზე მას შემდეგ, რაც თურქების მხრიდან რუსული S4-24 ჩამოაგდეს.

სირიის კონფლიქტში, მოკავშირეთა ურთიერთობის დაძაბვის მიზეზი გახდა, სირიის სამოქალაქო ომის დაწყებიდანვე თურქეთი თანმიმდევრულად, რომ რჩებოდა თავის

---

16 https://iliauni.edu.ge/uploads/other/43/43489.pdf?fbclid=IwAR1Wh9JtMtWNjkyAd1oDvWe4UOZCWnctJsvymzmxSdDVtnRc6MP3LdavWGg

პოზიციაზე ასადის რეჟიმის წინააღმდეგ, იმ ყველაფრის მიუხედავად, რომ ძალთა ბალანსი როგორც სირიაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც მნიშვნელოვნად იცვლებოდა. ამ ყველაფრის ფონზე თურქეთი იზოლაციაში აღმოჩნდა.

2015-2016 წლების მოვლენებმა აშკარა გახადა, რომ საჭირო იყო თურქეთს ჩამოეყალიბებინა ახალი საგარეო პოლიტიკური კურსი.

თურქეთმა გადაწყვიტა რუსეთთან და ირანთან ჰქონოდა ნორმალური ურთიერთობა. ამიტომ 2016 წლის 9 აგვისტოს პეტერბურგში დაწყებული მოლაპარაკებები, რომელიც თურქეთისთვის გარკვეულ წილად წარმოადგენდა იზოლაციიდან გამოსვლას. მოლაპარაკების მთავარი თემა იყო სირიის კრიზისთან ერთად ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობა. 2016 წლის 2 დეკემბერს მეჯლისმა მიიღო კანონპროექტი ,,თურქული დინების". ასევე ყურადღება დათმო ბირთული ელექტროსადგურის მშენებლობას, განიხილეს რუსეთისაგან S-400 ტიპის სარაკეტო სისტემის შესყიდვის საკითხიც.

რუსეთთან მოლაპარაკების პარალელურად თურქეთმა დაიწყო სახმელეთო ბრძოლა ჩრდილოეთ სირიაში. თურქეთი ოფიციალურად იბრძოდა ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ, თუმცა ოპერაცია ,,ევფრატის ფარის" უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა PYD-ს შეკავება და ასევე მდ. ევფრატზე ზღვარის გავლებას.

2016 წელს სირიის მთავრობამ რუსეთის საჰაერო ძალების ხელშეწყობით განახორციელა ოპერაცია ალეპოში და მის შემოგარენში არსებულ მეამბოხეებზე, ხოლო 2016 წლის ბოლოსთვის სირიის და რუსეთის გაერთიანებულმა ძალებმა ექვს თვიანი ალყის შედეგად შეძლეს აეღოთ ალეპო. ამ ყველაფერმა აფრინში გამაგრებულ ქურთებს შესაძლებლობა მისცა ებრძოლათ ჩრდილოეთ სირიაში ისლამურ სახელმწიფოს და თურქეთის მოკავშირე ძალების წინააღმდეგ.

2016 წელს ალეპოს მოვლენები საშუალებას გვაძლებს გარკვეული დასკვნები გავაკეთოთ. თურქეთის ალეპოს ძველ ქალაქში არსებული საბრძოლო მოქმედებების მიმართ განყენებულმა მიდგომებმა, რომელიც არ ახასიათებს თურქებს, ასევე ოპერაცია ,,ევფრატის ფარი" გულისხმობდა იმას, რომ გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს რუსეთმა და თურქეთმა. ალეპოში არსებული ბრძოლის დროს თურქეთი არ დაეხმარა ალეპოში გამაგრებულ ოპოზიციას და ამ ყველაფერზე თვალი დახუჭა. რუსეთს კი მისცა შესაძლებლობამ კონტროლი დაეწესებინა თურქეთ-სირიის საზღვარზე.

თურქეთისა და რუსეთის თანამშრომლობა ალეპოს ევაკუაციის დროს წარმოებდა ამერიკის მონაწილეობის გარეშე, რაც მიუთითებს, თურქეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობების დაძაბულობაზე და ასევე რუსეთ-თურქეთის თანამშრომლობაზე.

რუსეთისთვის, ალეპოს დაცემა დიდი გამარჯვება იყო, რუსეთი შეეცდება მიღწეული წარმატებით შეასუსტოს დასავლეთის გავლენა რეგიონში. ასევე დიდი გამარჯვებას წარმოადგენდა ასადის რეჟიმისთვის, რომელმაც სამშვიდობო მოლაპარაკებზე მაგიდაზე აღმოჩნდა, ხოლო თურქეთმა ითამაშა მედიატორის როლი და ასევე სურდა, რომ შეენარჩუნებინა თავისი პოზიციები სირიაში.

რუსეთსა და თურქეთს განსხვავებული პოზიციები აქვთ ქურთულ საკითხისადმი. თურქეთისთვის მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთის და სირიელი თურქების დაახლოება.

ასევე ურთიერთობათა დაძაბვას ელოდებოდა თურქეთი, რუსეთთან, მას შემდეგ რაც მოკლული იქნა რუსეთის ელჩი, ანკარაში 2016 წელს. რუსეთის პრეზიდენტის განცხადებაში, აშკარა იყო მესიჯი, რომელიც უშუალოდ მიმართული იყო მკვლელობის დამკვეთისაკენ. ასევე ამავე განცხადებაში გამოირიცხა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების დაძაბვაც.[17]

ამ ყველაფერმა რუსეთის და თურქეთის ურთიერთობა კი არ გაუარესა, არამედ პირიქით. ორივე სახელმწიფომ ეს ყველაფერი პოლიტიკურად შეაფასეს და გამოძიების დასრულებამდე გააჟღერეს დამნაშავის ვინაობა. რუსეთმა დაეში დაადანაშაულა, ხოლო თურქეთმა ფეთჰულაჰ გიულენი.

ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს სამ სახელმწიფოს შორის მიღწეული შეთანხმება: რუსეთი, თურქეთი, ირანი. კერძოდ კი ალეპოდან მოსახლეობის ევაკუაცია და ცეცხლის შეწყვეტა.

2017 წელს დეკემბერში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული შეთანხმების თანახმად, დაპირისპირებული მხარეებს უნდა დაეწყოთ მოლაპარაკება, რომელიც, რუსეთის შეთავაზებით იანვარში ასტანაში გაიმართა. აღნიშნულ მოლაპარაკებაში მონაწილეობა არ მიუღია ამერიკას. [18]ამ მოლაპარაკების შედეგად სირიაში შეასუსტა ამბოხებულებისა და ასადის რეჟიმს შორის შეტაკება, ამ ყველაფერმა თავიდან აირიდა მსხვერპლი. მოლაპარაკების შედეგად მიღწეული ზავი არ ეხებოდა ტერორისტულ დაჯგუფებებს.

მაისში დაწყებული მოლაპარაკების მეოთხე რაუნდმა, ძალზე კარგი შედეგები აჩვენა. რუსეთის ინიციატივით, სირიაში შეიქმნა ოთხი ,,დესკალაციის ზონა", რომლის უსაფრთხოების დასაცავად კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარე ჩაება. ასევე ამ ზონებში დაეხმარნენ ჰუმანიტარული დახმარებით, დააბრუნეს ლტოლვილები.

---

[17] რუსეთთურქეთის დაპირისპირება სირიაში https://www.gfsis.org/

[18] ზეთისხილის რტო ანუ თურქული მათრახი https://1tv.ge/analytics/zetiskhilis-rto-anu-turquli-matrakhi/?fbclid=IwAR0Y0F29xA4WVgufv9O19vJX424Tl0_Aosfw6cHpUVg0O6bU8b_Y4p_WM94

ცეცხლის შეწყვეტა, ასტანის მოლაპარაკება, თურქეთის გარკვეულ დათმობებზე წასვლა, რუსული დიპლომატიის გამარჯვებას ნიშნავდა.

2018 წლის 18 იანვარს თურქეთის ავიაძალებმა დაიწყეს ოპერაცია, სირიის მახლობლად მდებარე აფრინის კანტონში, სადაც ცხოვრობდნენ ქურთები. დაბომბეს რამდენიმე ქალაქი, გაანადგურეს თურქების მიერ აღიარებული ტერორისტული ორგანიზაცია ქურთების სამხედრო დაჯგუფების YDC მთავარი ბაზა ალ-მალქიაში. დაბომბილი იქნა ასევე აფრინში მდებარე ქურთების სამხედრო ბაზა. ზემოთ აღნიშნული ოპერაცია ცნობილია, როგორც ,,ზეთისხილის რტოს“ სახელით.

თურქეთის პრემიერ მინისტრის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ სამხედრო ოპერაცია შეთანხმებული იყო ოფიციალურ დამასკოსთან, რუსეთის შუამავლობით. თუმცა დამასკომ ეს ყველაფერი უარყო და თურქეთის ამგვარი ქმედება აგრესიად შეაფასა.

თურქეთის ამ ქმედების საპასუხოდ, 21 იანვარს სირიის ტერიტორიიდან თურქეთის სასაზღვრო ქალაქი კილისკენ სამი რაკეტა გაისროლეს.

რუსეთის თავდაცვის მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე, რუსეთის სამხედროებმა დატოვეს აფრინის კანტონი.

აფრინში დაწყებული იერიშის შესახებ ამერიკული მხარეც გაფრთხილებული იყო.

თურქეთის იერიში ქურთთა დაჯგუფებაზე რამდენიმე ფაქტორმა გამოიწვია. ოფიციალური ანკარა, უკვე დიდი ხანია, რაც სირიელი ქურთების მთავარ პოლიტიკურ ძალას ,,დემოკრატიული ერთობის“ და მის სამხედრო დანაყოფებს ,,სახალხო დაცვის შენაერთს“ და ,,ქურთულ მუშათა პარტიას“ სირიულ ნაწილად მიიჩნევს. საკუთარი უსაფრთხოება, რომ შეენარჩუნებინა, თურქეთი საჭიროდ მიიჩნევდა მათ განადგურებას.

თურქეთის მთავრობამ ამ პერიოდში თხოვდა ამერიკას, სირიელი ქურთებისთვის სამხედრო მხარდაჭერა შეეწყვიტათ. აშშ-ს ორმხრივი პოლიტიკის გამო, ნატოს წევრ ქვეყნებს შორის ურთიერთობების დაძაბვის ერთ-ერთ მთავარ საბაბად მიჩნეული არის სირიელი ქურთების საკითხი.

ასტანის შემდეგ სოჭის მოლაპარაკება აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ადგილი სადაც, განხილული იქნა სირიის საკითხი. 2017 წელს ასტანის მოლაპარაკების შემდეგ სამმა სახელმწიფომ თურქეთმა, ირანმა, რუსეთმა მიიღეს დადგენილება, რომ სოჭში კონფერენცია ჩატარებულიყო.[19]

[19] სოჭი და სირიის სახელმწიფოს მომავალი
https://1tv.ge/analytics/sochi-da-siriis-sakhelmwifos-momavali/

კონფერენციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ოპოზიციის მაქსიმალური ჩართულობა, რათა კონფერენცია ყოვლის მომცველი ყოფილიყო. კონფერენცია ორ ძირითად დოკუმენტს ეფუძნებოდა. ესენია: 2012 წლის ჟენევის კომუნიკე I-ს და 2015 წლის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას 2254-ს. დოკუმენტი სამ მოთხოვნას ეფუძნებოდა: ქვეყანაში უნდა შეწყდეს საომარი მოქმედება, გაეროს ზედამხედველობის მეშვეობით უნდა ჩატარდეს თავისუფალი, სამართლიანად, საყოველთაო საპარლამენტო არჩევნები და უნდა შეიქმნას ახალი კონსტიტუცია. აღნიშნულ დოკუმენტში არაფერი იყო ნათქვამი ასადზე და მის რეჟიმზე, რაც მთავარ მიზეზად იქცა დღესდღეობით საყოველთაო შეთანხმების მისაღწევად.

ამ მოლაპარაკების შედეგად, რამდენიმე დღის შემდეგ, ამერიკის პრეზიდენტმა სატელეფონო ზარის, დროს ერდოღანს მისცა პირობა, რომ პენტაგონი დახმარებას შეუწყვეტდა სირიელ ქურთებს, თუმცა მოგვიანებით პენტაგონმა განაცხადა, რომ სიმართლე იყო ეს ყველაფერი, რომ მართლა შეჰპირდნენ, მაგრამ როდის განახორციელებდნენ ამ ყველაფერ, ზუსტი თარიღი არ უთქვამთ. განცხადებაში ნათქვამია, რომ ამერიკა არ შეწყვეტდა დახმარებას ქურთების სანამ ისლამისტური სახელმწიფო არ განადგურდებოდა.

ოპერაცია ,,ზეთისხილის რტო“ სირიის შვიდწლიანი სამოქალაქო ომი სრულიად, სხვა ფაზა გახსნა. [20]

3.3 წინააღმდეგობა თურქეთსა და აშშ-ს შორის და რუსეთის პოზიცია. 2016 წლის 15 ივლისს, თურქეთში, ხელისუფლების დამხობის მიზნით, სამხედრო გადატრიალება მოეწყო, სადაც დაიღუპა უამრავი ადამიანი და დაშავდა ასობით მოქალაქე.[21]

ოფიციალური ანკარა 2016 წლის სამხედრო გადატრიალებაში ადანაშაულებს ,,სამართლიანობის და აღორძინების პარტიის“ ყოფილ მოკავშირეს, ფეთულა გულენს, რომელიც იმყოფება ამერიკაში და არის ამერიკაში მცხოვრებ ისლამისტების სასულიერო ლიდერი. ასევე ოფიციალური ანკარა სამხედრო გადატრიალებაში ადანაშაულებს, თურქეთში მოქმედი გიულენის ორგანიზაციათა ქსელს ,,ფეტოს“. ფეთულა გიულენი უარყოფს ამ ყველაფერს, თუმცა ოფიციალური ანკარა მაინც აღძრა საქმე და ოფიციალურად წაუყენეს ბრალი დამნაშავეებს.

---

[20] ზეთისხილის რტო ანუ თურქული მათრახი https://1tv.ge/analytics/zetiskhilis-rto-anu-turquli-matrakhi/?fbclid=IwAR0Y0F29xA4WVgufv9O19vJX424Tl0_Aosfw6cHpUVg0O6bU8b_Y4p_WM94

[21] თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში https://www.gfsis.org/ge/blog/view/710?fbclid=IwAR1nY4IC629llq_KcuAPHHTnWojZYNQ_fp99VZ-h8S_p8MrAzcsJTgBkZbk

თურქეთსა და ამერიკას შორის ურთიერთობათა დაძაბვის მიზეზი, გახდა ამერიკელების უარი ფითულა გიულენის თურქეთში ექსტრადაციაზე. ამერიკელებმა ექსტრადაციაზე დათანხმდებოდნენ იმ შემთხვევაში, თუ ანახებდნენ კონკრეტულ ფაქტებს და სამხილებს. საპასუხოდ, ოფიციალურმა ანკარამ განაცხადა, რომ ეს ყველაფერი იქნებოდა მიზეზი ამერიკასა და თურქეთს შორის ურთიერთობების გაფუჭების, თუ ამერიკა მათ მოთხოვნას დადებითად არ უპასუხებდა.

ურთიერთობის გაუარესების პირველი მაჩვენებელი იყო, თურქეთის მიერ საჰაერო სივრცის დახურვა, ინჯირლიკში, რითაც შეზღუდა ამერიკელების ავიაგამანადგურებლის ოპერაცია სირიაში, რომელიც მიმართული იყო ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ.

2016 წლის ოქტომბერში თურქეთის პოლიციამ ქალაქ იზმირში მომუშავე ამერიკელი პასტორი ენდრიუ ბრასონი დააკავეს, რომელსაც ბრალი ედებოდა ფეტოსთან კავშირზე. ერდოღანმა ეს ყველაფერი სავაჭრო გარიგებად აქცია ამერიკასთან, რომელსაც შესთავაზა ენდრიუ ბრასონის გაცვლა გიულენში.

ტრამპის ადმინისტრაციამ მას შემდეგ რაც უარი მიიღო თურქეთისაგან ენდრიუ ბრასონის გათავისუფლებაზე, საპასუხოდ თურქეთს სანქციები დაუწესა. ამ ყველაფრის გამო თურქეთის ეკონომიკამ ერთ კვირაში დიდი ზარალი განიცადა, ხოლო ეროვნული ვალუტა 40% გაუფასურდა.

აშშ-ს სახაზინო დეპარტამენტმა, თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრის და იუსტიციის მინისტრს დაუწესა ფინანსური სანქციები, მათ გაუყინა აქტივები, ხოლო 10 დღის შემდეგ ტრამპმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლითაც, თურქეთიდან იმპორტირებული ალუმინი 20%-იანი, ხოლო ფოლადზე 50%-იანი ტარიფი დაუწესა.[22]

პასტორი ენდრიუ ბრასონის გათავისუფლების შემდეგ, ამერიკამ თურქეთს ნაწილობრივ მოუხსნა სანქციები. თუმცა პასტორის გათავიუსუფლების მიუხედავად, გიულენის ექსტრადაცია არ მომხდარა თურქეთში.

თურქეთსა და ამერიკას შორის ურთიერობების სტაბილიზაციას, ხელს უშლის ქურთული საკითხიც. როგორც ზემოთ ქვეთავებში აღვნიშნე, 2010 წელს დაწყებული რევოლუცია არაბულ სამყაროში, 2011 წელს სირიაშიც გავრცელდა. საზოგადოების მშვიდობიანი პროტესტს, სირიის ლიდერმა, ასადმა უპასუხა დარბევით და ძალის გამოყენებით, რომლის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა ხელისუფლების შენარჩუნება, ნებისმერი საშუალებით. სირიელების მოტივაცია იყო ის, რომ

[22] გამწვავებული აშშ-თურქეთის ურთიერთობა და თურქეთის „ოსთპოლიტიკა“ https://1tv.ge/analytics/gamwvavebuli-ashsh-turqetis-urtiertoba-da-turqetis-ostpolitika/?fbclid=IwAR0tYIcHPHcnydYFVjdrWFPRk_qk_63-0bSEN7WJF8mxSWTZQSuOZ3s

სუნიტურ უმრავლესობას მართავდა ალივატური უმცირესობა. ამის წინააღმდეგ გამოვიდა ხალხი, რომელთა მოთხოვნას წარმოადგენდა ადამიანის უფლებების დაცვა და დემოკრატია. ამ ყველაფრის გამო ასადის რეჟიმმა გახსნა ცეცხლი. სირიის არმია კი გადავიდა ოპერაციაზე და გამოაცხადეს, რომ იბრძოდნენ ასადის რეჟიმის წინააღმდეგ. ამის შემდეგ ასადის რეჟიმმა მოახერხა ოპოზიციის განადგურება, რის შედეგადაც შემოვიდნენ უცხოელი რადიკალი მებრძოლები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ოპოზიციას. შემდეგ ეს რადიკალური ჯგუფები გაიყვნენ ორ ნაწილად, ე.წ ,,ისლამურ სახელმწიფოს“ და მეორემ კი კვლავ განაგრძო კავშირი ალ ქაიდასთან. ამერიკამ რადიკალური ჯგუფების წინააღმდეგ საბრძოლველად კავშირი დაამყარა ქურთების მუშათა პარტიასთან. რუსეთმა მხარი დაუჭირა ასადის მთავრობას, როგორც ირანმა. თურქეთმა კავშირი დაამყარა სირიის ოპოზიციასთან. შეიქმნა სურათი, სადაც ყველა ერთმანეთს ებრძოდა.

ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენებში თითქმის სულ მონაწილეობს ქურთები. თურქეთი უმთავრეს პრობლემად აღიქვამს ქურთისტანის მუშათა პარტიას, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის თურქეთის ტერიტორიულ მთლიანობას. ქურთული დაჯგუფების უპირატესობა არის, თურქეთის ტერიტორიაზე თავიანთი კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიის შექმნა. ერაყის ქურთისტანის მსგავსად, რომლებიც გახდნენ მაგალითი თურქ ქურთებში თვითგამორკვევის. თურქეთსა და ქურთულ დაჯგუფებებს შორის კავშირი გამწვავდა სირიაში არსებული მდგომარეობის გამო და სწორედ ეს გარემოება გახდა საფუძველი ამერიკასთან ურთიერთობის დაძაბვის.

თურქეთი მიიჩნევს, რომ სირიაში ქურთების გავლენის ზრდამ, რაც განპირობებულია ამერიკის მხარდაჭერით, ამ ყველაფერმა გამოიწვია თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქურთული დასახლების ავტონომიის მოთხოვნა და რაც მთავარია მისი იურისდიქციდან გამოყოფის ტენდენცია, ერთიანი ქურთული სახელმწიფოს შექმნის მიზნით. სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთს ფაქტობრივად, სამოქალაქო ომის დაწყებიდან ქურთული სირიის დემოკრატიული ძალები აკონტროლებენ. სირიელი ქურთები, ასადის რეჟიმის წინააღმდეგ არ იბრძვიან, მათ მიზანს წარმოადგენს სამხრეთით ქურთული ეთნოსით დაკომპლექსებული ტერიტორიების დაცვა ისლამურ სახელმწიფოსგან, ხოლო ჩრდილოეთიდან თურქეთისაგან დაცვა. ქურთებს ეხმარებათ ხმელეთიდან ერაყული, ქურთული საბრძოლო დანაყოფი ფეშმერგას მებრძოლები და საჰაერო დახმარებას უწევს ამერიკა.

ამერიკასა და თურქეთს შორის ურთიერთობის გაუარესების მიზეზად იქცა, არა ასადის რეჟიმის შეცვლა, არამედ პრიორიტეტად მიჩნეულია ისლამური სახელმწიფს წინააღმდეგ ბრძოლა და მათი ლიკვიდაცია, სწორედ ეს მომენტი გახდა მათ შორის ურთიერთობის დაძაბვის, რომელიც მათ შორის არსებულმა განსხვავებულმა იდეურმა და ინტერესთა ქონფლიქტმა წარმოშვა.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ამერიკასთან ერთად იბრძოდა და კუალიციაში იყო , მან ბევრჯერ გააკრიტიკა ამერიკა SDF-ს მხარდაჭერის გამო. ასევე თურქეთი ხელს უშლიდა ნატოს, რომ არ დაემორჩილებინა სირიის ჩრდილოეთი ნაწილი.

თურქეთისთვის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს, ქურთების სახალხო თავდაცვის შეიარაღებული დანაყოფი, რაც შეიძლება შორს მოიშორონ ისინი საკუთარი საზღვრიდან და შექმნას დიდი ბუფერული ზონა თურქეთში მაცხოვრებელ ქურთებსა და სეპარატისტულად განწყობილ მეამბოხეებს შორის, რადგანაც თურქეთს მიჩნია, რომ ისინი ქვეყნის უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის. ასევე სასაზღვრო ზოლში მაცხოვრებელი 3.5 მილიონი სირიელი ლტოლვილი, რომელთა გადანაწილებას თურქეთი აპირებს ქურთებისგან გათავისუფლებული ტერიტორიაზე.

თურქეთმა ჩამოაყალიბა ორმხრივი პოლიტიკა, პირველი ირანთან და რუსეთთან, მაგრამ რეგიონში მათი გავლენის ზრდა არ აწყობს. მეორე კი ძალზე აქტიურ საკითხს წარმოადგენს, ქურთების საკითხი, რომელიც უბიძგებს რეგრეს ამერიკასა და თურქეთის ურთიერთობას. ამერიკამ მიიღო დადგენილება, რომ შეესრულებინა მედიატორის როლი ორივე მხარესთან, რომ მათ, კომპრომისულ გადაწყვეტილების მიღებაში დახმარებოდათ.

შეთანხმების შედეგად გადაწყვიტეს სირიის ჩრდილოეთით შეექმნათ უსაფრთხო ბუფერული ზონა. ქურთები ვალდებულები იყვნენ, რომ დაეშალათ სამხედრო ბაზები, გაეტანათ სასაზღვრო ზოლიდან მძიმე არტილერია და შეიარაღება. ეს ყველაფერი, რომ გაეკონტროლებინათ გადაწყვიტეს შეექმნათ კოორდინების ერთობლივი ჯგუფი და მოახდენდნენ ამ ტერიტორიის პატრულიერებას. თურქეთის პრეზიდენტი ამერიკას მოუწოდებდა, რომ არ გაეწელა დროში შეთანხმების პირობები, თუ დაარღვევდა მაშინ მკაცრ ზომებს მიიღებდა და დაიწყებდა საბრძოლო მოქმედებებს, რომელიც მიმართული იქნებოდა ქურთების წინააღმდეგ.

ამერიკის პრეზიდენტმა მოულოდნელად მიიღო გადაწყვეტილება, რომ სირიიდან გამოეყვანა თავისი სამხედროები, რამაც გამოიწვია უკმაყოფილება ამერიკის წარმომადგენლობით პალატაში, პარტნიორ სახელმწიფოებში და პოლიტიკოსებში. მათ მიაჩნდათ, რომ ეს ყველაფერი ნიშნავდა აშშ-ს დათმობაზე წასვლას თურქეთის მიმართებაში. ქურთებისთვის ეს გადაწყვეტილება წარმოადგენდა დიდ იმედგაცრუებას, რადგანაც ამერიკა იყო მთავარი დასაყრდენი ისლამურ სახელმწიფოს ბრძოლაში. მაშინ როცა ამერიკას უნდა ეთამაშა მედიატორის როლი, გავიდა თამაშიდან.

მოვლენების მსგავსი განვითარების გამო და ასევე ექსპერტთა მკაცრი კრიტიკის გამო, ტრამპმა გააკეთა განცხადება, რომელიც იყო მუქარა, მიმართული თურქეთისადმი, იმ შემთხვევაში თუ თურქეთი გაცდება და დაარღვევს ამერიკის მისწრაფებებს და ინტერესებს, ასევე თუ შელახავენ მათ ინტერესებს. თუმცა თურქეთი არ აპირებს შეცვალოს თავისი პოლიტიკა და აგრძელებს ისეთ პოლიტიკის გატარებას, რომელიც აღიზიანებს ამერიკას.

თურქეთსა და ამერიკას შორის დაძაბულ ურთიერთობას დაემატა, თურქეთის მხრიდან რუსული საზენიტო-სარაკეტო რაკეტის S-400შეძენა, რაც ბუნებრივია გავლენა იქონია ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებულ ურთიერთობას.

2019 წლის 3 მაის სოჭში პუტინმა უმასპინძლა თურქეთის პრეზიდენტს. მხარეთა შეხვედრის დროს გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თურქეთმა, რომელიც არის ნატოს წევრი ქვეყანა, სურს შეიძინოს რუსეთისაგან S-400 ტიპის ანტისარაკეტო სისტემა.

ამერიკამ უარყოფითად შეაფასა თურქეთის ეს გადაწყვეტილება. ოფიციალური ვაშინგტონი მიიჩნევდა, რომ S-400 ტიპის რაკეტები, თურქეთში მოთავსებულ ნატოს სამხედრო სისტემებს საფრთხეს უქმნის, კერძოდ კი უახლოეს ამერიკულ გამანადგურებელს ეფ-35. რუსეთის S-400 სარაკეტო სისტემა ხვეწავს ეფ-35 თვითმფრინავის ,,სტელსის“ ტექნოლოგიის საწინააღმდეგოდ.

თურქეთის მიერ S-400 ტიპის ანტისარაკეტო სისტემის შეძენამ, უარყოფითი გამოხმაურება ჰპოვა ნატოს წევრ ქვეყნებში, განსაკუთრებით, კი როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამერიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთმა S-400 სარაკეტო სისტემის სრული ტექნოლოგიებით ყიდვა ვერ შეძლო მან მაინც მოახერხა ძალთა დემონსტრირება წევრ სახლმწიფოებთან და ამ ყველაფრით ის შეძლებს, რომ ანგარიში გაუწიონ ალიანსში მის მოთხოვნებს და მისწრაფებებს.

ამერიკა მოუწოდებს თურქეთს, რომ S-400 ნაცვლად იყიდოს ამერიკის წარმოებული ,,პეტრიოტის“ ტიპის სისტემა. ამერიკამ თურქეთს ბოლო ვადად დაუწესა, 2019 წლის ივლისი, რომ შეთანხმება გაუქმებულიყო. თუ ამ მოთხოვნას არ შეასრულებდა და F-35 ტიპის საბრძოლო თვითმფრინავების წარმოების პროცესში კონტრაქტებს დაკარგავდა. მიუხედავად ამისა, ამერიკამ უფრო ადრე დაიწყო თურქეთის ჩამოშორება F-35 პროგრამიდან და ამ მიზნის მისაღწევად ამერიკამ შეაჩერა თურქი პილოტების წვრთნა, ამ ტიპის რაკეტებზე. ოფიციალურმა ანკარამ განაცხადა, რომ რუსეთისაგან S-400 შეძენა არ იყო სამაგიეროს გადახდა იმისა, რომ ამერიკამ ჩამოიშორა F-35 გამანადგურებლის პროექტიდან.

თურქეთმა ნატოს წევრ ქვეყნებს განუმარტა, რომ ანკარამ მიიღო საჭირო ზომები იმისთვის, რომ S-400 რაკეტები საფრთხეს არ შეუქმნის F-35 გამანადგურებელს.[23] ნატოს წევრი ქვეყნები მიიჩნევდნენ, რომ S-400 სისტემის რაკეტები არ არის თავსებადი ნატოს სიტემისთვის და საფრთხეს უქმნის მას. თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ შეთანხმება მიღწეულია, რუსეთთან. ასევე ერდოღანმა განაცხადა, რომ F-35 პროექტი ჩაიშლება იმ შემთხვევაში თუ კი ამერიკა არ მიიღებდა მასში მონაწილეობას.

ოფიციალური ანკარა აცხადებდა, რომ S-400 შეიძინა თავდაცვის მიზნით, რომელსაც განალაგებს სირიის სასაზღვრო ზოლზე და S-400 საფრთხეს არ შეუქმნის ნატოს. ამერიკამ თურქეთს სანქციები დაუწესა, კერძოდ ლითონის იმპორტზე ტარიფები გაუზარდა. საპასუხოდ თურქეთმა უარი განაცხადა ამერიკულ პროდუქტზე.

ისტორიული თვალსაზრისით თურქეთსა და ამერიკას შორის ურთიერთობა მრავალჯერ დაიძაბა. მაგალითად; კუბის კრიზისის დროს 1962 წელს, კვიპროსის კონფლიქტის დროს 1974 წელს, აშშ-ს ერაყში შეჭრის დროს 2003 წელს, როცა თურქეთმა დახმარება არ აღმოუჩინა ამერიკას. თუმცა დღევანდელ ეტაპზე არსებულ დაპირისპირება ნატოს წევრ ქვეყნებს შორის უფრო ღრმაა. თუმცა თურქეთი დღევანდელ მდგომარეობით ბოლომდე არ უნდა გადაიხაროს რუსეთისაკენ. თურქეთი ცდილობს დაანახოს ნატოს, რომ მას შეუძლია დამოუკიდებლად თამაში, რომელიც არაა შეზღუდული იმით, თუ რა სურვილი ამოძრავებს ალიანს მისგან. თურქეთს სურს, რომ იყოს ნატოს წევრი ქვეყანა, ამის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს შავი ზღვა. თურქეთი დიდი სიფრთხილით აკვირდება რუსეთის დამოკიდებულებას შავ ზღვის მიმართ, განსაკუთრებით კი ყირიმის ანექსიის შემდეგ. რუსეთსა და თურქეთს მრავალი უთანხმოება აქვთ, მაგალითად: მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, სადაც თურქეთი მხარს უჭერს აზერბაიჯანს, ხოლო რუსეთი სომხეთს. მათ შორის მაინც არსებობს გეოპოლიტიკური გამოწვევები.

[23] თურქეთისგეოპოლიტიკურიპაზლიდასაქართველო. https://netgazeti.ge/news/234620/, გვ 1

დასკვნა

თურქეთსა და რუსეთს ურთიერთობა ერთმანეთთან, უკვე რამდენიმე საუკუნეა რაც აქვთ. ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა დაიწყო სერიოზული წინააღმდეგობებით, რაც დიდი ხნის განმავლობაში გაზდევს ამ ორი ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებს. ისინი ხშირად სერიოზულ პრობლემურ ხასიათს ატარებდნენ და ასევე სერიოზულ რეგიონულ მეტოქეობაში გადაიზრდებოდა ხოლმე.

ამ ორი ქვეყნას შორის სადავო საკითხები იყო როგორც ევროპის ასევე აზიის კონტინენტზე და ამ საკითხებთან დაკავშირებით მათ სერიოზული დავა ჰქონდათ ერთმანეთში, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში ვერ წყვეტდნენ და ჭიანურდებოდა დროშიც. აქედან გამომდინარე ამ ორ ქვეყანას შორის ხშირი იყო საომარი მოქმედებებიც, რომელთა აბსოლიტურ უმრავლესობაში გამარჯვებული რუსეთი გამოვიდა.

მას შემდეგ რაც ჩამოყალიბდა თურქეთის სეკულარული სახელმწიფო მან მეზობლებთან შეეცადა დაემყარებინა კეთილმეზობლური ურთიერთობა. ასეთი ერთ-ერთი მეზობელი რომელთანაც თურქეთმა შეძლო ,,მეგობრობისა და ძმობის“ ხელშეკრულების გაფორმება იყო რუსეთის იმპერიის და შემდეგი გაგრძელება

საბჭოთა კავშირთამ. აღსანიშნავია, რომ რუსეტსა და თურქეთს ურთიერთობების საკმაოდ ხანგრძლივი გამოცდილება ჰქონდათ ერთმანეთთან.

საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ურთიერთობებში სერიოზული გამოწვევა გახდა შავი ზღვის სრუტეების საკითხი. აღნიშნული პრობლემა არა ერთ კონფერენციაზე დაისვა და გადაწყდა მონტროს კონფერენციით. მაგრამ აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკითხი გადაწყვეტა არ იყო მისაღები რუსეთისათვის. მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ შავი ზღვის სრუტეები თურქეთის ტერიტორიაზეა, რუსეთს მეტნაკლებად მოუხდა შეგუებოდა იმ ვითარებას, რომ დიდ ნაწილს ამ სრუტეებისა თურქეთი აკონტროლებს. შავი ზღვის სრუტეების შესახებ გადახედვა მოხდა შემდგომ, გასულ საუკუნის 50-იან წლებშიც. ბოლო პერიოდია რაც შავი ზღვის სრუტეებს, დარდანელს და ბოსფორს თურქეთი უწოდებს, როგორც თურქეთის სრუტეებს. მოითხოვს სხვა სახელმწიფოებისგან ამ სახელის დამკვიდრებას. ფაქტია, რომ მეტნაკლებად ამ სრუტეების სახელად თურქეთის სრუტეები მკვიდრება.

თურქეთისა და სსრკ-ს ურთიერთობებში სერიოზული გამოწვევა იყო ის, რომ თურქეთი გახდა ნატოს წევრი ქვეყანა. თურქეთის ნატოში გაწევრიანების მიზეზი გამომდინარეობდა იქიდან, რომ ის საბჭოთა კავშირის მეზობელი იყო. ამ ფაქტორმა სერიოზულად გავლენა იქონია თურქეთის პოლიტიკურ და სამხედრო თვალსაზრისით განვითარებაზე და დაწინაურებაზე.

თურქეთსა და სსრკ კავშირს შორის ურთიერთობა გაგრძელდა, მას შემდეგ რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და სსრკ სამართალ მემკვიდრე გახდა რუსეთის ფედერაცია. ბუნებრივია ამ ორ ქვეყანას შორის საგარეო პოლიტიკური გამოწვევები კვლავ იჩინა თავი, რადგანაც მათ საერთო ინტერესები კვლავ ძალაში დარჩა.

თურქეთისა და რუსეთის საგარეო პოლიტიკური გამოწვევებში ხშირად იჩენს თავს, ხოლმე სერიოზული გამოწვევები. მიუხედავად იმისა, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყანა არ არის რუსეთი, თურქეთი კი რეგიონის უშუალო შემადგენელი ნაწილია, რუსეთი ცდილობს თავისი პოლიტიკური გავლენა გაავრცელოს რეგიონში. აღნიშნული გავლენა შეეხება თურქეთსაც. აქედან გამომდინარე ამ ორ ქვეყანას შორის შოროს სერიოზულმა პრობლემებმა ჩინეს თავი. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში განვითარებული პოლიტიკური კრიზისის ფონზე ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა და აშშ-ს სტრატეგიული პარტნიორი, მათ შორის ბევრმა შეუთანხმებელი პრობლემა წამოიჭრა წინა პლანზე. ამ პრობლემებთა შორის არის ქურთისტანის საკითხი. ქურთებს სერიოზულ მხარდაჭერას უწევს და ეხმარება აშშ, რაც მიუღებელი აღმოჩნდა თურქეთისათვის. ამან განაპირობა ის, რომ თურქეთი მეტნაკლებად დაუახლოვდა რუსეთს და მათ შორის ბევრი სადაო საკითხზე მოხდა შეთანხმების მიღწევა.

რუსეთმა კარგად გამოიყენა თურქეთისა და აშშ-ს შორის არსებული უთანხმოება ქურთისტანთან დაკავშირებით. რუსეთმა შეძლო ის, რომ ნატოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წევრ თურქეთს მისგან შეესყიდა საზენიტო სარაკეტო დანადგარები, რაც რუსეთის გავლენას თურქეთში საკმაოდ ზრდიდა.

აღნიშნულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვანი უკმაყოფილება გამოიწვია, როგორც აშშ-ს ასევე ნატოს მხრიდან. მაგრამ თურქეთმა მაინც ამ წინააღმდეგობის მიუხედავად შეძლო შეენარჩუნებინა რუსეთთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა.

ფაქტია ის არის, რომ თურქეთსა და ნატოს შორის სერიოზული განხეთქილება არ მოხდებოდა, რადგანაც თურქეთმაც კარგად იცის, რომ ის ძალიან სჭირდება ნატოს და თურქეთსაც ძალიან სჭირდება ნატო. ამიტომ თურქეთმა შეძლო დაებალანსებინა ეს პოზიცია. მან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნა რუსეთთანაც და ამავე დროს ბოლო პერიოდში შეძლო ურთიერთობის დალაგება ნატოსთან და აშშ-სთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სვანიძე მ. თურქეთის ისტორია (1299-2000). თბილისი, 2007
2. სანიკიძე გ. ალასანია გ. გელოვანი ნ. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან XIXს-XXIს-ის დასაწყისი, თბილისი, 2011.
3. მაკარაძე ე. თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები XX საუკუნის 90-იანი წლები. ბათუმი, 2000
4. მაკარაძე ე. თურქეთის ისტორია 1918-2018 წლები. თბილისი, 2019.
5. მაკარაძე ე. თურქეთის საშინაო პოლიტიკა 1980-2011 წლებში. თბილისი, 2012
6. მაკარაძე ე. თურქეთის საშინაო პოლიტიკა 2000-2015 წლებში. თბილისი, 2012
7. მანჩხაშვილი მ. თურქეთი XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დამდეგს , თბილისი, 2014.

8. Мейер М.С . Османская империя в XVIII векею Черты структурного кризиса. М., 1991
9. Киреев Н .Г. История Турции XX векаю Москва, 2007
10. орешкова с. ф. ульченко е. ю. россия и турция (проблемы формирования границ) м. 1999.
11. Professor Kasım Karataş (PhD). Asst. Professor Filiz Demiröz (PhD). Res. Asst. Edip Aygüler. Res. Asst. Cemre Bolgün. Ankara, September 2018.
12. Natalya Ketenci. Gokce Bayindir. Hardcover-December 2019. Turckish-Russian RelaTions: Prospects and Challenges.
13. Hollis, R. ,,No friend of democratization: Europe's role in the genesic of the ,,Arab Sprind". International Affairs, 2012.
14. Audinli Ersel 2011. Ergenekon. New Pacts and the decline of the Turkish ,,Inner State".Turkish Studies, 2012.
15. Halacoglu, Yusuf. Ottoman State organization in the classical Period. Ankara: Yeni Turkiye, 2002.
16. Kili Suna. Kemalism in Contemporery Turkey. IPSR, 1980, Vol. 1, N. 3, Political Ideology: It is Impact on Contemporery Political Transformations.
17. Kushner, David. The Rise of Turkish Nationalism, 1876-1908. London: Frank Cass, 1977.
18. Lewis B., The Energence Of Modern Turkey, London-New York-Toronto, 1965
19. Singer Morris, Ataturks Economic Legacy. MES, 1983, Vol. 19, No 3.
20. Ashley, j.(2011) ,,The Arab spring requires a defiantly European reply.
21. Hollis, R. (2012.) No friend of democratization: Europ's role in the genesis of the ,,Arab spring" . International Affaris.
22. Rycaut P . The History of the present state of the Ottoman Empire. Londra, 1675.
23. The Turks, Vol. 4, Ankara: Yeni Turkiye Yayinlari, 2002
24. Shaw, Stanford J. History of the Ottoman Empire and Modern Turkey. Impire of the Gazis: The Rise and Decline of the ottoman Empire, 1280-1808. Cambridge University Press, 2010.

25. https://iliauni.edu.ge/uploads/other/43/43489.pdf?fbclid=IwAR0NTM1--YRSGyAqgJVDGQBZvNOYqgQ4IwCDkRys4TvVeRINKZGhBYYfDOA
26. რუსეთ თურქეთის დაპირისპირება სირიაში https://www.gfsis.org/ge/blog/view/1029?fbclid=IwAR2Y11ahwf8qkaf8UPKkb1H2XkeyNbZFZBELwYJNROxMjeyB1HmUKsn0fQY
27. სირიის კონფლიქტი - ახლო აღმოსავლეთის ავანსცენა http://old.1tv.ge/projects/analytics/?page=detail&id=160473&fbclid=IwAR1zTHIR8nIXoK-xXnS1aw4RpPv6DQHS6dAaHxSy3m9GbI7S52kZKWkt1S0
28. ზეთისხილის რტო ანუ თურქული მათრახი https://1tv.ge/analytics/zetiskhilis-rto-anu-turquli-matrakhi/?fbclid=IwAR1wjHqN39pY4R6cSVlt-ceP-dvpsDP7__a4F8PGlvzktmjKptrR5mHseNc
29. თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში https://www.gfsis.org/ge/blog/view/710?fbclid=IwAR1nY4IC629llq_KcuAPHHTnWojZYNQ_fp99VZ-h8S_p8MrAzcsJTgBkZbk
30. ვინ არის პასტორი, ვის გამოც ტრამპის ადმინისტრაციამ თურქეთს სავაჭრო ომი გამოუცხადა https://1tv.ge/news/vin-aris-pastori-vis-gamoc-trampis-administraciam-turqets-savachro-omi-gamouckhada/?fbclid=IwAR1e6dVLU-PdGF0lgyOGw51R6z8WCgrHQYOw2
31. გამწვავებული აშშ-თურქეთის ურთიერთობა და თურქეთის ,,ოსთპოლიტიკა“ https://1tv.ge/analytics/gamwvavebuli-ashsh-turqetis-urtiertoba-da-turqetis-ostpolitika/?fbclid=IwAR1e6dVLU-PdGF0lgyOGw51R6z8WCgrHQYOw2U7ZLF7cMWQgcktS